„ქრისტიანობის ჩემეული გამოხატულება
სიკეთის კეთებაა...“

არჩილ ხომასურიძე

არჩილ ხომასურიძე

ჩემი გზა

ვუძღვნი ჩემი მშობლების ნათელ ხსოვნას

თბილისი
2022

რედაქტორი:	**ირანდა კალანდაძე**
კომპიუტერული დიზაინი:	**ლევან ბოჭორიშვილი**
ტექნიკური უზრუნველყოფა:	**ბესო ცარციძე**

საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“.
თბილისი. 2022 წ.

ISBN 798-9941-8-4212-2

რედაქტორისგან

ზოგიერთი ადამიანის სიცოცხლე მეტეორს ჰგავს და ამ მეტეორების სიკაშკაშე იმაზეა დამოკიდებული, რა და როგორი საქმე უკეთებია ამ ადამიანს.

გადაჭარბებად ნუ ჩამითვლით და, არჩილ ხომასურიძის ცხოვრება სწორედ მეტეორს ჰგავს. ამიტომაც მოგითხრობთ კაცზე, რომელიც 37 წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობს იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს. მის სახელს უკავშირდება არაერთი სიახლე ქართულ მედიცინაში, კერძოდ, კონტრაცეპციის, ლაპაროსკოპიის, ხელოვნური განაყოფიერების, ანდროლოგიის და სექსოლოგიის დანერგვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

პროფესორი არჩილ ხომასურიძის ძალისხმევით და უშუალო მონაწილეობით 1997 წელს რეპროდუქტოლოგია საქართველოში ოფიციალურად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად, შეიქმნა სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭო რეპროდუქტოლოგიაში, დაარსდა პირველი რეპროდუქტოლოგიური კათედრა, გამოიცა ჟურნალი „რეპროდუქტოლოგია“, მომზადდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა, საქართველოს რეგიონებში შეიქმნა რეპროდუქციული სამსახურების ფართო ქსელი...

* * *

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1958 წელს უშვილობის სამკურნალო ინსტიტუტი საქართველოში სახელგანთქმულმა ექიმმა და მეცნიერმა, პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ დააარსა, რითიც მან, სულ ცოტა, 30 წლით გაუსწრო მაშინდელ ეპოქას.

მითს ჰგავს იოსებ ჟორდანიას როგორც ცხოვრება, ასევე გარდაცვალებაც...

1962 წელს 20 ივნისს თვითმფრინავი „დუგლასი“ ბუენოს-აირესიდან დაგეგმილ რეისს ასრულებდა რიო-დე-ჟანეიროდან

ლისაბონში. როდესაც ხომალდი ასაფრენად დაიძრა, თვითმფრინავის პროპელერი დაზიანდა და ოთხივე ძრავამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ის აეროპორტის კედელს შეეჯახა, შემდეგ მეზობელი ბილიკი გადაკვეთა და ოკეანეში ჩაეშვა. ჯერ ნაპირთან ახლოს დრეიფობდა, შემდეგ კი 8 მეტრის სიღრმეზე ოკეანეში ჩაიძირა.

კატასტროფას 15 ადამიანი ემსხვერპლა – ეკიპაჟის ერთი წევრი და 14 მგზავრი...

გადარჩენილი მგზავრებიდან ერთ-ერთმა, პროფესორმა პლატონ შუშანიამ, საზოგადოებას იოსებ ჟორდანიას უკანასკნელი წუთების შესახებ უამბო: „როდესაც თვითმფრინავი წყალზე გაჩერდა, მგზავრებმა ტანსაცმელი გაიხადეს და მაშველი რგოლები მოირგეს. მე და იოსებ ჟორდანია თვითმფრინავის ფრთაზე ვიდექით. ამაოდ ვთხოვდი, მომეჭიდე და ნაპირამდე გაგიყვან-მეთქი, მან თავი გააქნია – ორივე დავიხრჩობით, ჯობს თავს უშველოო. იოსებმა ცურვა არ იცოდა, არც მაშველი რგოლი ჰქონდა. თავისი რგოლი მან თვითმფრინავის სალონიდან გამოსვლამდე პატარა გოგონას მისცა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, უბილეთო იყო და, სავარაუდოდ, მაშველი რგოლიც ამიტომ არ ჰქონდა.“

მიუხედავად იოსებ ჟორდანიას გმირობის თვითმხილველის მონათხრობისა, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც პროფესორის გმირული თავგანწირვის ამბავი ვერ ირწმუნეს და მის საქციელს მიზანმიმართულად აკნინებდნენ.

მას შემდეგ, რაც იოსებ ჟორდანიას გმირობის გაქარწყლებას შეეცადნენ, მისი პროფესიონალური გზის გამგრძელებელმა, ბატონმა არჩილ ხომასურიძემ სიმართლის ძიება დაიწყო და მოსკოვში ჩავიდა დუგლას DC-8-33-ის გადარჩენილი მგზავრების სანახავად.

არჩილ ხომასურიძე: „გადავწყვიტე, გავსაუბრებოდი იმ ადამიანებს, რომლებმაც ბოლო წუთებში იოსებ ჟორდანია თვითმფრინავის ბორტზე ნახეს. იმ ხანებში ცოცხალი იყო სამი ქალბატონი, სამივე ცნობილი პროფესორი. მათ მიამბეს, რა გაკეთა ჟორდანიამ სიკვდილის წინ: როცა თვითმფრინავს რყევა დაუწყია, სალონში პანიკა ამტყდარა, დაბნეული ხალხი საავარიო გასასვლელს მისწყდომია. სწორედ ამ დროს ქალბატონებს თვალი მოუკრავთ ატირებული გოგონასთვის, რომელსაც მაშველი რგოლი არ ჰქონდა და ირგვლივ მყოფთ დასახმარებლად უხმობდა... ჟორდანიას თავისი მაშველი რგოლი უყოყმანოდ მიუცია პატარასთვის.

მოგვიანებით გაიგეს, რომ ქართველი ექიმი დაიხრჩო...

იმ გადარჩენილ გოგონას ვერ მივაგენი, თუმცა ქალბატონები იხსენებდნენ, ტრაგედიიდან ათი წლის შემდეგ ის ტურისტად ჩამოსულა მოსკოვში და ჟორდანიას საფლავს ეძებდაო...

ვინც იოსებ ჟორდანიას ცხოვრებას იცნობდა, არასდროს შეეპარებოდა ეჭვი პროფესორის გმირობაში. ის იყო ექიმი, რომელმაც ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ბოლოს კი საკუთარი სიცოცხლეც მსხვერპლად შესწირა.

სამწუხაროა, რომ მისი ხსოვნის შებღალვა ჯერ საქართველოში ცადეს, შემდეგ კი იგივე დამოკიდებულება რუსეთშიც გაჩნდა. ვიღაცამ ვერ აიტანა, რომ მაშველი რგოლი პროფესორის გმირობის შარავანდედად იქცა!“... – ჰყვება გულდაწყვეტით ბატონი არჩილი.

1962 წელს იოსებ ჟორდანიას სახელი ეწოდა თბილისში მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტს დღეს არჩილ ხომასურიძე ხელმძღვანელობს.

რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის მიზანმიმართული პრიორიტეტი ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობაა. აქ სწავლობენ და მკურნალობენ გინეკოლოგიურ და ენდოკრინოლოგიურ დარღვევებს.

ჟორდანიას ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები – პაციენტთა ინტერესების დაცვა, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და ყურადღება – მისი ხელმძღვანელის ძირითადი მითითება და მოთხოვნა გახლავთ კოლეგებისადმი.

არჩილ ხომასურიძეს, აგრეთვე, ხელმძღვანელობს ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის კათედრას. მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. ის განსაკუთრებული სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ცდილობს ახალგაზრდებს გადასცეს ის ცოდნა და გამოცდილება, რაც წლების განმავლობაში თავად დააგროვა.

– ისინი ხომ ჩვენი გზის გამგრძელებლები არიან, – ამბობს ბატონი არჩილი.

სტუდენტები და რეზიდენტები პატივს სცემენ პედაგოგს და ასეც უნდა იყოს: ჩვენ, ყველამ, თუ არ დავაფასეთ ის, რასაც აკეთებს და რაც გაუკეთებია ჩვენს წინამორბედს, ჩვენს საქმიანობას აზრი დაეკარგება...

დღეს დიდად გვახარებს, რომ ჩვენმა მედიკოსებმა კოვიდ-ვირუსით დაავადებული ბევრი ადამიანი გადაარჩინეს, მაგრამ არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ, მასობრივი გარდაცვალებების ფონზე საქართველოში რეპროდუქტოლოგიურ კლინიკებში, სადაც ძირითადად ჟორდანიას ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები და აღზრდილები მოღვაწეობენ, უამრავი ახალი სიცოცხლე ჩნდება, რაც ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ძალიან მნიშვნელოვანია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამაში უდიდესი წვლილი და დამსახურება მიუძღვის არჩილ ხომასურიძეს, კაცს, რომელიც, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, კვლავ ენერგიულად განაგრძობს რეპროდუქტოლოგიის მესაჭეობას საქართველოში – ქართველების, და არა მარტო ქართველების, დაბადებისა და გამრავლებისთვის ბრძოლასა და მოღვაწეობას.

„ვფიცავ აპოლონ მკურნალს, ასკლეპიოსსა და ყველა ღვთაებას, მათ ვიმოწმებ, რომ ფიცს ისე შევასრულებ, როგორც შემეძლება. იმ ექიმს, რომელმაც ხელობა მასწავლა, ისეთ პატივს მივაგებ, როგორსაც საკუთარ მამას, მას ჩემს შემოსავალსაც კი გავუნაწილებ. ხელობას კი, რომელიც მან მასწავლა, მის ვაჟებს ვასწავლი და მათ, ვინც ეს ფიცი დადო, სხვას არავის.

ავადმყოფის განსაკურნებლად ყველაფერს გავაკეთებ, მათ ზიანს არ მივაყენებ; თუ რომელიმე მათგანი მომაკვდინებელ საშუალებას მომთხოვს, არ მივცემ;

რომელ სახლშიც უნდა შევიდე, ავადმყოფის საკეთილდღეოდ შევალ“...

ჰიპოკრატეს ამ უძველესი ფიცის ნაწყვეტი აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ ის ზედმიწევნით ზუსტად ასახავს არჩილ ხომასურიძის, როგორც ექიმისა და პიროვნების, თაობებისათვის მისაბაძი მამულიშვილის ცხოვრებისეულ მრწამსს.

არ არის ადვილი, ისაუბრო იმ ადამიანზე, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე იმდენი სიკეთე და ქველმოქმედება აქვს გაკეთებული, მასზე დაუსრულებლადაც რომ წერო, ყველაფერს მაინც ვერ იტყვი.

არჩილ ხომასურიძე – ექიმი, მეგობარი, მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული ელიტის შესანიშნავი წარმომადგენელი – კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ხე კენწეროდან არ იზომება, ძირიდან, ფესვებიდან უნდა განისაზღვროს მისი სიმაღლე და ღირებულება.

არჩილ ხომასურიძეც, ეს საინტერესო კაცი, როგორც ადამიანი და როგორც პიროვნება, ბავშვობიდან იწყება, ხოლო ბავშვობა ის დვრიტაა, რითაც ადამიანი ხდება ის, ვინც არის შემდგომ, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ირანდა კალანდაძე

შესავალი

არასდროს მიფიქრია, ფართო საზოგადოებისთვის ჩემს ცხოვრებაზე მომეყოლა, რადგან მიმაჩნდა, რომ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებდი, ხოლო, რაც მიკეთებია, ჩემი აზრით, ეს ყველა ნორმალური კაცის მოვალეობაა. მაგრამ წლებმა რომ მხრებზე დამათოვა, ვიფიქრე მეც, მირჩიეს მეგობრებმაც და გადავწყვიტე, გავახმიანო ჩემი ცხოვრების ეპიზოდები მომავალი თაობებისთვის, ჩემი საქართველოსთვის.

ჩემი ცხოვრების ამბის აღწერა რომ გადავწყვიტე, მას ერთსიტყვიანი სათაური შევურჩიე – „ნერვი“, რაც ჩემი ხასიათისთვის ყველაზე შესაფერისად მიმაჩნდა, მაგრამ ეს სახელი დაკავებული აღმოჩნდა ვლადიმირ ვისოცკის მიერ. ამიტომ იძულებული გავხდი, ბიოგრაფიული მოთხრობის უფრო ტრივიალურ დეფინიციაზე შევჩერებულიყავი: „ჩემი გზა“.

(კარგია, რომ ეს დეფინიცია არც კლოდ ფრანსუას და არც პოლ ანკას არ „დაუპატენტებიათ“).

I've lived a life that's full,
I traveled each and every highway
But more, much more than this,
I did it my way...

ადამიანი სრულად და დეტალურად, ალბათ, ვერასდროს მოჰყვება იმას, რაც გადახდა, რა გარემოებებმა და ფაქტორებმა განაპირობა მისი ცხოვრების გზა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ეპიზოდები, ძირითადი მოვლენები ან თავად მისი დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ, მაგრამ, როგორც დიდებული ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობდა: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“. მინდა შთამომავლობამ იცოდეს, რა გზა გავიარე, რამდენი ქარტეხილი, წარმატების რამდენი მწვერვალი დავიპყარი, რამდენ თანამოძმეს – ადამიანს, სულიერს დავეხმარე: რა ვარგე ჩემს

ქვეყანას, ქართულ და მსოფლიო მედიცინას; რა შეცდომები დავუშვი, სად წავიფორხილე და მერე როგორ წამოვდექი. ვფიქრობ, რომ ამ გზის ჩემეულ ანალიზთან გაცნობა სასარგებლო იქნება მკითხველისთვის. არა მგონია, რომ ამ ამოცანას ვინმემ გაართვას თავი ჩემს გარდა.

ადამიანის მთავარი დანიშნულება დედამიწაზე სიკეთის კეთება და სიყვარულის თესვაა, ამიტომ არ ვიცი, აუცილებლად უნდა აღვნიშნო თუ არა, მაგრამ მინდა ვთქვა: თითქოს გენეტიკურად იყო ჩემში ჩადებული, სიკეთე უნდა მეკეთებინა და ვაკეთებდი კიდევაც ამას, დაუზარლად, სიხარულით და რაღაცნაირი თავდაუზოგაობითაც. თითქოს სიკეთე იყო ჩემი ცხოვრების მთავარი არსი. ეს დედაჩემისგან გადმომეცა მთავარ თვისებად, ანდერძივით, თუმცა სიკეთის წილ იმდენი ღალატი და იმედგაცრუება ვიწვნიე, რომ დღესაც ღია ჭრილობასავით მტკივნეულია გახსენება; ამიტომ ჩემს მოგონებებში იმ ადამიანებს არ დავასახელებ, რომლებმაც უსამართლოდ მომაყენეს ტკივილი, მხოლოდ კარგ ადამიანებზე ვილაპარაკებ, რომლებიც, საბედნიეროდ, უფრო მეტნი იყვნენ.

საზოგადოდ, ყველა იქცევა ისე, როგორც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია. მე კი, თავიდან რომ დავიბადო, ისევ იმავე გზით ვივლიდი.

საქართველოს ერთი ჩვეულებრივი შვილი ვარ. არასდროს მიმაჩნდა, რომ განსაკუთრებული ვიყავი. მე გახლდით ადამიანი, რომელსაც ერგო დამსახურებული პატივისცემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, წამყვანი ქვეყნების მედიკოსების, მეცნიერების სხვა დარგების გამოჩენილი წარმომადგენლებისა და თავად უცხო საზოგადოებისაგან უფრო მეტად ვიყავი დაფასებული, ვიდრე ჩემს სათაყვანებელ სამშობლოში.

წინაპრები. ოჯახი

ბაბუაჩემს აფთონი ერქვა, ბებიაჩემს – ფროლენცია. ბებიაჩემს დაურქმევია დედაჩემისთვის სახელი ვანანა. რატომ ვანანა? ბებიაჩემს ორსულობის დროს წაუკითხავს სტენდალის „ვანინა ვანინი“. ვანინის პერსონაჟი მოსწონებია და ამ შთაბეჭდილებით შეურქმევია დედაჩემისთვის ვანანა.

ახლა, შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს ჩემი ნათესავების უჩვეულო სახელები, მაგრამ მაშინ მოდად ყოფილა უცნაური სახელების დარქმევა, განსაკუთრებით გურიაში. ისედაც უყვართ გურულებს ყოველივე უცხოს შეთვისება და ადვილადაც ახერხებენ ამას. ნიჭიერი, ლაღი, ინტერესით სავსე ხალხია გურულები – ექსტრავაგანტურები და ორიგინალურნი.

მამაჩემის მხრის რაჭველ ნათესავებს ყველას კლასიკური სახელები ერქვათ – ალექსანდრე, გიორგი, ნიკოლოზი, ოლღა.

რაც შეეხება ჩემს სახელს, სახელი არჩილი ძალიან მომწონს და ბებიას – ფროლენცია ჯაყელს დაურქმევია ჩემთვის.

ბებია ჩემს დაბადებას მოესწრო, თუმცა მალე გარდაიცვალა. წლების მანძილზე მას პარკინსონის დაავადება სტანჯავდა, როგორც შემდეგ დედას, რადგან, სამწუხაროდ, ეს დაავადება შთამომავლობით გადადის.

დედის მშობლები საინტერესო ადამიანები იყვნენ. ფროლენცია ჯაყელი, დედაჩემის დედა, მესხი თავადების შთამომავალი ყოფილა. განათლებული, კულტურული ქალი. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული ბათუმში. მასწავლებელი გახლდათ. გარეგნულადაც შთამბეჭდავი აღნაგობის ქალი იყო.

ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა აფთონ ცინცაძე აზნაური ყოფილა, თუმცა გურიაში თავადი შარაშიძეების ოჯახში იზრდებოდა. ცინცაძეების მრავალშვილიან ოჯახში თერთმეტი შვილი იყო. ბაბუა მათ შორის ყველაზე უმცროსი ყოფილა.

ბაბუაჩემის გამზრდელს, ფრიდონ შარაშიძეს საკუთარი შვილი არ ჰყოლია. მისი მეუღლე თეო ბაბუაჩემის – აფთონის და იყო და, რადგან უშვილონი იყვნენ, ბაბუაჩემი უშვილებიათ,

რომ ქონება ახლობელს დარჩენოდა, ქონება კი საკმაოდ ჰქონია – თითქმის მთელი სოფლის მიწები ფრიდონ შარაშიძეს ეკუთვნოდაო. უკვე მოზრდილი აფთონი კიევში გაუგზავნია სასწავლებლად მამობილს. იმ წლების და, ალბათ, გარემოცვის გავლენითაც, ბაბუა რევოლუციურ მოძრაობაში ჩართულა, მენშევიკებს თანაუგრძნობდა თურმე.

ბაბუაჩემი გარკვეულ ხანს ჩოხატაურის მაზრის უფროსიც ყოფილა. იმის მიუხედავად, რომ განკულაკების შემდეგ მაინცდამაინც ბევრი არაფერი დარჩენიათ, ძველი, თავადური სახლ-კარი და ეზო-მიდამო მაინც ჰქონიათ ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანეულში.

დედას გარდა ბებია-ბაბუას კიდევ სამი ქალიშვილი ჰყავდათ და ერთი ვაჟი – ჩემი ბიძა გიზო ცინცაძე, ძალიან ენამოსწრებული და კოლორიტული კაცი.

დედაჩემი უფროსი იყო თავის ხუთ დედმამიშვილს შორის. დედას მომდევნო დას, დეიდაჩემ ასმათის, ნათესავები „ღუნტუშას“ ეძახდნენ. ღუნტუშა გაუთხოვარი იყო, მკაცრი, თუმცა თბილი ხასიათი ჰქონდა. მას მოჰყვებოდა დეიდა ლილი.

დუდანა და ტუგა ლილი დეიდას შვილები არიან. დღესდღეობით ჩემს სისხლსა და ხორცთაგან ყველაზე მეტი ახლობლობა სწორედ დუდანასა და ტუგასთან მაქვს. ტუგა მიყვარდა და მიყვარს განსაკუთრებით. არ ვიცი, რატომ დაარქვეს ტუგა, მაგრამ მახსოვს, ამბობდნენ, ტუგა რა სახელია, შევუცვალოთო და, სახელებს რომ არჩევდნენ, ხან ბაკური, ხან ანდრო, ხან ბაბუას სახელიო, ხან რამაზიო, რა ვიცი, რამდენი სახელი არ შეურჩიეს, მაგრამ მაინც ტუგა შერჩა. ბოლოს თვითონ დაირქვა არჩილი და ახლა ორივეს არჩილი გვქვია. ტუგა კარგი კარდიოლოგი და ძალიან წესიერი კაცია. არის, ასე ვთქვათ, სუპერწესიერი და უანგარო ექიმი. სიცოცხლეში არც ერთი პაციენტისგან ფული არ აუღია.

მისი და, ჩემი დეიდაშვილი დუდანა, რომან ბაქრაძის მეუღლეა. ისიც ჩემი უსაყვარლესი და უახლოესი ნათესავია. ჩემთვის ასევე ძალიან ახლობელი და ერთგული ადამიანია ტუგას მეუღლე მაია იანქოშვილი.

დედაჩემის მესამე და იყო ციცო, იგივე ნინო, ულამაზესი ქალი, რომელიც ისეთი მომხიბვლელი ყოფილა თურმე, ქუჩაში რომ მიდიოდა, ხალხი ჩერდებოდა და უყურებდა. ციცო ბუნებითაც სასიამოვნო და ჭკვიანი ქალი იყო.

დეიდაჩემ ციცოს მეუღლე იყო თბილისში ცნობილი ექიმი და ქირურგი არჩილ ერისთავი, კონსტანტინე ერისთავის ძმისშვილი. არჩილი 58 წლის ასაკში ღვიძლის კიბოთი გარდაიცვალა. მათი შვილები არიან მანანა და დავით ერისთავები. ჩემი დეიდაშვილი მანანა (მაცაცო) ერისთავი ისეთივე ლამაზი და მომხიბვლელი, როგორიც იყო მისი დედა. მანანა ჩვენთან მუშაობდა, ჟორდანიას ინსტიტუტში ექიმ-რადიოლოგად, შემდეგ იტალიაში წავიდა, ახლა რომში ცხოვრობს.

დათო, სამწუხაროდ, არ დაქორწინებულა.

ყველა დეიდა აპრილში იყო დაბადებული. დედას დედმამიშვილებიდან ერთადერთი გიზო ბიძია დაბადებულა 1921 წლის 4 თებერვალს. მას ერთი ვაჟი ჰყავს, გიორგი ცინცაძე, რომელსაც გოგლიკას ვეძახით. ის ყველაზე უმცროსია ბიძაშვილებსა და დეიდაშვილებში, საინტერესო და ინტელექტუალური კაცი.

მინდა, განსაკუთრებული სიყვარულით გავიხსენო ლილი დეიდას მეუღლე ალექსანდრე (საშა) ჩიხლაძე, უაღრესად კეთილშობილი და კარგი ადამიანი. ძალიან ძლიერი მშენებელი ინჟინერი იყო. ბავშვობიდან მომყვება უტკბილესი მოგონებები საშა ძიაზე, როგორც მოყვარულ და გულისხმიერ კაცზე.

ახლობლებიდან, ასევე, ძალიან მიყვარს რომან შაქარიშვილი, რომლის ბებია აღათი და ბაბუაჩემი აფთონი და-ძმანი იყვნენ.

რომან შაქარიშვილი დღემდე ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორია. ნეიროქირურგი იყო რომან შაქარიშვილის მამაც, რომელსაც ასევე რომანი ერქვა. ისიც ცნობილი ექიმი და თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე იყო. დედაჩემი ამბობდა ძალიან კარგი მამა ჰყავდა რომანსო, კარგი შვილიც გაზარდა და მინდა მასთან ახლო ურთიერთობა გქონდესო.



ბაბუა – აფთონ ცინცაძე

ბებია – ფროლენცია ჯაყელი



აფთონ ცინცაძე და ფროლენცია ჯაყელი შვილებთან ერთად

ფრიდონ შარაშიძე, თეო ცინცაძე და ფრიდონ შარაშიძის ძმა



დედა –
ვანანა ცინცაძე

დეიდა –
ასმათ ცინცაძე

დეიდა –
ლილი ცინცაძე

დეიდა –
ციცო ცინცაძე

ბიძა –
გიზო ცინცაძე

ბიძა –
საშა ჩიხლაძე

პატარა არჩილი დეიდა ციცოსთან ერთად

დუდანა და ტუგა ჩიხლაძეები

არჩილ ერისთავი და ციცო ცინცაძე შვილებთან ერთად

გიორგი ხომასურიძე, ვანანა, ლილი და ასმათ ცინცაძეები,
ალექსანდრე ჩიხლაძე, პატარა გოგლიკა ცინცაძე

ციცო და ვანანა ცინცაძეები, გიორგი ხომასურიძე,
პატარა ნინო ხვედელიძე და გოგლიკა ცინცაძე

გიორგი ხომასურიძე, ვანანა ცინცაძე, დუდანა ჩიხლაძე,
ლილი ცინცაძე და ალექსანდრე ჩიხლაძე

მანანა (მაცაცო) ერისთავი

ტუგა ჩიხლაძისა და მაია იანქოშვილის ქორწილი

რომან ბაქრაძე და დუდანა ჩიხლაძე

მშობლები

მამაჩემი გიორგი ხომასურიძე რაჭველი იყო, ონის რაიონის სოფელ ხირხონისიდან.

მამის სოფელში სულ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, მაგრამ იქაური სამოთხისებური, არაამქვეყნიური სილამაზე ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება.

ბაბუაჩემი, მამაჩემის მამა ნიკიფორე ხომასურიძე, შეძლებული სოვდაგარი ყოფილა, შეიძლება ითქვას, თავისი დროის მილიონერი. ფლობდა სახლებს, ქარვასლებს ადრინდელი ორჯონიკიძის ქუჩაზე, იქ, სადაც დღეს ჩვენი ინსტიტუტია.

ცნობილი ისტორიული მოვლენების დროს, 1917 წელს, ბაბუაჩემი გააკულაკეს. თავისი ქონებიდან დარჩენია ორი თუ სამი ოთახი ორჯონიკიძის 92-ში, მეორე სართულზე, საერთო საპირფარეშოთი და ცივი წყლით. იქ ვიზრდებოდი მე ბავშვობაში.

იმ მძიმე პოლიტიკური მოვლენების გამო დაზარალებულს უნერვიულია, 46 წლის ასაკში ინსულტი მოსვლია და გარდაცვლილა. ასე დაკარგა მამაჩემმა ყველაფერი და 17 წლისა ობლად დარჩა.

მამა 1912 წლის 25 მარტს დაბადებულა. არ ვიცი, როგორ ხდება, მაგრამ სიმბოლური მგონია, რომ ყოველ წელს ჩემი და მამაჩემის დაბადების დღე კვირის ერთსა და იმავე დღეს ემთხვევა. ჩემი დაბადების დღე 11 თებერვალი რომელიმე წელს თუ დაემთხვა, მაგალითად, სამშაბათს, მამაჩემის დაბადების დღეც იმ წელიწადის სამშაბათ დღეს არის, ხოლო ნაკიან წელს ჩემი დაბადების დღე ყოველთვის ემთხვევა დედაჩემის დაბადების დღეს და ასე შემდეგ...

მამას დებიც ჰყავდა. ისინი მამის გარდაცვალების პერიოდში, ალბათ, 18-20 წლისანი იქნებოდნენ, მამიდაჩემები – ულამაზესი, მშვენიერი ქალბატონები...

ოჯახის უფროსის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ეკონომიურად უფრო გასჭირვებიათ. მამა ჰყვებოდა მერე: 17 წლისა მუშად ვიყავი აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, ოჯახი რომ შემენახა და ობოლი დებისთვის მეპატრონაო.

მამაჩემის დედა ქოჩლაძის ქალი იყო. ფოტოებზე კარგად ჩანს მისი სილამაზე და მშვენიერება, თუმცა გარეგნობასთან ერთად სულიერად იმდენად სათნო ყოფილა, რომ საყვარელი მეუღლის გარდაცვალება ძალიან უნაღვლია და თავადაც მალე მიჰყოლია ბაბუაჩემს.

იმ ხანებში ტუბერკულოზი მძვინვარებდა. ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი ამ საშინელი დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი. მამაჩემიც დაავადებულა ტუბერკულოზით და, ალბათ, თავისი მამის მსგავსად, თავადაც დიდხანს ვერ იცოცხლებდა, ბედად რომ არ მოესწრო სტრეპტომიცინს და ფტივაზიდს. ეს პრეპარატები და თანმიმდევრული მკურნალობა დაუნიშნავს მამაჩემისთვის შესანიშნავ სპეციალისტს, პულმონოლოგს ქალბატონ ჩერნელს. მახსოვს კიდევაც ეს ქალბატონი, ჩვენთან რომ დადიოდა სახლში. მძიმე კლინიკური მდგომარეობა ჰქონია მამას, ე.წ. ღია ტუბერკულოზი. ჩემი ვარაუდით, სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა მამაჩემის ცხოვრებაში დედა.

მართლაც განსაკუთრებული ადამიანი იყო მამაჩემი, გამორჩეული როგორც გარეგნულად, ასევე სულიერად. იმის მიუხედავად, რომ მამა აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მუშაობდა, მაინც ახერხებდა სწავლას. მან შესანიშნავი განათლება მიიღო ჯერ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ მოსკოვში, საფეიქრო ინსტიტუტში მსუბუქი მრეწველობის განხრით. მამაჩემი აბრეშუმის ქსოვილების ტექნოლოგი იყო და, როგორც ამბობენ, უმაღლესი დონის ინჟინერი. 52 წელიწადი იმუშავა აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. დღეს ყველა აღიარებს და ასეცაა, რომ, ფაქტობრივად, აბრეშუმსაქსოვი მრეწველობის დამაარსებელი საქართველოში იყო მამაჩემი.

რუსეთის მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში მან ამ მიმართულებით საფუძვლიანი განათლება მიიღო. ეს ცოდნა შემდეგ კარგად გამოიყენა პრაქტიკულ საქმიანობაში. მშრომელი კაცი იყო და, საერთოდ, ვისაც ვიცნობ, ყველა ხომასურიძე ძალიან მშრომელია, ყველა საქმის ერთგული და თავდადებულია.

ერთხელ სადღაც მივდიოდით და მანქანით ჩავუარეთ აბრე-

შუმსაქსოვ ფაბრიკას. საღამო ხანი იყო, ზაფხულის პერიოდი, და ფაბრიკის შენობის ფანჯრები ღია ჰქონდათ. ერთ-ერთ ფანჯარას რომ გავუსწორდით, მამაჩემმა მძღოლს უთხრა: მოიცა, გააჩერეო და ყური დაუგდო საქსოვი დაზგის ხმას. მერე გააღო მანქანის კარი და თქვა: უნდა შევიდე, რომელიღაც დაზგაში მასრაა ჩავარდნილიო. რომ მობრუნდა, ღიმილით გვითხრა: კიდევ კარგი რომ წავედი, მართლაც მასრა იყო ჩავარდნილი დაზგაშიო. ასეა – მამაჩემი თავისი საქმის უზადო მცოდნე და მოყვარული, მშრომელი, საქმისთვის თავდადებული ინჟინერი იყო.

მას მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულებები ჰქონდა ფაბრიკის დირექტორებთან. კარგად მახსოვს ფაბრიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შესანიშნავი ქალბატონი ელენე ღავთაძე, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ქალბატონი ნინო ჟვანიას მოგონებას მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავია. თუ რატომ, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ.

რამდენიმე წელი ფაბრიკას ხელმძღვანელობდა მამაჩემის ყოფილი მოწაფე ლევან დოლიძე. ამ ადამიანებთან ჩვენს ოჯახს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და დღემდე სიამოვნებით ვიგონებ მათ.

ბოლო წლებში მამაჩემმა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსად იმუშავა.

მანქანაც ჰყავდა – „მოსკვიჩი“. დღეს ვინმეს შეიძლება გაეღიმოს, მაგრამ ეს არ იყო მაშინ პატარა საქმე. მძღოლიც ემსახურებოდა – ვახტანგ ხეჩუაშვილი. კარგი კაცი იყო, ძალიან ვუყვარდი და საკუთარი შვილივით მივლიდა.

მთელი საქართველოს ამ დარგის სპეციალისტები და სხვები, ვისაც რაიმე ფორმით შეხება ჰქონდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან ან, საერთოდ, მსუბუქ მრეწველობასთან, ყველგან იცნობდნენ მამაჩემს.

იმ ხანებში აბრეშუმის მრეწველობას საქართველოში ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა. ქართული აბრეშუმი, რომელიც იქმნებოდა ქართული აბრეშუმის ჭიის პარკისგან, საერთაშორისო გამოფენებზე, მოსკოვში, უმაღლეს შეფასებებს იღებდა.

ბოლოს ისე მოხდა, რომ მამაჩემი სამსახურიდან საპენსიო ასაკამდე თავისი ნებით წამოვიდა. აწყენინეს რაღაც და იუკადრისა. მას შემდეგ სულ სახლში იყო, არ უყვარდა გარეთ სიარული, ერთი იაპონური ჯიშის ძაღლი გვყავდა – ტობი, იმას ასეირნებდა ხოლმე...

უკვე მედიცინის დოქტორი ვიყავი, როცა მამაჩემი სერიოზულად გახდა ავად. მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი. ეს ამბავი რომ შემატყობინეს, სასწრაფოდ ჩამოვედი. ორი თვე თავდაუზოგავად ვუვლიდი. ღამეებს ვუთენებდი. გვერდით მედგნენ „ლეჩკომბინატის“ მაშინდელი შესანიშნავი ექიმები – თენგიზ ბეგიაშვილი, ამიკო კავკასიძე, ბიჭიკო შალიკაშვილი, თემურ კალანდაძე და გადავარჩინეთ მამაჩემი. მერეც, ყოველთვის, როცა კი რაიმე გაუჭირდებოდა, როგორც შვილი და როგორც ექიმი, მასთან ვიყავი და ერთად ვებრძოდით მის დაავადებებს.

მამას ლიდერის ბუნება ჰქონდა. მიჩვეული იყო ხელმძღვანელობას და ოჯახშიც მკაცრ, ძალაუფლებისმოყვარე ხასიათს ამჟღავნებდა, თუმცა ჩემ მიმართ ყოველთვის თბილი და ყურადღებიანი იყო.

საერთოდ, უდიდეს პატივს ვცემდი მშობლებს. იმის მიუხედავად, რომ ჩემი პროფესიული კარიერის პერიოდში შემეძლო შვებულების დღეები საზღვარგარეთ გამეტარებინა, საქართველოს კურორტების გარდა არსად მივდიოდი და ყოველთვის ერთად ვისვენებდით. ვუვლიდი, ვეფერებოდი მათ და მიმაჩნია, საკუთარი შვილები რომ მყოლოდა, ალბათ, მხოლოდ მათზე გავწევდი იმდენ ამაგს, რაც მშობლებზე გავწიე. მამის წინაშე, როგორც შვილს, ვალი, შესაძლოა, გადახდილად ჩამეთვალოს, მაგრამ დედის ამაგს, მეორე ცხოვრებაც რომ მარგუნოს ღმერთმა, ვერასდროს გადავიხდი. დედამ არა მხოლოდ სიცოცხლე მაჩუქა, არამედ თავისი თავი მომიძღვნა. ის ჩემთვის და ჩემით ცოცხლობდა და არსებობდა.

სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ ორივე მშობლის გარდაცვალებისას მათ გვერდით არ ვყოფილვარ...

მკაცრი ხასიათის მამისგან განსხვავებით, ჩემი უსაყვარლესი დედა – ვანანა ცინცაძე – თბილი, მოსიყვარულე, გულმოწყალე ქალი იყო, ბრძენი და თავმდაბალი.

დედაჩემი დაბადებულა 1911 წელს 3 ნოემბერს სოფელ იანეულში, ბაბუაჩემის აფთონ ცინცაძის დიდ სახლში, რადგან მაშინ სამშობიარო სახლები არ არსებობდა.

რაც მე კარგი, ადამიანური თვისება მაქვს, სულ დედაჩემის დამსახურებაა. ხასიათითაც დედას ვგავარ. რომ გავაბრაზებდი, გურული ქალის ჩვეული კაპასობით დამწყევლიდა ხოლმე მოუკვდი დედასო, მაგრამ გაივლიდა დრო და მეტყოდა: შვილო, დედა რომ გწყევლის, მისი ძუძუები გლოცავენო. ის ანგელოზებრივი ბუნების ქალი იყო. რაც უნდა დამეშავებინა, ხელს უდიერად არ დამაკარებდა. სხვათა შორის, არც მამაჩემს გავუწკეპლივარ ოდესმე.

გარეგნულად, როგორც მეუბნებიან, ორივეს ვგავარ.

მშობლებს ჩემზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე და მოზრდილობაში ყოველთვის ვცდილობდი, მეც სიყვარულით მეპასუხა. შეძლებისდაგვარად, მგონი, ვახერხებდი ამას, თუმცა დამრჩა ვალი მათ წინაშე, რომელსაც, ალბათ, ვეღარასდროს გადავუხდი – მოხდა ისე, რომ მე არ დავქორწინდი და ვერ მოვასწარი მათ შვილიშვილები.

ამასთან დაკავშირებით პატარა ამბავი მახსენდება: ერთი ქალი ცხოვრობდა იანეულში – თინა შარაშიძე. ერთხელ ქალბატონ თინას უთქვამს: მე ვიცი, რატომ არ შექმნა ოჯახი არჩილმაო. რატომო? – უკითხავთ. რატომო და, მაგან ყველაფერი იცის, მაგრამ „ბაშტაობის“ თავი არა აქვსო. აღმოჩნდა, რომ „ბაშტაობა“ არ არის ფლირტი, არც სექსი, „ბაშტაობა“ გურულად ყოფილა მოვლა, ქალის მოვლა, ქალის ყოველდღიური პატივისცემა, ქალის, ანუ ცოლის გაღმერთება. – არჩილს არც მაგის თავი აქვს და არც მაგის დროო, – დამისვა ქალბატონმა თინამ დიაგნოზი და მართლაც ასე გამოვიდა.

დედაჩემს ისე ვუყვარდი, თავისი გარდაცვალებითაც კი არ შემაწუხა. მას სიკვდილამდე პარკინსონის დაავადება სტანჯავდა. ვასმევდი ფრანგულ პრეპარატ ნაკომს. ეს ერთადერთი წამალი იყო იმ პერიოდისთვის, რომლითაც პარკინსონის დაავადებას მკურნალობდნენ.

ერთ დღეს დედაჩემს შევატყვე, რაღაცნაირად სუსტად გრძნობდა თავს. იმ დღეს სამსახურიდან ადრე წამოვედი. როგორც კი მივედი, ტემპერატურა გავუზომე – მომატებული ჰქონდა. ანტიბიოტიკს დავუწყე ძებნა და აღმოჩნდა, რომ არ გვქონდა. წავედი ანტიბიოტიკის მოსატანად და რომ დავბრუნდი, დედა გარდაცვლილი დამხვდა.

მწარედ მახსოვს ის დღე. 3 მარტი იყო, 1994 წელი – ჩემი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკული დღე...

ბევრი გაჭირვება გავიარე ცხოვრებაში, ბევრი უსიამოვნება, უსამართლობა, როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე ადამიანებისგან, მაგრამ ამ ტრაგედიას ვერ შეედრება ვერც ერთი უსიამოვნება და მწუხარება, რაც ოდესმე გადამიტანია.

1996 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირის დელეგაციის საპატიო წევრად გამგზავნეს ატლანტის ოლიმპიადაზე. მართალია, მაშინ უკვე თბილისში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, მაგრამ მაინც არ ვავიწყდებოდი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ჩინოვნიკებს და მაღალი თანამდებობის პირებს და ჩამრთეს საბჭოთა დელეგაციაში. ისედაც ხშირად ჩავდიოდი მოსკოვში, იქ საკუთარი ბინაც მქონდა. თანაც რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის წევრი გახლდით და ამ კუთხითაც მეკუთვნოდა ოლიმპიადის დელეგატობა. ატლანტაში ყოფნისას ჩემი ბიძაშვილისშვილმა გოგა შაქარაშვილმა დამირეკა. ხმაზე შევატყვე, გუნებაზე ვერ იყო. მაშინვე მივხვდი და ვკითხე: მამაჩემი გარდაიცვალა-მეთქი? კიო, – მიპასუხა. ამერიკიდან პირდაპირი რეისები მაშინ არ იყო და არც მახსოვს, როგორ, რა გზებით გულდამწუხრებული 24 საათში ჩამოვედი თბილისში.

მამა დავკრძალე დედის გვერდით, ვერის სასაფლაოზე. მამას დაკრძალვის მთელ ცერემონიაზე ჩემ გვერდით იდგა თი-

ნა თარბა, რომელთანაც 50-წლიანი მეგობრობა მაკავშირებდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თინა თარბამ ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. და-ძმასავით ვიყავით და ბედის მადლიერი ვარ, რომ ეს უჭკვიანესი ქალი შემხვდა ცხოვრების გზაზე...

ჩემი დაბადება

მხატვრულად რომ ვთქვა, ტანკების გრუხუნში დავბადებულვარ 1942 წლის 11 თებერვალს, თბილისის მე-2 სამშობიარო სახლში, უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩაზე.

მე რომ გავჩნდი, დედაჩემი 30 წელს გადაცილებული იყო. მიყვებოდა მერე, როგორ გაუჭირდა მშობიარობა. არც ჰქონდა ცხოვრების ნორმალური გარემო. შეძლებულ ოჯახში გაზრდილი ორჯონიკიძის ქუჩაზე ორ ოთახში ცხოვრობდა ე.წ. იტალიურ ბინაში, სადაც არ იყო არავითარი საყოფაცხოვრებო პირობები, ცივი წყალი იყო მხოლოდ საერთო ეზოში, სახლში კი ჰყავდა ტუბერკულოზით დაავადებული პნევმოთორაქსიანი მეუღლე, რომელსაც მუდმივი ყურადღება სჭირდებოდა. ნავთქურა იყო გათბობის ერთადერთი საშუალება. იმ ნავთქურაზე აცხელებდნენ წყალს, დედაჩემი აკეთებდა საჭმელს, რეცხავდა და კერავდა.

ასეთ ვითარებაში დავიბადე სრულიად ჯანმრთელი და მერეც რაიმე სერიოზული დაავადება არ მქონია, რაც მშობლების განსაკუთრებული ზრუნვის შედეგი იყო.

გასაკვირია, როცა ღია ტუბერკულოზით დაავადებული მამის გვერდით პატარა ბავშვი სრულიად ჯანმრთელი რჩება. ეს დედაჩემის დიდი დამსახურება იყო და, საერთოდაც, ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო დედაჩემის, ვანანა ცინცაძის მთელი ცხოვრება, მისი ზრუნვა მამაზე, ჩემზე, ოჯახზე, ნათესავებსა თუ ყველა ნაცნობსა და ახლობელზე. დედისეული შთაბეჭდილებებით და ემოციებით ვცხოვრობ დღემდე.

დედა – ვანანა ცინცაძე

მშობლები

სახლი იანეულში

პატარა არჩილი მშობლებთან ერთად

პატარა არჩილი

არჩილი 5 წლის ასაკში



დედასთან ერთად



მამასთან ერთად



მშობლებთან ერთად

მშობლები

იანეული, ბავშვობა

საქართველოს რომელ მხარესაც უნდა გაიხედო – ქართლი, კახეთი, სვანეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ჯავახეთი – იფიქრებ: მიწიერი სამოთხეა აქაურობაო. ჯერ თავისთავად, ისე, როგორიც არის, მერე იმიტომაც, რომ ჩვენი მამულია და ჩვენი სამშობლოა, ჩვენი წინაპრების ნატერფალია.

გურია არის საქართველოს ფასდაუდებელი ზურმუხტი და, როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა, ნამდვილი „სიცოცხლის სამოსახლო“.

მთიან გურიაში, ბახმაროს ახლოს, ჩოხატაურში ცხოვრობენ მესხ-კოლხების შთამომავალი გურულები, გულღია, სხარტი გონების, არტისტული ბუნების ხალხი, ლაღი იუმორით და საკუთარი მიწის სიყვარულით სავსენი.

ამ გარემოში აღიზარდა არჩილ ხომასურიძე – ჩოხატაურის რაიონის სოფელ იანეულში.

იანეული, მართლაც თვალს რომ მოგტაცებთ, ისეთი სოფელია მთის ძირში გაშენებული ლამაზი დასახლება, კოხტა, გულმოდგინედ მოვლილი ეზოებით, შიგ ჩადგმული გურული ოდებით და უკეთილშობილესი ადამიანებით, რომლებიც შეუძლებელია, არ ყოფილიყო გონიერი ყმაწვილისთვის შთამბეჭდავი ინსპირაცია ცხოვრების კრედოსა და თვით პროფესიის არჩევის თვალსაზრისით.

„ყოველ ზაფხულს დედას მივყავდი იანეულში. თვეობით ვრჩებოდით იქ და მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში რაც კარგი რამ გამომყვა მეგზურად, გურიიდან წამოვიღე. ამიტომ დღემდე თავს უფრო მეტ გურულად ვგრძნობ, გაგეცინებათ და, უფრო მეტ ცინცაძედ, ვიდრე ხომასურიძედ, იმის მიუხედავად, რომ მერე, მოზრდილობაში, ონში, სოფელ ხირხონისში, მამაჩემის სოფელში, მე უფრო ხშირად დავდიოდი, ვიდრე თავად მამაჩემი.

უსაყვარლესი დრო იყო ჩემთვის ზაფხული. იანეულში ვატარებდი ჩემი ცხოვრების ბედნიერ დღეებს. ვერთობოდი იქაურ მეგობრებთან, ვთამაშობდით ფეხბურთს ჭალაში, დავძვრებოდით ხეებზე, ვხეტიალობდით ტყეში. ყველა პირობა მქონდა იმისთვის, რომ ვყოფილიყავი უდარდელად, დამესვენა მშვიდად ბაბუაჩემის, აფთონ შარაშიძის ძველ სახლში, რომლის მემკვიდრე დედაჩემი იყო.

დედა შემხაროდა, ჩემით ცხოვრობდა. ჩემს აღზრდაში მთავარი ფიგურა და იდეოლოგი იყო, მინერგავდა ყველა თავის საუკეთესო თვისებას. ივნისში რომ წამიყვანდა იანეულში, მერე მთელი ზაფხული ფეხშიშველი, ტრუსის ამარა დავრბოდი იქაურ ბავშვებთან ერთად.

ვცხოვრობდით წაბლის ძველ სახლში, რომელიც ახლა, სავარაუდოდ, 225 წლისაა უკვე. იქ ვიყრიდით თავს ყველა ერთად – დეიდები, დეიდაშვილები, ბიძები. ის ძველი სახლი დღეს უკვე სხვანაირად გამოიყურება, გავარემონტე, გავამაგრე, ისევ დედის ხსოვნის და მისი სულის სიმშვიდისთვის, რადგან დღემდე მახსოვს, ერთხელ ნამტირალევმა რომ მითხრა, სახლი დაძველდა და ინგრევაო.

ახლა რომ სოფლიდან გარბიან და ქალაქში ან სხვა ქვეყანაში უნდათ ცხოვრება, ეს ძალიან მიკვირს. ჩვენ, ქალაქიდან ჩასულები, სოფელში ხანდახან ხუთი-ექვსი თვე ვრჩებოდით და სოფლის საქმეებსაც ხალისით ვაკეთებდით. დედაჩემი, ჩემი დეიდები და ბავშვები ჩართული ვიყავით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და, მიუხედავად ომიანობის სიდუხჭირისა, შეიძლება ითქვას, ყველაფერი გვქონდა. არაფერი არ გვაკლდა ბავშვებს.

მახსოვს პერიოდები, როცა ელექტროენერგია არ იყო და ღამ-ღამობით ლამპის შუქზე ვიყავით. გურიაში ლამპას ეძახიან „სანაფთიას“. ნავთჩასხმული ლამპა ყველაფერს ჭვარტლავს, დგება ნავთის მძაფრი სუნი, მაგრამ ეს იყო ცხოვრება – ტკბილი, მხიარული, ალაღი და თავისუფალი.

გვყავდა მეზობელთან საზიარო შავი ძროხა, რომელსაც ბავშვები სიშავის გამო ვეძახდით „შამილას“. მოწველიდა „შამილას“ დედაჩემი, ამოყავდა ყველი, გვასმევდა რძეს. გვქონდა ყანაც, სადაც მოგვყავდა სიმინდი. ამ სიმინდს ვფქვავდით და დედა აცხობდა უგემრიელეს მჭადებს. გვყავდა ქათმები. ბოს-

ტანში მოგვყავდა ნატურალური ბოსტნეული – კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი. თითქმის ყველანაირი ბოსტნეული გვქონდა. დედა პურსაც სახლში აცხობდა. დედის გამომცხვარ სურნელოვან პურს განუმეორებელი გემო ჰქონდა.

სამამულო ომის წლებში, მას შემდეგ, რაც თავი მახსოვს, დაახლოებით ორი-ორნახევარი წლიდან, როცა ხალხის უმეტესობა ჩვეულებრივად შიმშილობდა, არასდროს გვაკლდა საჭმელი. არ მომკლებია არაფერი, რაც შეიძლებოდა იმ დროს ბავშვს ჰქონოდა. ვიყავი ძალიან მოვლილი ბავშვი. დედაჩემი ზედმიწევნით იცავდა ჰიგიენას ჩემთან მიმართებაში, კვებას, ძილს. როგორც ჩანს, ყოველივე ამან გადამარჩინა, რომ ტუბერკულოზი არ დამემართა.

როგორც ვთქვი, ოჯახის ღერძი ჩემზე ტრიალებდა. განსაკუთრებით მიხაროდა ყოველი 11 თებერვალი. ჩემი დაბადების დღე იყო და ამ დღეს ყოველთვის აღვნიშნავდით – მოდიოდნენ ჩემი ტოლი გოგო-ბიჭები, ვერთობოდით და ვხალისობდით. მაგრამ ზაფხულის გართობას და დასვენებას მაინც ვერაფერი შეედრებოდა.

ჩვენი სახლი სოფელში იდგა მდინარე სუფსიდან დაახლოებით 20 მეტრში. წკრიალა მდინარეა სუფსა, თევზის დარანი იყო შიგ. ბლომად იყო საცურაო ადგილებიც. გურის ტბა ხომ საოცრებაა. სუფსის მდორე გაგრძელებას ეძახიან გურის, ანუ გურიის ტბას. მდინარე სუფსა სოფელ სურების მთიანი ხეობიდან მოედინება, საწყისს მთის წყაროდან იღებს. ჯავახეთთან მიახლოებული ზეგნიდან ერთი-ორ სოფელს გამოივლის და ღრმა ხევში აგრძელებს გზას, იმხელა გზას გადის სუფსა, რომ, მახსოვს, ჩვენი ეზოს ბოლოში, თითქოს წყაროს წყალიაო, ისეთი თხელი მოდიოდა ხოლმე. იყო სუფთა, კამკამა და ცივზე ცივი. ივლის-აგვისტოში ცოტათი შეთბებოდა ხოლმე გურულებივით გადარეული და კრიმანჭულივით მოკისკისე სუფსა და მაშინ გაივსებოდა მდინარის კალთები და თავად მდინარე ხალხით. ბავშვები წყალში ყირაზე გადავდიოდით. ცურვა გურის ტბაზე, სუფსის ხიდთან ვისწავლე. ვიქნებოდი, ალბათ, 5 თუ 6 წლის და

მას შემდეგ, რომ იტყვიან, აღარც ამოვსულვარ სუფსიდან.

ზაფხულობით შვებულების დროს მამაჩემიც ჩამოდიოდა თბილისიდან და ვიყავით მთელი ოჯახი ერთად. მამას ჩამოსვლა სოფელში ჩემთვის დღესასწაული იყო, რადგან უკვე ყველა ერთად ვიყავით.

იანეულში მყავდა უახლოესი მეგობარი – გოლიათა კალანდაძე, რომელიც სულაც არ არის ფიზიკურად გოლიათი, თუმცა, სახელს რომ გაიგონებ, მართლა გოლიათი გეგონება. გოლიათა ბავშვობაში ძალიან მოუსვენარი იყო, 7 წლის ასაკიდან სიგარეტს ეწეოდა. გამოივლიდა კოლმეურნეობის ბოსტანში, მოიპარავდა კიტრებს, ჩაიწყობდა უბეში და მოჰქონდა ჩემთან.

– მიეცი დედაშენს კიტრი, მაჩუქოს 50 კაპიკი, „პრიბოი“ რომ ვიყიდოო, – მეტყოდა ხოლმე. „პრიბოი“ სიგარეტს ერქვა.

გოლიათას კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა, მხიარული ბიჭი იყო, მომწონდა მასთან მეგობრობა. სულ ერთად ვთამაშობდით ჭალაში, მოედანზე ფეხბურთს.

„დიდი“ ტურნირები გვქონდა ფეხბურთში – სოფელი სოფელს ეჯიბრებოდა და იყო ერთი გაწევ-გამოწევა. იანეული და ბუკისციხე რომ შეებმოდნენ ერთმანეთს, უნდა გენახათ, რა ხდებოდა იქ, ეგრეთ წოდებულ სტადიონზე – ჟრიამული, ყიჟინა, გადაძახილ-გადმოძახილი... მხიარულება იყო, მეგობრობა და პაექრობაც.

რა თქმა უნდა, მეც ვთამაშობდი ფეხბურთს. ერთ გუნდად ვიყავით: მე, ბეტოიე ვაჩეიშვილი, გურამ კალანდაძე, შოთა წოწორია და სხვები. თამაშის მერე ბავშვები ჩავდიოდით მდინარე სუფსაზე, ვბანაობდით, ვთევზაობდით. რომ მოსაღამოვდებოდა, ვბრუნდებოდით შინ, დავდევდით ქათმებს და ინდაურებს ვერეკებოდით საქათმეში. სოფელში გვყავდა ძაღლიც, ჩემი ერთგული და მოყვარული ოთხფეხა მეგობარი.

სიზმრად შემომრჩა ბავშვობის მოგონებები, რომლებიც, როგორც ზღაპარი, ისეთი ტკბილი და განუმეორებელია.

რაც შეეხება გოლიათას, იგი ახლა 81 წლისაა, 7 წლიდან სიგარეტს ეწეოდა-მეთქი და ახლა ასთმა აქვს. ეს აწუხებს, თო-

რემ, ისე, თავის ასაკთან შედარებით, ვაჟკაცურად გამოიყურება და არც იუმორის გრძნობა დაუკარგავს.

ერთხელ გოლიათამ გამომიცხადა: ავად ვარ, კარგ ექიმებთან უნდა მიმიყვანოო.

– რა გჭირს-მეთქი, – ვკითხე.

– სუნთქვა მიჭირს და მუცელი მტკივაო.

მივიყვანე გასტროენტეროლოგთან. უთხრეს, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო. მერე მივედით ფილტვების სპეციალისტთან – არის ქრონიკული პროცესი, მაგრამ საგანგაშო არაფერიაო, დაგვამშვიდეს. წავედით კარდიოლოგთან. მანაც უთხრა, არაფერია საშიშიო. ბოლოს ვესტუმრეთ ნევროპათოლოგს, ჩემს ნათესავ რომან შაქარიშვილს. რომამ უთხრა: ფილტვებში არაფერი გაქვს, თირკმელში არაფერი გაქვს, თავშიც არაფერი არა გაქვსო. გაბრაზდა გოლიათა: – ამიზა ჩამეევედი აქანე? ყველე მიჩივა: არაფერი არ გაქვს, არაფერი არ გაქვსო. სინამდვილეში ბედი არ მაქვს – ნასესხები ფულით ჩამეევედი და ესაა საქმე, რომ არაფერი არ მჭირსო?!

დიდად არ გაუხარდა, კარგად რომ იყო.

ხომ გითხარით, უცნაური კაცია-მეთქი.

მაგრამ გავიდა დრო და კიდევ გახდა გოლიათა შეუძლოდ. ასთმის შეტევა მოუვიდა. ბედად, სოფელში ვიყავი. დამიძახა და მეუბნება: ცუდადაა ჩემი საქმე, სუნთქვა მიჭირს, ვკვდები მგონია, მივდივარ მიქელ-გაბრიელთანო. მე დავაწყნარე, ცოტა გავამხიარულე და წამოვედი. ორი თვის მერე ისევ ჩავედი სოფელში და მივაკითხე.

შევხედე, მშვენივრადაა.

– შენ ხომ მიდიოდი მიქელ-გაბრიელთან-მეთქი, – ვკითხე ხუმრობით.

– რაია, იცი? – მითხრა გოლიათამ. – დავფიქრდი, ბიჯო, არ-ჩილ, და, წასვლა რომ დავაპირე, ვიფიქრე: ჩემი წასვლა დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ქელეხის ხარჯებს, კუბოს, საფლავის ქვის საფასურს ვამჯობინე, წამალი მეყიდა, დავლიე და დავრჩი აქანე ერხანსო.

ძალიან ენამახვილი კაცია გოლიათა კალანდაძე. თითქმის აფორიზმების დონეზეა მისი გამონათქვამები ჩოხატაურში. კოლორიტული ადამიანია, ყველა იცნობს.

სოფლიდან თბილისში დაბრუნება ერთგვარი ზეიმი იყო, რადგან თბილისელ მეზობლებს და მეგობრებს მონატრებული ვიყავი.

თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე, ჩვენს ეზოში, ძირითადად, სომხები ცხოვრობდნენ. მათ შორის ჩემი მთავარი ძმაკაცი იყო სამველ, ანუ სამო კარაპეტიანი. სამო ისეთი შავი იყო, ბიძაჩემი გიზო ცინცაძე „ვაქსის კარობკას“ ეძახდა. ჩემი, ასე ვთქვათ, კარის მეზობლები იყვნენ მუსხელიშვილები – უსაყვარლესი ათა, ნანა და მათი დედა ვენერა.

1953 წლამდე ორჯონიკიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით, შემდეგ აბრეშუმის საქსოვმა ფაბრიკამ ააშენა სახლი დოლიძის ქუჩის ბოლოში, სადაც მისცეს მამაჩემს ბინა. 11 წლისა ვიყავი, როცა იმ სახლში გადავედით. მაშინ დოლიძის ქუჩა ჯერ კიდევ არ იყო მჭიდროდ დასახლებული, ასფალტიც არ ეგო, კერძო სახლები სჭარბობდა გზის მარჯვნივ და მარცხნივ. ჩვენი სახლი ოთხსართულიანი იყო. ამ სახლში ცხოვრობდნენ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის თანამშრომლების ოჯახები. იქაური მეგობრებიდან ყველაზე მეტად მახსოვს: ტოლიკ დოლგოშევი, ბორია პეტროვი – ერთ-ერთი პირველი ჯაზმენი საქართველოში, ძმები შანიძეები, ზაურ კერვალიშვილი, მისი ძმა შუქო, ნოდარ კაკაბაძე, შოთა სვანიძე. იქაც უსაყვარლესი მეზობლები მყავდა და შემიძლია ვთქვა, რომ ამ კუთხითაც ძალიან გამიმართლა.

ამ ადამიანების გარემოცვაში გავიდა ჩემი ბავშვობის ნათელი დღეები და დღეს ვმადლობ ღმერთს ყველაფრისთვის, რადგან მიმაჩნია, რომ ის მმფარველობდა ყოველთვის, არასდროს დავუტოვებივარ უნუგეშოდ და, მეტიც, იღბლიან კაცად გამაჩინა. მართალია, ბევრი წინააღმდეგობა შემხვდა, მაგრამ ეს იყო ცხოვრება. მაჩუქა ღმერთმა ნიჭი, ფიზიკური ჯანმრთელობა და დამაჯილდოვა წლებით. ბოლოს და ბოლოს, ამდენი

ხანი ვიცოცხლე. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ აქამდეც შემიძლია ვაკეთო საქმე და გამოვადგე ადამიანებს.

მამას გარდაცვალების მერე 11 წელი ვიცხოვრე დოლიძის ქუჩაზე, ჩვენს ძველ სახლში, მერე გადავედი ბაგებში, ვაკის სასაფლაოს პირდაპირ, ძალიან კარგ და მყუდრო სახლში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ.

სკოლის წლები

სკოლაში შესვლის პერიოდში ჩვენს ოჯახში დიდი დავიდარაბა შეიქმნა. 6 წლისას შემიყვანდნენ თუ შვიდი წლისას, ამაზე იყო გაცხარებული მსჯელობა და კამათი. ბოლოს დედას ურჩიეს: შვიდისა რომ გახდება, მერე შეიყვანეთო და მას მოეწონა ეს იდეა.

მაშინ სკოლაში დარეგისტრირება მთელი პროცედურა იყო. ბევრი ბავშვი იყო სასკოლო ასაკის, სკოლები კი შედარებით ცოტა. დედაჩემს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მოვხვედრილიყავი მისთვის სასურველ თბილისის მე-7 რკინიგზის სკოლაში, რომლის დირექტორი მაშინ იყო დამსახურებული პედაგოგი ალიოშა ცინცაძე.

სკოლაში სწავლა დავიწყე 1949 წლის 1 სექტემბერს. ჩემი პირველი მასწავლებელი თამარ კახიძე გამოცდილი პედაგოგი და კარგი ქალბატონი იყო. მახსოვს ჩემი პირველი დღე სკოლაში – პირველ გაკვეთილზე ვაჟკაცურად მეჭირა თავი, გავუძელი, მაგრამ, როგორც კი გაკვეთილი დამთავრდა, ცრემლები ღაპაღუპით წამომცვივდა და ავღრიალდი. კარგად მახსოვს, დედაჩემი, რომელიც თურმე გარეთ მელოდებოდა, როგორ მომეფერა და გულში ჩამიკრა.

მერე თანდათან შევეჩვიე სკოლის ცხოვრებას.

კლასში 42 ბავშვი ვიყავით. ერთად ვსწავლობდით სხვადასხვა სოციალური ფენის ოჯახების შვილები.

სკოლის წლები, შეიძლება ითქვას, წარმატებით გავიარე.

კლასში ვიყავი საუკეთესო მოსწავლე. სხვებზე ნაკლებად არ ვცელქობდი, ჩხუბებშიც ვმონაწილეობდი, მაგრამ კარგად ვსწავლობდი. მთელი ათი წელი სასწავლო წლის ყველა მეოთხედში ყველა საგანში უმაღლესი შეფასებები მქონდა, თუმცა აბსოლუტური ფრიადოსანი ვერ გავხდი – რუსულ წერაში ოთხიანი მივიღე, რის გამოც საბოლოოდ ვერცხლის მედალი დავიმსახურე.

ჩვენი სკოლა თბილისში გამორჩეული იყო. ეს სკოლა ჰქონდათ დამთავრებული შემგომში სახელოვან მეცნიერებს: ჯემალ ციციშვილს, რომელიც მერე ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორი გახდა, კომპოზიტორ არჩილ კერესელიძეს, მთავრობის თავმჯდომარეს ოთარ ჩერქეზიას, ცნობილ მხატვარს და მოქანდაკეს ზურაბ წერეთელს და სხვებს.

ვაჟთა მე-7 სკოლადამთავრებული იყვნენ იმდროინდელი თბილისის ე. წ. ძველი ბიჭები: ლეო კალოევი, ლევან ნინუა, გივი რუსიშვილი, ვანუშა ახნაზაროვი. „პირველი ყოჩი“ ჩვენს კლასში ომარ ბლიაძე იყო. მე „შუაში“ ვიყავი, მეგობრებიც პატივს მცემდნენ და პედაგოგებიც და, საერთოდ, მიმაჩნია, რომ სკოლის წლები ჩემთვის იყო საკმაოდ შთამბეჭდავი და საინტერესო.

ჩემი სკოლა პლეხანოვზე, ახლანდელი აღმაშენებლის გამზირზე იყო. მაშინ გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სწავლობდნენ, მე-6 კლასიდან შეგვაერთეს. გარკვეული ხნის შემდეგ სკოლა პლეხანოვიდან მეჩნიკოვის ქუჩაზე გადავიდა, უფრო დიდ შენობაში.

პირველ კლასში მოსწავლეებს სპეციალური, სამხედრო ფორმის მსგავსი ტანსაცმელი გვეცვა, ქამრით, ფართო საყელოებით, რომელიც პატარა ბავშვისთვის რაღაცნაირად მოუხერხებელიც კი იყო. მერხები იყო ხის, დიდი, მასიური და ცოტათი უხეში.

სწავლის დონე სკოლაში იმ პერიოდისთვის საკმაოდ მაღალი იყო და ჩემს სკოლაშიც ბევრი კარგი პედაგოგი მოღვაწეობდა. თამარ კახიძის გარდა, მახსენდება ვერა ადამია,

ფიზიკის მასწავლებელი ნუნუ ცინცაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი აგრაფინა ნინუა, რუსული ენის პედაგოგი რაჟდენ ნაცვლიშვილი. რა თქმა უნდა, თავად დირექტორი ალიოშა ცინცაძე, რომელიც თავისი საქმის უბადლო სპეციალისტი იყო. ის საქართველოს ისტორიას გვასწავლიდა და ამ საგნის ზედმიწევნით მცოდნე იყო. რატომღაც ცუდად ვყავდი ამოჩემებული ბოტანიკის პედაგოგს მანია ცალქალამანიძეს, მაგრამ ბოლოს დავმეგობრდით და დღემდე კეთილად ვიხსენებ.

სკოლის წლებში გარკვეულ ხანს ყველაზე მაღალი ტანის გახლდით, მერე სიმაღლეში გამისწრო ჩემმა მეგობარმა დათო ცისკარიშვილმა.

ბევრი კარგი მეგობარი მყავდა კლასში, მაგრამ ყველაზე ახლოს ვიყავი გივი ბენდუქიძესთან, დათო ცისკარიშვილთან, ავთო საყვარელიძესთან, გოდერძი ჩუბინიძესთან, თემურ დათუნაშვილთან, რომელსაც მეტსახელად „ყურშას“ ვეძახდით, გია მუჯირთან, რომელიც გადავიდოდა ხოლმე სხვა სკოლაში, მაგრამ მერე ისევ უკან ბრუნდებოდა და მახსოვს, როგორ გვიხაროდა მისი კვლავ ჩვენთან დაბრუნება. გია მუჯირი მერე არტისტი და ექიმი-გინეკოლოგი გახდა, სამ სხვადასხვა ინსტიტუტში სწავლობდა სხვადასხვა სპეციალობაზე... ახლო ურთიერთობა მქონდა ჩიტო ნონიკაშვილთანაც, დათო გაბიშვილთან, ავთო კაჭარავასთან, ჯემალ კვარაცხელიასთან, ლევიკო მასხულიასთან, ჟიული მსხალაიასთან, გურამ ფავლენიშვილთან, ნუგზარ ლორთქიფანიძესთან. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩემთან ერთად ისხდნენ 1949 წელს პირველ კლასში, ვაჟთა მე-7 რკინიგზის სკოლაში.

დღემდე ცოცხალ შეგრძნებად მახსოვს, სკოლის ბოლო გამოცდა რომ ჩავაბარე, როგორ დამწყდა გული, რადგან ვიგრძენი, ამიერიდან ვეღარასოდეს ვიქნებოდი სკოლის მოსწავლე. შემაშფოთებელი განცდა იყო ეს – თითქმის დეპრესია დამემართა, მაგრამ ცხოვრება წინ იყო და მერე ძალიან ბევრი ისეთი დეპრესიული პერიოდი გამოვიარე, განსაკუთრებით ასაკოვან

წლებში, რომ სკოლის დამთავრებით გამოწვეული კაეშანი იმასთან შედარებით ლამაზ ზღაპარად მოჩანს.

სკოლის პერიოდში გამიტაცა სპორტმა. ალბათ, 11 წლისა ვიქნებოდი, თვითონ მივედი „ნორჩ დინამოელში“ და დავიწყე კალათბურთის თამაში. მწვრთნელი იყო ევგენი აბაიშვილი. მან კარგი გუნდი შეკრიბა. ამ გუნდში თამაშობდნენ ცნობილი სპორტსმენები: ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ანტონ კაზანჯიანი. იმ ხანებში დავუმეგობრდი დამირ მანჯგალაძეს, ტუხო ღვანიას, სლავა სტეფანოვს.

სპორტულ ოლიმპიადებშიც ვიღებდი მონაწილეობას, თუმცა არა ძირითად გუნდში – სათადარიგოში ვიყავი, რადგან მთავარ გუნდში მომავალი სპორტსმენები იყვნენ: რამაზ მანაგაძე, ასტამურ აჩბა, აპოლონ აბაშიძე, ანტონ კაზანჯიანი, ნოდარ მანაგაძე და სხვები.

კარგად ვთამაშობდი კალათბურთს. სამი თუ ოთხი წელი სისტემატურად ვივარჯიშე. რამდენჯერმე საბჭოთა კავშირის საკავშირო ჩემპიონატების ტურნირებშიც მივიღე მონაწილეობა. უდიდესი მიღწევები კალათბურთში არ მქონია, თუმცა შეჯიბრებებში ვიღებდი მონაწილეობას და გუნდთან ერთად სხვადასხვა ქვეყანაში დავდიოდი. ვიყავით კლაიპედაში და რიგაში შეჯიბრებებზე. მოზარდთა გუნდში 17 წლის ასაკამდე ვიყავი, მერე სამედიცინო ინსტიტუტის გუნდში მიმიღეს.

ინსტიტუტში მეორე კურსზე ყოფნისას არჩევანის წინაშე დავდექი – სპორტი თუ სწავლა. სპორტს პროფესიონალურ დონეზე რომ მივყოლოდი, ყოველდღიურად უნდა მევარჯიშა ან კვირაში 5 დღე მაინც. ამის საშუალება ფიზიკურად არ იყო – ან ექიმი უნდა გავმხდარიყავი, ან კალათბურთელი. მე ექიმობა ავირჩიე, თუმცა გუნდში დავრჩი.

ამასობაში სიმაღლითაც ჩამოვრჩი და კალათბურთისთვის ხელსაყრელი კანდიდატი აღარ ვიყავი. თანაც, სპორტი უფრო გატაცება იყო, ალბათ.

შემდეგ, მოსკოვში რომ წავედი სწავლის გასაგრძელებლად, ჩოგბურთით დავინტერესდი და მას მერე ჩოგბურთს სამოყვა-

რულო დონეზე თითქმის 20 წელი ვთამაშობდი საკმაოდ კარგი შედეგებით.

სკოლის პერიოდიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დედაჩემის ინიციატივა, რომ ჩემთვის ესწავლებინათ მუსიკა, მაგრამ იყო ერთი წინააღმდეგობა – სამწუხაროდ, არ მქონდა სმენა. დედაც ხვდებოდა ამას, თან ისიც შესამჩნევი იყო, რომ დიდი სურვილი არ მქონდა მუსიკის შესწავლისა, თუმცა მაინც მატარა მუსიკის მასწავლებელთან. დედის მცდელობის მიუხედავად, ჩემგან მუსიკოსი არ გამოვიდა – არც პიანისტი და არც ვიოლონჩელისტი.

იმ ხანებში გავბედე და ვუთხარი დედას, რომ მუსიკაზე მეტად ენების შესწავლა მაინტერესებდა. მას ძალიან მოეწონა ეს აზრი და მიმიყვანა ინგლისურის მასწავლებელთან, საუკეთესო ადამიანთან და ბრწყინვალე სპეციალისტთან ციცო ჩიგოგიძესთან. ქალბატონი ციცო მაშინ ინგლისურის პედაგოგი იყო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში. შემდეგ ინგლისურ ენაში ცოდნის გასაღრმავებლად დავდიოდი შესანიშნავ პედაგოგთან ქეთევან კანდელაკთან.

ინგლისური ენა ძალიან სწრაფად ავითვისე. მე-3-4 კლასში უკვე თავისუფლად ვლაპარაკობდი ინგლისურად, ვიდრე, ალბათ, ახლა, რადგან ბავშვის გონება უფრო სუფთაა, სხარტი და ნოყიერი ნიადაგი ყოველივე სიახლის შესათვისებლად.

მერე გავიდა დრო და ინგლისური ენა ძალიან გამომადგა ცხოვრებაში. ის გახდა ჩემთვის მესამე სრულყოფილი საკომუნიკაციო ენა.

რუსული ენა მეორე მშობლიურ ენად მიმაჩნია, რადგან ნახევარი ცხოვრება რუსეთში მაქვს გატარებული და სრულყოფილად ვიცი როგორც სასაუბრო, ასევე სალიტერატურო ენა, რუსულის მართლწერა.

სტუდენტობა

სხვათა შორის, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ თვითონ გადავწყვიტე ექიმობა. მშობლებს არც ძალა დაუტანებიათ და არც ზედმეტი რჩევებით შევუწუხებივარ.

1959 წლის მაისში დავამთავრე რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლა. ეს ის პერიოდი იყო, როცა სამედიცინო ინსტიტუტი ყველაზე პოპულარული უმაღლესი სასწავლებელი იყო საქართველოში. ყველას უნდოდა იქ მოხვედრა, პრესტიჟულიც იყო ექიმობა და რაღაცნაირი ხიბლიც ჰქონდა.

სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელიწადს განხორციელდა სასკოლო რეფორმა. მე-10 და მე-11-კლასელებმა ერთდროულად დავამთავრეთ სკოლა. წარმოიდგინეთ, რა კონკურსი იქნებოდა უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ, სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც, როგორც გითხარით, მაშინ ძალიან პრესტიჟული იყო. კორუფციაც უმაღლეს დონეზე იდგა. ამბობდნენ, სამედიცინოზე ჩაბარება 200 000 თუ 300 000 მანეთი ჯდებოდაო. მამაჩემს არ ჰქონდა არც ამის საშუალება და არც სურვილი. ჩვენს ოჯახში არც იყო ისეთი განწყობა, რომ თანხები გვეხადა უმაღლესში ჩასარიცხად, ამიტომ დავიწყე სერიოზული მზადება. განსაკუთრებით, ქართულ ენაში ვმეცადინეობდი.

მამეცადინებდა შესანიშნავი ლიტერატორი, გვარად ლორთქიფანიძე, რომელიც სწორედ იმ საკითხებს მასწავლიდა, რომლებიც სამედიცინო ინსტიტუტში ბარდებოდა. თითქმის ყველა ძირითადი თემა ზეპირად ვისწავლე, მაგრამ მარტო ქართულის ზეპირი ცოდნით არაფერი გამოვიდოდა. უნდა ჩამებარებინა ქართული წერაც, ფიზიკაც, ქიმიაც და ბიოლოგიაც. მაგრამ, რაც უნდა კარგად მცოდნოდა ყველაფერი, არსებულ კორუფციულ სქემებში მე მაინც განწირული ვიყავი დამარცხებისთვის.

იმ წლებში აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი იყო თბილისის კოლორიტი, ქალბატონი ნინო ჟვანია. იგი დიდ პა-

ტივს სცემდა მამაჩემს. როგორც მერე გავიგე, ქალბატონმა ნინომ სიტყვა შემაწია, მისაღებ გამოცდებზე ჩემი ცოდნა რომ არ დაკარგულიყო. ეს დიდი ბიძგი იყო მაშინ ჩემთვის და, საერთოდ, ჩვენი ოჯახისთვის.

უკვე ვთქვი, რომ მაშინ კალათბურთს ვთამაშობდი, ამიტომ ოთხივე მისაღები გამოცდა ერთი კვირის განმავლობაში სპეციალური გრაფიკით ჩავაბარე. ყველაფერში უმაღლესი ნიშნები მივიღე და ჩავირიცხე სამედიცინო ინსტიტუტში. მოკლედ, დიდ კონკურსში გავედი. ერთ ადგილზე 200 აბიტურიენტი მოდიოდა. სამამულო ომის მონაწილეებიც აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს. აბიტურიენტი იყო გივი ჩაჩანიძეც, ომის ვეტერანი, რომელიც შემდეგ ჩემი თანაკურსელი გახდა.

მისაღები გამოცდების მეორე დღეს კალათბურთის გუნდი რიგაში წაგვიყვანეს. რიგიდან რომ დავბრუნდი, აეროპორტში მამაჩემი დამხვდა და შეწუხებულმა მითხრა: კი, ყველაფერში ხუთიანი მიიღე, მაგრამ მაინც არ გიღებენ ინსტიტუტშიო. საქმე ის იყო, რომ მაშინ უპირატესობა ეძლეოდა სტაჟიანებს ან რაიმე დამსახურების მქონეებს. სტაჟიანები და დამსახურებულები კი იმდენი აღმოჩნდნენ, რომ ჩვენ, რომლებმაც უმაღლესი შეფასებები მივიღეთ, ვრჩებოდით გარეთ. ატყდა დავიდარაბა. იდავეს, იდავეს და ბოლოს მაინც ყველა ჩაგვრიცხეს.

გავხდი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ ლექციები გვიტარდებოდა, მგონი, 200 სტუდენტს ერთად. 7 თუ 8 ჯგუფი იყო გაერთიანებული. ამ საერთო ჯგუფის ხელმძღვანელი იყო უკვე ჩვენი თანაკურსელი გივი ჩაჩანიძე. ანბანის მიხედვით, სტუდენტების სიაში ბოლო ვიყავი, მე-6 ჯგუფში. რატომღაც ისე მოხდა, რომ ჯგუფში ძირითადად სვანეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები მოხვდნენ, თანხმოვნებით დაწყებული გვარებით. თბილისელი იყო ჩემი მეგობარი მარინა ჭიჭინაძე, ბათუმიდან ლამარა წითლიძე, ნანა ხეცურიანი, გულიკო ხუნდაძე, სხვა ძალიან კარგი ახალგაზრდები, მათ შორის, ვასიკო ხვიჩია, ლუდორ სიჭინავა, იოსებ ჩიჩუა, ზურმუდ ცინცაძე და სხვები. ჩემი მეგობარი სვანები მართლაც კარგი ბიჭები იყვნენ: ჟორეს წერედიანი, გურამ ხვისტანი, ოთარ ხარძიანი, ოთარ ჯაჭვლიანი. ერთი სვანი გოგონაც გვყავდა ჯგუფში – ლილი ჯაფარიძე, რომელიც დღემდე მესტიაში მუშაობს. ჯგუფში ვმეგობრობდი მარინა ჭიჭინაძესთან და ლამარა წითლიძესთან.

მე თითქმის ყველა ფაკულტეტზე მყავდა ახლობლები, მათ შორის, გია სოსელია, ზურიკო თურმანიძე, მერაბ ჩხატარაშვილი, მინდია უჩანეიშვილი, ამირან ჩხატარაშვილი, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ ჩემზე უფროსია ოთხი თუ ხუთი წლით, დღემდე პროფესიულ მარათონშია ჩართული. ჯგუფელები არა, მაგრამ ჩემი პერიოდის სტუდენტები იყვნენ: ზეზვა ღუღუნიშვილი, მამულო იაშვილი და საქართველოში ცნობილი ექიმები – კოკი კეკელიძე, რამაზ კუტუბიძე და სხვები. შეიძლება ბევრი მათგანის სახელი და გვარი აღარც მახსოვდეს, მაგრამ ყველანი მართლაც შესანიშნავი ახალგაზრდები იყვნენ.

საუკეთესო იყო სტუდენტობის პერიოდი. არდადეგებზე მამაჩემი მომცემდა ფულს და, სადაც მოვინდომებდი, იქ შემეძლო წასვლა. მეგობრებთან ერთად ხან ოდესაში მივდიოდი სასეირნოდ, ხან მოსკოვში, ხან ლენინგრადში, ხან ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

საზღვარგარეთზე მაშინ ზედმეტი იყო საუბარი, თუმცა მაინც გავაღწიე უცხოეთში მე-4 კურსზე ყოფნისას გურამ ლეჟავასთან ერთად, რომელიც ჩემმა კლასელმა გივი ბენდუქიძემ გამაცნო.

1962 წელს ტურისტულ ჯგუფთან ერთად პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში წავედი. მაშინ მამაჩემმა მოახერხა და ჩვენთვის ორი ადგილი იშოვა ტურისტების ქართულ ჯგუფში, მაგრამ ბოლო დღეებში გვითხრეს, რომ, გარკვეულ გარემოებათა გამო, ამოვუღივართ სიიდან. ამიტომ იმავე ტურისტულ ნაკადში, უზბეკებთან ერთად მოვხვდი. ასე გავედი პირველად საზღვარგარეთ და მას შემდეგ ისე მოხდა, რომ მთელი მსოფლიო შემოვიარე.

არჩილი 8 წლის ასაკში



არჩილი 17 წლის ასაკში

მეგობრებთან ერთად (მარჯვნიდან პირველი)

მეგობართან ერთად

კალათბურთის გუნდში (მარცხნიდან მეოთხე)

მეგობრებთან ერთად ბაკურიანში
(მარჯვნიდან მეორე)

სტუდენტობის წლები (პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი)

სტუდენტობის წლები (პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი)

პრაქტიკა ჟორდანიას ინსტიტუტში და სტაჟირება კლინიკებში

ინსტიტუტის მე-5 კურსის დახურვის შემდეგ სასწავლო პრაქტიკა ჟორდანიას ინსტიტუტში გავიარე, სადაც გაიოზ ჩანტლაძემ მიმიყვანა. გაიოზ ჩანტლაძე ჩემი ბიძის, გიზო ცინცაძის მეგობარი იყო. პრაქტიკის გასავლელად მიმაბარეს ბრწყინვალე პათოფიზიოლოგსა და ენდოკრინოლოგს თამაზ ბეგიაშვილს და დღემდე მიმაჩნია, რომ ჩემი პირველი მასწავლებელი პროფესიაში სწორედ თამაზ ბეგიაშვილი იყო.

თავიდანვე ძალიან მაინტერესებდა ენდოკრინოლოგია, კონკრეტულად კი ადამიანის სასქესო სისტემის ენდოკრინოლოგია. ბატონმა თამაზმა საფუძვლიანად შემასწავლა პათოლოგიური ფიზიოლოგია. ვესწრებოდი მის ლექციებს, ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით. ჩემს პროფესიაში პირველი სერიოზული ნაბიჯები გადავდგი სწორედ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში, ბატონი თამაზ ბეგიაშვილის ხელმძღვანელობით.

პროფესიული ცოდნის გასაღრმავებლად, გაიოზ ჩანტლაძის თხოვნით, ქალთა ენდოკრინოლოგ თენგიზ ბოლქვაძესთანაც გავიარე ორწლიანი პრაქტიკა – ვესწრებოდი პაციენტების კონსულტაციებს, საფუძვლიანად შევისწავლე გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგია.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, ჩემს პედაგოგებს – სერგო კობალაძეს, ალექსანდრე მაკარიძეს, გიორგი ბოჭორიშვილს მოსწონდათ ჩემი პროფესიონალური მონაცემები და მონდომება, რაც ძალიან მიხაროდა. ზოგადი ქირურგიის კათედრის პროფესორმა გოგი ბოჭორიშვილმა მე-3 კურსზე ოპერაციას დამასწრო. ეს მაშინ ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. მე-3 კურსიდან ჩავერთე სამშობიარო პროცესის მართვაში. მე-5 კურსზე მონაწილეობა მივიღე ოპერაციაში მეორე ასისტენტად.

მაინც რატომ გავხდი ექიმი? – რა ვიცი, ალბათ, დავიბადე ექიმად. სამი წლის ასაკიდან ვთამაშობდი ექიმობანას თეთრი ქუდით, რომელსაც წითელი ჯვარი მე თვითონ დავახატე. კიდევ რომ წამოვიზარდე, რატომღაც ქალების ექიმობა მოვინდომე, მაგრამ ეს უკვე სტუდენტობის წლები იყო. იმ ხანებში ძალიან დამაინტერესა ქალის ბიოლოგიურმა ფენომენმა, რომელიც, უნდა ითქვას, სამედიცინო თვალსაზრისით, მამაკაცისაზე რთულია.

ჟორდანიას ინსტიტუტში პრაქტიკის პერიოდში გამოჩნდა მოსკოვში მიზნობრივ ასპირანტურაში სპეციალისტის წასვლის შესაძლებლობა. ჩემს ბედად, ერთ დღეს ინსტიტუტის დირექტორმა ჯემალ ციციშვილმა დამიბარა და შემომთავაზა: ხომ არ გინდა, მოსკოვში ასპირანტურაში წახვიდეო?

მოვითათბირეთ სახლში. დედაჩემმა გურულად შეიცხადა, მამაჩემმა კი თქვა: საუკეთესო შესაძლებლობაა, ამაზე უარის თქმა როგორ შეიძლებაო და გადაწყდა ჩემი გაგზავნა მოსკოვში.

ვინ ვიყავი მე – ერთი ჩვეულებრივი ოჯახის შვილი, არ მყოლია პროტექტორები და „მფარველები“ და ბატონმა ჯემალმა მომცა შანსი. ამას ყოველთვის ვუფასებდი მას და ვცდილობდი, გამომეხატა მადლიერება. მიხარია, რომ ჩემი ინიციატივით მისმა ვაჟმა – რევაზ ციციშვილმა ჟორდანიას ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ექიმ-მამოლოგად და ახლაც ჩვენთან მუშაობს.

რუსეთთან ჩემი ურთიერთობა უფრო ადრე დაიწყო. მოსკოვში დავდიოდი მამაჩემის წყალობით და სტუდენტობის პერიოდში პრაქტიკაზე, როგორც წარჩინებული სტუდენტი. ჯერ სკლიფასოვსკის კლინიკაში ვიყავი მივლინებული, მერე – მოსკოვის 26-ე სამშობიაროში, სადაც მთავარ ექიმად ბრწყინვალე სპეციალისტი და ძალიან კარგი ადამიანი გიორგი ცერცვაძე მუშაობდა.

არ შემიძლია, არ გავიხსენო სკლიფასოვსკის კლინიკაში სტაჟირების პერიოდი. მაშინ მე-4 კურსზე ვიყავი. ეს ინსტიტუტი იყო სასწრაფო დახმარების დაწესებულება, ვეებერთელა საავადმყოფო, რომელიც მთელ მოსკოვს ემსახურებოდა. ერთ დღესაც საკმაოდ მხნედ და თავდაჯერებულად შევაბიჯე ამ კლინიკაში პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად და ჩემი თავდაჯერებულობის გამო დავისაჯე კიდევაც.

სტუდენტური სტაჟირების გაფორმების შემდეგ მიმავლინეს ექიმ ფარხად ნოვრუზოვთან. ეს საშუალო ტანის, სანდომიანი კაცი, ბოლნისელი აზერბაიჯანელი იყო. ძალიან კარგი ადამიანი, საუკეთესო ქირურგი, რომელიც შემდეგ ჩემი კარგი მეგობარი გახდა.

ამ კაცმა სხვადასხვა დროს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება ბევრჯერ გაუწია ბევრ ჩემს ნათესავს და მეგობარს. სამწუხაროდ, იგი 47 წლის ასაკში კუჭის კიბოთი გარდაიცვალა მაშინ, როცა ძალიან ბევრი ადამიანი თავად ჰყავდა გადარჩენილი, მათ შორის, როგორც ვთქვი, ბევრი ჩემი ახლობელი.

ჩემი და ფარხად ნოვრუზოვის შეხვედრა ცოტა განსხვავებულად შედგა. როცა მივედი და თავი წარვუდგინე, მითხრა: როდის დავიწყოთ, ახლავე თუ ჯერ დაისვენებ და მერე შეუდგები საქმესო?

მე ვუთხარი, ახლავე დავიწყოთ-მეთქი.

– ოპერაცია, საერთოდ, გაგიკეთებიაო? – მკითხა.

– კი, გამიკეთებია-მეთქი, – ვუპასუხე.

მესამე-მეოთხე კურსზე მქონდა პრაქტიკა გავლილი საფაკულტეტო და ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე პროფესორი გოგი ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით. მესამე ასისტენტად ხშირად ვიდექი ოპერაციებზე. ასე რომ, ორმოცდაათამდე ოპერაციაში უკვე მქონდა მონაწილეობა მიღებული.

ფარხადმა მითხრა:

– ქალბატონს ხომ ხედავ, ხელის ტრავმა აქვს. წადი, დაუმუშავე და მეც მალე მოვალო.

მივუახლოვდი პაციენტს. ვხედავ, ფუნქციონალურ საწოლზე ახალგაზრდა ქალი წევს და ხელი ქვემოთ აქვს ჩამოშვებული. ავადმყოფი დავათვალიერე – საშინელი მდგომარეობა იყო. ხელი ჩაჰყოლია ხორცის საკეპ მანქანაში – ერთი თითი საერთოდ არ ჰქონდა, მეორე თითი – ნახევარზე, მესამე კი მხოლოდ მყესზე ეკიდა. ინფექცია არ შეეჭრას-მეთქი, დამუშავება გადავწყვიტე. მოვკიდე ხელი, რომ მომეჭრა ის ჩამოკიდებული მყესი და იკივლა ამ ქალმა. არ ვიცი, რა მომივიდა, გავხდი ცუდად. თვალთ დამიბნელდა, ვატყობ, გული მიმდის. იქვე სკამი შევამჩნიე და დავჯექი. დამინახა ექთანმა. მახსოვს, ხანშესული, მსუქანი ქალი იყო, მოვიდა და მკითხა:

– Доктор, вам плохо?

– Да, плохо, – ძლივს ვუპასუხე.

ექთანმა ნიშადურის სპირტი მომაშველა. წამოვდექი. მივედი ისევ პაციენტთან, შევხედე და ისევ ცუდად გავხდი. კიდევ კარგი, ამასობაში ფარხადიც მოვიდა.

წამოდიო, – მითხრა. შემიყვანეს საპროცედუროში, სახეზე წყალი მომასხეს. ფარხადმა დამამშვიდა: მეც ასე ვიყავი თავიდანო.

ეს იყო ჩემი პირველი ე. წ. ზიარება სისხლთან, სკლიფასოვსკის ინსტიტუტში, სადაც დავუმეგობრდი შესანიშნავ და დაუვიწყარ კაცს ფარხად ნოვრუზოვს.

მას შემდეგ ბევრი დილემის წინაშე დავმდგარვარ ოპერაციების კეთებისას, მაგრამ მსგავსი რამ ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში აღარ განმეორებულა.

მოსკოვში მაშინ ძალიან ცოტანი იყვნენ ქართველები. მახსოვს თამაზ თოფაძე, ვიქტორ ჩხიკვაძის სიძე – „კრასავჩიკ გრუზინ“, „მოდნი“ ქართველი, რომელიც ხშირად სტუმრობდა კაფე „ნაციონალს“. ყველა იცნობდა და ძალიან პოპულარული იყო სსრკ-ის დედაქალაქში და კიდევ გივი ჭითავა. მეტი არც არავინ იყო მაშინ მოსკოვის სამედიცინო წრეებში ქართველებიდან.

მოგვიანებით გავიცანი გიორგი ცერცვაძე, რომელთანაც სკლიფასოვსკის ინსტიტუტის მერე, 26-ე სამშობიარო სახლში, მეანობის კვალიფიციური პრაქტიკა გავიარე. ეს სამშობიარო ყველაზე პრესტიჟული იყო მოსკოვში. საავადმყოფო მისმა დირექტორმა გიორგი ცერცვაძემ ისე დააწინაურა, რომ მოსკოვის ელიტური წრეების ქალბატონები მხოლოდ იქ მშობიარობდნენ.

მოსკოვში პრაქტიკებისას გავიცანი ფრიდონ გახოკიძე – „დოჩიკა“, კობა ენუქიძე, რომელსაც ქუჩაში სეირნობის დროს შევხვდი სრულიად შემთხვევით და მერე მეგობრები გავხდით. მასთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

ერთი სიტყვით, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სავსებით მზად ვიყავი, დამეწყო სერიოზული მუშაობა ენდოკრინოლოგიაში და ენდოკრინულ პათოფიზიოლოგიაში.

მიზნობრივი ასპირანტურა მოსკოვში

სკოლაც და უმაღლესიც ქართულ ენაზე დავათავრე. სიძნელე ის იყო, რომ, თუკი რუსეთში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას, აზროვნება მთლიანად რუსულ ენაზე უნდა გადართულიყო და ეს არ იყო ადვილი, მაგრამ ახალგაზრდობა არის ძალა, რომელიც ყველაფერს შეგაძელებინებს.

1965 წელი იყო. სამედიცინო კარიერაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. ჩავირიცხე მიზნობრივ ასპირანტურაში. მოსკოვში ჩასვლიდან ერთ კვირაში რუსულ ენაზე ჩავაბარე გამოცდები.

მართალია, მშობლები არაფერს მაკლებდნენ, მაგრამ მე მაინც არ მერქვა შეძლებულ ოჯახში გაზრდილი ბიჭი. მამაჩემი მუშაობდა, თუმცა ოჯახს იმდენი ფული არ ჰქონდა, სხვაზე პრივილეგირებულად და უკეთესად გვეცხოვრა. ამის მიუხედავად, მთელი ოჯახი ჩემს სწავლა-განათლებაზე იყო ორიენტირებული. ამიტომაც მოახერხა მამამ ჩემი გაგზავნა ასპირანტურაში.

ერთგვარ გზის გამკვლევად წამომყვა ჟორდანიას ინსტიტუტის დამსახურებული თანამშრომელი თენგიზ ბოლქვაძე. ეს ჩემთვის დიდი მხარდაჭერა იყო. მაშინ 22 წლის ყმაწვილი ვიყავი და მერე, ცხოვრების გზაზე, არასდროს დამვიწყებია თენგიზ ბოლქვაძის ამაგი და მხარდაჭერა.

წლების შემდეგ, როცა უკვე საქართველოში დავბრუნდი და ჟორდანიას ინსტიტუტს ჩავუდექი სათავეში, ბატონ თენგიზს უყურადღებოდ არასდროს ვტოვებდი. ის სიცოცხლის ბოლომდე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში მუშაობდა.

ცხოვრება მოსკოვში. მტვირთავად მუშაობა

როგორც გითხარით, ეკონომიურად არცთუ ძლიერი ოჯახი გვქონდა. მამაჩემი ძლივს იხდიდა მოსკოვში ჩემი ცხოვრების ფულს, ქირის თანხას მოსკოვში პატარა ოთახში, რომელიც მიშა ნაცვლიშვილის ბინის ერთ ნაწილს შეადგენდა.

მიშა ნაცვლიშვილი იყო ყოფილი ბოლშევიკი და ჩეკას თანამშრომელი. „კრიმსკი მოსტთან“ ცხოვრობდა.

გადიოდა დრო. წარჩინებული ასპირანტი გავხდი, სტიპენდიას თვეში უკვე 67 მანეთს ვიღებდი, თუმცა, ცხადია, ეს არ იყო საკმარისი. ბინის ფულს ისევ მამაჩემი მიგზავნიდა, თითქმის ყოველ კვირას პროდუქტით სავსე ამანათიც ჩამომდიოდა, მაგრამ ეკონომიურად მაინც მიჭირდა, ამიტომაც ღამღამობით „კურსკი ვაგზალზე“ დავიწყე მუშაობა მტვირთავად. ვმუშაობდი საღამოს 11-დან დილის 5 საათამდე, თუმცა ამ ამბავს საგულდაგულოდ ვმალავდი. არ მინდოდა დედაჩემს და მამაჩემს გაეგოთ. ალბათ, გული შეუწუხდებოდათ, რომ სცოდნოდათ, მათი ერთადერთი შვილი საზამთროთი, ნესვით, ბროწეულით და ბოსტნეულით სავსე ყუთებს რომ ეზიდებოდა. 6 საათის განმავლობაში შეუსვენებლად ვმუშაობდი. ერთ ღამეში ვიღებდი 25 მანეთს და ეს მშვენიერი შემოსავალი იყო. ამ ფულით მერე დავდიოდი კაფე „ნაციონალში“, რომელიც იმხანად მოსკოვში მოდურ ადგილად მიაჩნდათ. იქ იკრიბებოდნენ ცნობილი ოჯახების შვილები.

წელიწად-ნახევრის შემდეგ ნაცვლიშვილების ბინიდან გადავედი და სრულიად დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება. „პროფსაიუზნაიაზე“ ვიქირავე ბინა. ისიც 50 მანეთად. კარგი ბინა იყო, ოროთახიანი, კარგად მოვეწყვე და ისე შევეჩვიე იქაურობას, მთელი ასპირანტურაში სწავლის პერიოდი იქ გავატარე.

საკანდიდატო დისერტაცია

1969 წელს ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჰიპოთირეოზის გავლენა შთამომავლობის ფარისებური ჯირკვლის ფუნქციაზე“. ჩემი ხელმძღვანელი იყო პროფესორი ლეონიდ გოლბერი.

დისერტაციის თემა ავირჩიე რეპროდუქტოლოგიის განხრით. ეს არ იყო ადვილი საქმე. მოგეხსენებათ, ენდოკრინული სისტემა ერთობ რთული მექანიზმია. ადამიანის, განსაკუთრებით, ქალის ენდოკრინული სისტემა ხომ, საერთოდ, ურთულესი ფენომენია.

ბრწყინვალედ ჩავაბარე გამოცდა. გამოცდას ესწრებოდა პროფესორი ოლეგ ნიკოლაევი, ღვაწლმოსილი ქირურგი-ენდოკრინოლოგი. ასევე, აქვე იყვნენ პროფესორები: გოლბერი, ცნობილი მორფოლოგი ტარაკანოვი და სხვები. გამოცდის ბოლოს წარმატება თავადაც მომილოცეს. მკითხეს შემდგომში რა განხრით აპირებ მუშაობასო.

მე ვუპასუხე ექიმად-მეთქი.

– Каким доктором? – მკითხეს.

– Доктором-эндокринологом. В частности, меня интересует женская эндокринология, – ვუთხარი.

– А почему вы поступаете в лабораторию патологической физиологии?

მახსოვს, სწორად მოვისაზრე და მივუგე: Потому, что я хочу стать грамотным доктором-მეთქი.

მეღიმება ახლა, მათ სახეებს რომ ვიხსენებ.

მეორე დღესვე საკანდიდატო მინიმუმის გამოცდაზე გავედი. უნდა ჩამებარებინა ინგლისური. ინგლისურ ენას, როგორც გითხარით, ბავშვობიდანვე ვსწავლობდი, თითქმის თავისუფლად ვლაპარაკობდი და, გამომცდელმა რომ მოისმინა ჩემი ინგლისურად წარმოთქმული ერთი წინადადება, მაშინვე მითხრა: წადი, არ გჭირდება გამოცდა, ისედაც ჩანს, რომ ენა იციო.

ყველაზე ძნელი აღმოჩნდა მესამე გამოცდა – ან პარტიის ისტორია უნდა ჩამებარებინა, ან ფილოსოფია. ფილოსოფია იყო საკანდიდატო მინიმუმი და საკმაოდ რთული საკითხი.

გამოცდას ფილოსოფიაში იბარებდა გიორგი ცარეგოროდცევი, ფილოსოფიის კათედრის გამგე. ცარეგოროდცევი ცნობილი იყო, როგორც ძალიან მკაცრი მასწავლებელი და გამომცდელი. თითქმის ყველას ჭრიდა გამოცდაზე. ჩემს თვალწინ გამოყარა 10-15 აბიტურიენტი. მე კარგად ვიყავი მომზადებული. გამოცდამდე მთელი კვირა მამეცადინებდა ბიძაჩემი ჟორეს ცინცაძე – რეპრესირებული, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, რომელიც ერთ ხანს სასულიერო აკადემიის რექტორიც იყო თბილისში. ამიტომ იმედი მქონდა – არ მეშინოდა. როცა ჩემი დრო მოვიდა, შევედი, დავჯექი გამომცდელის წინ და დავიწყე. ყველაფერი სხაპასხუპით ჩავაბარე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფილოსოფიის საკითხებში მე და გამომცდელი კამათში გადავედით. ბოლოს დავუთმე, უფროსი კაცი იყო მაინც. მე კი გავჩერდი, მაგრამ ვფიქრობდი: ნამდვილად ჩაჭრილი ვარ, ეს მე ნიშანს არ დამიწერს, რომ შევეკამათე-მეთქი. ამ ფიქრებით გამოვედი აუდიტორიიდან ისე, რომ არც დავმშვიდობებივარ – ვერ გავბედე, მოღუშული მიყურებდა, რომ არ დავეთანხმე რაღაც ფილოსოფიურ საკითხებში. თუმცა ჩემი შიში ამაო აღმოჩნდა – ცარეგოროდცევს ხუთიანი დაეწერა ჩემთვის.

ასპირანტურა სსრკ-ის მთავარ სამეცნიერო დაწესებულებაში, მოსკოვის ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტში გავიარე, რომლის დირექტორი მაშინ იყო ბიოქიმიკოსი, აკადემიკოსი ნიკოლაი იუდაევი. უცნაური ხასიათის კაცი კი იყო, არაპროგნოზირებადი და ცოტათი მკაცრიც, მაგრამ ნამდვილად დიდი მეცნიერი.

სწავლებას პათოლოგიური ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში გავდიოდი, რომლის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ლეონიდ გოლბერი. ძალიან კარგი კაცი და კარგი ადამიანი. მისგან დიდად ვარ დავალებული პროფესიული თვალსაზრისით.

პათოლოგიური ფიზიოლოგიის ლაბორატორია ტაგანკაზე მდებარეობდა. ექვსი თვის შემდეგ განყოფილება გადავიდა

დიმიტრი ულიანოვის 11-ში, ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტში, სადაც დამხვდნენ: ლარისა სკურატოვსკაია, ლენა ვოინო-იასინეცკაია, ალა ნიგოვსკაია, სლავა შახნაროვიჩი და სხვა ასპირანტები.

პროფესორი გოლბერი ლაბორატორიის გამგე იყო და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. უფროს მეცნიერმუშაკად მაშინ მუშაობდა ვილენ იოსიფოვიჩ კანდრორი, რომელსაც პათოლოგიური ფიზიოლოგიის კუთხით, ჩემს, ასე ვთქვათ, წვრთნაში, ლომის წილი მიუძღვის. ბატონი ვილენი ებრაელი იყო, უჭკვიანესი, განათლებული, გონიერი კაცი, რომელიც, უნდა ითქვას, ყოველმხრივ დადებითი პიროვნება გახლდათ.

სამეცნიერო ჟურნალში პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია რომ გამოვაქვეყნე, გამომიძახა პროფესორმა გოლბერმა და მეუბნება:

– Арчил, ты знаешь, нам надо твою тему поменять.

– Как поменять, я уже все закончил, – ვუთხარი.

– Но, придется поменять! – მითხრა და მე ველარ შევეპასუხე.

აღმოჩნდა, რომ თემა – „ალოქსანური დიაბეტის გავლენა შთამომავლობის კუჭუკანა ჯირკვლის ფუნქციაზე“, რომელიც მე შევასრულე, მოსწონებია სხვას, აკადემიკოს ბარანოვის კათედრის პროფესორს ირინა სოკოლოვეროვას, რომელმაც ათხოვნინა აკადემიკოს ბარანოვს, რომ მის ინსტიტუტს შეესრულებინა ეს ნაშრომი.

ასე წამართვეს გამზადებული დისერტაცია. ვნერვულობდი, მაგრამ რას ვიზამდი.

პედაგოგები მაწყნარებდნენ, თუმცა ეს არ იყო ადვილი შესაგუებელი.

ცოტა ხანში დავიწყე მუშაობა სხვა თემაზე – „ჰიპოთირეოზის გავლენა შთამომავლობის ფარისებრ ჯირკვალზე“.

ასპირანტებისთვის თემაზე სამუშაოდ 3 წელიწადი იყო გამოყოფილი. მე წელიწად-ნახევარში ერთი თემაც მოვასწარი და მერე მეორეც. პუბლიკაციებიც გავაკეთე და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია 26 წლის ბიჭმა ისე, რომ აკადემიკოსებმა და პროფესორებმა ხარისხის მინიჭებისას დადებითი გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს.

დისერტანტის სტუმრები საქართველოდან

დისერტაციის დაცვაზე მთელი ნათესაობა ჩამოვიდა საქართველოდან: ჩემი მშობლები, დეიდები, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლები, მათ შორის, ჯემალ ციციშვილიც, მეტსახელად, „კნიაზი“, რომელიც მერე ამ დღის აღსანიშნავი სადღესასწაულო სუფრის თამადაც იყო.

ბანკეტი რესტორან „უკრაინაში“ გაიმართა. 160 კაცი ისხდა საერთო სუფრასთან. ყველა, ვისაც კი რაიმე სახის შეხება ჰქონია ჩემს დისერტაციასთან – აკადემიკოსებით და პროფესორებით დაწყებული, დარაჯებით და მუშებით დამთავრებული ყველა იქ იყო.

ჯემალ ციციშვილი შესანიშნავად გაუძღვა სუფრას. ის ყოველთვის ცნობილი იყო, როგორც კარგი თამადა. ჯემალი დიდ პატივს სცემდა ქალბატონებს.

ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტის მშვენიერ ქალებს გულმოდგინედ ეპრანჭებოდა, თან სადღეგრძელოებს ამბობდა. მორიგი სადღეგრძელოს წარმოთქმისას დაავიწყდა, რა ერქვა რუსულად ზამბახს. ჟორდანიას ინსტიტუტში ერთი ენაკვიმატი სწავლული მდივანი გვყავდა, ვახტანგ მდივანი. ის ჯემალ ციციშვილის გვერდით იჯდა. ჯემალმა ვახტანგს მკლავი გაჰკრა: ბიჭო, როგორაა ზამბახი რუსულადო?! – ჰკითხა. ვახტანგმა შეხედა და, პეტრუშკა, ჯემალ რევაზოვიჩ, პეტრუშკაო, – უთხრა. გაწითლდა ჯემალი. ისედაც წითური იყო და გაბრაზებულმა ჩასჩურჩულა: მე შენ გაჩვენებ პეტრუშკასო.

ბევრი ვიცინეთ მერე ამაზე. მოკლედ, კარგი დრო გაატარეს და მერე წლების განმავლობაში იხსენებდნენ იმ მშვენიერ საღამოს, რომელიც მოაწყო მამაჩემმა ჩემი დისერტაციის დაცვის აღსანიშნავად.

მოსკოვური მოგონებებიდან

მოსკოვში ხშირად ჩამოდიოდა ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ჯემალ ციციშვილი. სასტუმროში ჩერდებოდა და მეც, ცხადია, ყოველთვის, რაც კი დასჭირდებოდა, მის სამსახურში ვიყავი. ჩემთვის ბევრჯერ უცია პატივი, რის გამოც ვაფასებდი. დღემდე ვარ მისი მადლიერი. ჯემალ ციციშვილის, როგორც ღვაწლმოსილი სპეციალისტის ფოტოსურათი, ჩვენი ინსტიტუტის კედელს ამშვენებს, იუბილეს გადახდაც გვინდოდა, მაგრამ ამ კეთილშობილური და საჭირო საქმის განხორციელებაში ვირუსულმა პანდემიამ შეგვიშალა ხელი.

ჩხუბისთავი არასდროს ვყოფილვარ, თუმცა უსამართლოდ არავის არაფერს შევარჩენდი. მოსკოვში ოთხჯერ თუ ხუთჯერ მოვხვდი ჩხუბში და ამ ჩხუბების მიზეზი ყოველთვის იყო ნაციონალური საკითხი.

ერთ-ერთი ჩხუბი ჯემალ ციციშვილის მოსკოვში ვიზიტს დაემთხვა.

ბატონი ჯემალი სასტუმრო „მოსკოვში“ გაჩერდა. დამირეკა, ვისაუბრეთ და მერე მასთან გავემართე სასტუმროში. რიგები იყო მაშინ ტაქსებზე. ტაქსები ქუჩებში, როგორც ახლა, ასე სტიქიურად არ მოძრაობდნენ. დავდექი ტაქსის რიგში. ჩემმა რიგმა რომ მოაწია, ოთხი ახალგაზრდა კაცი გაიქცა წინ, გადამისწრეს და ტაქსის მიუახლოვდნენ. მივედი – თქვენ რიგი უნდა დაგეკავებინათ, თქვენზე წინ ვიდექი-მეთქი, ვუთხარი. უცნობები უშნოდ გაიქაჩნენ. მივხვდი, მჩაგრავდნენ და უკან არ დავიხიე, არ მივეცი მანქანაში ჩაჯდომის საშუალება. ამ ამბავში ვარ, რომ მოულოდნელად გვერდიდან ცხვირში დარტყმა ვიგრძენი. თქრიალით წამომივიდა სისხლი. გავმწარდი და მეც მოვდე იმათ კბილებში, მაგრამ დიდი ვერაფერი, ისინი აშკარად მჯობნიდნენ. ცოტა რომ დაშოშმინდა სიტუაცია, შინ დავბრუნდი, დავიბანე პირი, წესრიგში მოვიყვანე თავი და კვლავ სასტუმროსკენ გავემართე. სანამ წავიდოდი, მანამდე დავურეკე მილიციის უფროსს, ჩემს მეგობარს, გვარად ასარიანს. ტაქსებთან რომ

დავბრუნდი, ვხედავ, ციმციმაანთებული მილიციის მანქანა მოგვიახლოვდა. ის ოთხი, მე რომ მცემეს, ჯერ კიდევ იქ იყვნენ. ტაქსის რიგში რამდენიმე რუსი ქალიც იდგა. სხვათა შორის, მათ ჩემი მხარე დაიჭირეს და მილიციელებს უთხრეს ზუსტად ის, რაც იყო სინამდვილე და რაც მოხდა. ჩხუბისთავები გენეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები აღმოჩნდნენ. მილიციამ ეს საქმე სასამართლოს გადასცა. ერთ მათგანს, რომელმაც ისე დამარტყა, რომ ცხვირის ძვალი გამიტეხა, ორიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. დაიწყო მოციქულების გზავნა გენეტიკის ინსტიტუტიდან. დირექტორი მთხოვდა: ნუ დავღუპავთ, იქნებ, აპატიოთო. ძალიან გაბრაზებული ვიყავი და არ ვაპირებდი დათმობას – ერთი თვე თუ 40 დღე იჯდა ის კაცი ციხეში. მერე გული მომილბა, ცოლი მოვიდა პატარა ბავშვებით, ატირებული, და, რაც იყო, იყო-მეთქი, ვიფიქრე.

ჯემალ ციციშვილი

ასპირანტურის წლები



საკანდიდატო დისერტაციის დაცვა



საკანდიდატო დისერტაციის დაცვა

საკანდიდატო დისერტაცია, დეიდა – ციცო,
დეიდაშვილი – დუდანა და დედა

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ,
სხედან: ჯემალ ციციშვილი, არჩილ ხომასურიძე, ლეონიდ გოლბერი,
დგას ლევან დოლიძე





თინა თარბასთან ერთად

კლინიკური საქმიანობა

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის მერე მამაჩემმა მითხრა: დაიმსახურე, ამიტომ ერთ-ორი თვე დაისვენე, გაისეირნეო. მეც დავისვენე ჯერ მოსკოვში, მერე თბილისში ჩამოვედი, მოვეფერე მშობლებს და დავბრუნდი უკან. მოსკოვში დაბრუნებულმა ვთხოვე იუდაევს: კლინიკურ განყოფილებაში ვიმუშავებ-მეთქი. დიდად არ გახარებია. აკადემიკოსს კლინიცისტები მაინცდამაინც არ უყვარდა, თუმცა მაინც მიმიღეს სამსახურში და დავიწყე მუშაობა კლინიკის გამგის, სტარკოვას განყოფილებაში. შტატში არ ვირიცხებოდი, რადგან ჯემალ ციციშვილის დახმარებით და მხარდაჭერით, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლად ვითვლებოდი, როგორც გითხარით, იქიდან მიმავლინეს სტაჟიორად მოსკოვში.

ხელფასი, ცხადია, არ მქონდა. მამაჩემი იყო ჩემი მთავარი დამფინანსებელი. დაახლოებით 6 თვე ვიმუშავე და კლინიკურ ენდოკრინოლოგიაში ბევრი რამ უცებ შევითვისე. მერე გადავწყვიტე, დრო დადგა, ქალთა ენდოკრინოლოგიას უფრო მეტად ჩავღრმავებოდი და შემდგომ რეპროდუქტოლოგიაში დავხელოვნებულიყავი.

თვითონ მოვითხოვე და რეკომენდაციით გამამწესეს უმძიმეს მე-10 სამშობიარო სახლში, მოსკოვის პერიფერიაში, აზოვსკაიას 10-ში, სადაც მთავარი ექიმი უბრწყინვალესი პროფესიონალი ადოლფ აბრამოვიჩ მოტინი, შესანიშნავი ექიმი და საუკეთესო მეანი. ამ სამშობიაროს ყველა განყოფილებაში ვიმუშავე. ძირითადად, ამბულატორიაში, სადაც კონსერვატიული გინეკოლოგიის საუკეთესო ექიმი ნატალია მაქსიმოვნა ლიოვინა მოღვაწეობდა. ქალბატონი ნატალია, მოგვიანებით, ჩემი მართლაც უახლოესი მეგობარი გახდა.

ქირურგიული განყოფილების გამგე იყო ლილია ხაზანოვა.

ყველა ეძებდა მეცნიერი მუშაკის ადგილს. მე ავწიე თავი და წავედი ჩვეულებრივ სამშობიარო სახლში, იმიტომ, რომ გამიჩნდა იდეა: კარგია და საინტერესოა ენდოკრინოლოგია.

ამიტომაც შევისწავლე და დისერტაციაც დავწერე. მერე თავს ვუთხარი: ახლა საჭიროა, ქალთა ჯანმრთელობის საფუძვლის – მეანობა-გინეკოლოგიის პრაქტიკული ათვისება-მეთქი.

ყოველთვის ვამბობდი: არ გავჩერდები თეორიულ მედიცინაში, პრაქტიკოსი ექიმი უნდა გავხდე-მეთქი; თანაც ვხვდებოდი, რომ რეპროდუქტოლოგია მომავლის მეცნიერება იყო. არავინ არ ფიქრობდა მაშინ ამაზე. ეს იყო გასული საუკუნის 60-იანი წლები.

იოსებ ჟორდანია უკვე გარდაცვლილი იყო.

ოთხი წელი უმძიმესი სამუშაო გრაფიკით ვიმუშავე მე-10 სამშობიაროში, სადაც ხანდახან 35 მშობიარობა იყო დღე-ღამეში. მოსკოვის ერთ სამშობიაროში რომ იყო, იმდენი მშობიარობა, შეიძლება, მთელ თბილისში არ იყოს დღე-ღამეში. მშობიარეების კვნესაში თენდებოდა ხოლმე, მაგრამ, როცა საქმე გაინტერესებს და გიყვარს, დაღლა იწვევს მხოლოდ მიღწეულით კმაყოფილებას და მეც ასე ვიყავი.

ოთხი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კარგად შემესწავლა მეანობა, გინეკოლოგიური ქირურგია და აბორტების ტექნოლოგიები. საერთოდ, აბორტებს ვერ ვიტანდი, სულ ვიბრძოდი მის წინააღმდეგ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მასთან ბრძოლა უნდა იყოს გეგმაზომიერი. ილუზიაში არასდროს გადავვარდნილვარ, კარგად ვიცოდი, რომ აბორტებს ვერსად გავექცეოდი, ამიტომ ვცდილობდი, გამეკეთებინა აბორტი ისე, რომ ნაკლები ზიანი მიმეყენებინა ქალის ორგანიზმისთვის და მისი ჯანმრთელობისთვის.

გულდაწყვეტით მახსენდება, თუ არ ვცდები, 15 წლის გოგონა, რომელიც დედამ მოიყვანა აბორტის გასაკეთებლად. იმდენი ვუჩიჩინე, ჩამოვიდა ეს გოგონა გინეკოლოგიური სავარძლიდან, მოჰკიდა დედამ ხელი და წავიდნენ. საოცრად მიხაროდა მთელი დღე, თუმცა მერე გავიგე: სხვა სამშობიაროში მაინც გაეკეთებინა აბორტი იმ გოგონას. მეორე 30-35 წლის ქალბატონი იყო, რომელსაც დიდის ამბით გადავათქმევინე ნაყოფის მოშორება, თუმცა მერე თავისით მოეშალა მუცელი და მაინც ჩემი პაციენტი გახდა...

როგორც გითხარით, ჟორდანიას ინსტიტუტიდან ვიყავი მივლინებული და, რადგან შტატში არ ვირიცხებოდი, ხელფასი არ მეძლეოდა, მთელი 4 წელიწადი ძირითადად მამაჩემის გამოგზავნილი ფულით ვცხოვრობდი. მაშინ ვთხოვე ადმინისტრაციას და გამაფორმეს მორიგედ, ე. წ. დეჟურანტად. „დეჟურანტის“ მოვალეობა იყო, ყოველ მეოთხე დღეს ემორიგევა, რაშიც გვეძლეოდა 25 მანეთი. მე არ ვაცდენდი მორიგეობას. თვეში ხანდახან 8-10 მორიგეობა გამომდიოდა და ვიღებდი 250-300 მანეთს. ეს მშვენიერი ანაზღაურება იყო.

ერთხელ გამიმართლა და მამაჩემის ნაყიდი ობლიგაციებიც გავანაღდე. მოგვიანებით, 1971 წელს, იმ თანხით მანქანა ვიყიდე, ეს დიდი ამბავი იყო მაშინ.

საკავშირო-საატესტაციო კომისია – „ВАК“-ი

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ „ვაკშიც“ დავიწყე მუშაობა. იქ საჭიროებდნენ, ასე ვთქვათ, შავი სამუშაოს შემსრულებლებს. „ვაკში“ მუშაობის დაწყებაც არ იყო იოლი საქმე, ამიტომაც რეკომენდაცია გამიწიეს.

ჩემი დისერტაციისთვის ეს სამუშაო ისედაც იყო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი. დისერტაციის შეფასებისას იქ მუშაობასაც ჰქონდა მნიშვნელობა, თუმცა თემას ისედაც არაფერი დაეწუნებოდა, არც შეკითხვები იყო ზედმეტი, არც ანონიმური წერილები მოუწერიათ, როგორც იცოდნენ მაშინ, მაგრამ მე მაინც წავედი სამუშაოდ და კეთილსინდისიერად ვეხმარებოდი ვალენტინა პეტროვნა მეტელიჩინას, ზიკოვს, ტორგოვიჩევას და სხვებს: ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომელთა რეზოლუციაზე დიდად იყო დამოკიდებული სამედიცინო სფეროში დისერტანტების თემების დამტკიცება.

მე ვიყავი პირადად ქალბატონი მეტელიჩინას თანაშემწე. ძალიან სწრაფად ავითვისე საკანცელარიო სამუშაოები. ისეთი მონდომებით ვმუშაობდი, რომ ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მე-

ხებოდა და არ მეხებოდა. ამან როგორც კარგი, ასევე, შეიძლება ითქვას, ცუდი სამსახურიც გამიწია – ვალენტინა პეტროვნამ მერე მითხრა: სპეციალურად გავაჭიანურე შენი დისერტაციის დამტკიცება, კიდევ დიდხანს რომ ყოფილიყავი ჩვენთანო. სამ თვეში შეიძლებოდა დისერტაციის დამტკიცება და ექვს თვემდე გამიწელეს. თუმცა არ ვნანობ იქ გატარებულ დროს – საკმაოდ საინტერესო იყო „ვაკში“ მუშაობა. კი ამბობენ, კორუფცია ჰყვაოდა სსრკ-ში ყველა სფეროშიო, მაგრამ რა გითხრათ, მე იქ კორუფციის არაფერი შემიმჩნევია. არაერთხელ დავხმარებივარ კოლეგებს და მეგობრებს დისერტაციის დამტკიცებაში. მით უფრო, რომ ვალენტინა პეტროვნა უარს არაფერზე მეუბნებოდა.

გავიდა წლები და ვალენტინა პეტროვნას ქალიშვილი ალა მეტელიჩინა ჩემი ორდინატორი გახდა. დიდი ყურადღებით ვეპყრობოდი ალას და პროფესიაში ბევრი კარგი და საჭირო რამ შევასწავლე.

ქალბატონი ვალენტინას მეუღლეს, ივან პეტროვიჩ მეტელიჩინსაც ახლოს ვიცნობდი.

ვალენტინა პეტროვნა 93 წლისა გარდაიცვალა და, რაც ყველაზე საინტერესოა, არასდროს მიუღია არანაირი წამალი.

საკავშირო მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტი და რუსი პედაგოგები

ჩემი პროფესიული განვითარების ყველაზე ეფექტური პერიოდი 1972 წლიდან 1985 წლამდე გრძელდებოდა, ანუ იმ დრომდე, სანამ თბილისში დავბრუნდებოდი.

ამ წლებში ვმუშაობდი ВНИАГ-ში – საკავშირო მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც გახლდათ მთავარი სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულება საბჭოთა კავშირში. ინსტიტუტს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ მედიცინის კორიფეები – დაწყებული მიხეილ მალინოვსკიდან, დამთავრებული ლეონიდ პერსიანინოვით. მათ გარდა იყვნენ, აგრეთვე, ბრწყინვალე სპეციალისტები, მაგალითად, ჩემი ახლო მეგობარი ნიკოლაი პობედინსკი, ვლადიმერ სეროვი და სხვები. ეს იყო საბჭოთა კავშირის მეანობა-გინეკოლოგიის უმაღლესი დონის დაწესებულება.

იმ პერიოდში, მეანობა-გინეკოლოგიის საკავშირო ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ლეონიდ სემიონოვიჩ პერსიანინოვი, რომელიც იყო მეანობა-გინეკოლოგიის ნამდვილი კორიფე, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მფლობელი, აკადემიკოსი, ერთ-ერთი პირველი ლენინური პრემიის ლაურეატი და საბჭოთა მეანობა-გინეკოლოგიის მამამთავარი; ამავე დროს, როგორც კაცი და პიროვნება, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო.

მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში მყავდა ძმაკაცი, იური ფილიპოვიჩ ზმანოვსკი. ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგის პოზიცია ეკავა იმჟამად. თეორიულ სამუშაოებს ასრულებდა. მოსკოვში ცნობილი კაცი იყო, სამეცნიერო საბჭოს წევრი. იმხანად პერსიანინოვს მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში თანამშრომელი სჭირდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს სიტყვას მოჰყოლია და ზმანოვსკის უთქვამს თურმე ლეონიდ პერსიანინოვისთვის: კარგი ბიჭია ხომასურიძეო. კარგად დავუხასიათებივარ სხვებსაც და დამიბარეს გასაუბრებაზე. შეხვედრაზე ზმანოვსკიც წამყვა. ლეონიდ სემიონოვიჩმა თავად შემომთავაზა: იმუშავე ჩვენთან, ჯერჯერობით უფროსი მეცნიერი მუშაკის პოსტს ვერ მოგცემთ, მაგრამ უმცროს მეცნიერმუშაკად კი დაგნიშნავთო. მოხარული დავრჩი, რადგან მეანობა-გინეკოლოგიის საკავშირო ინსტიტუტი დარგის წამყვანი დაწესებულება იყო სსრკ-ში.

1972 წელს დავიწყე მუშაობა ამ დიდ და მნიშვნელოვან დაწესებულებაში აკადემიკოს ლეონიდ პერსიანინოვის ხელმძღვანელობით, რომელსაც შემდეგ შვილივით შევუყვარდი. მოვწონდი რატომღაც და მმფარველობდა..

რომ გავშინაურდი, პროფესორ პერსიანინოვს ვუთხარი: მეანობაში მუშაობა არ მინდა-მეთქი.

– რატომო? – მკითხა გაკვირვებულმა მეანობის მამამთავარმა.

აკადემიკოსი
ლეონიდ პერსიანინოვი

მარია ლვოვნა კრიმსკაია

– იმიტომ, რომ მიმაჩნია, პრიმიტიული საქმეა და განვითარების პერსპექტივებიც არა აქვს-მეთქი.

დაფიქრდა ლეონიდ სემიონოვიჩი და – знаешь, ты прав, наша профессия, это все-же ремесло, – მითხრა. მოეწონა ჩემი ამგვარი დამოკიდებულება.

ასე ვთქვი უარი მეანობაზე და გადავერთვე რეპროდუქტოლოგიაზე, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ყველამ დააფასა. იმ პერიოდში აქტიურად ვმუშაობდი ქალთა უშვილობის საკითხებზე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე. თეორიულად მაშინაც მიმაჩნდა, რომ პანაცეა იყო ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეპცია.

მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში განყოფილების გამგე იყო მარია ლვოვნა კრიმსკაია, გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელი სსრკ-ში და პიროვნულად ძალიან კარგი ადამიანი. უნდა ვთქვა, ექიმობა ქალბატონმა მარია ლვოვნამ

მასწავლა. თეორია ხომ მნიშვნელოვანია, მაგრამ კლინიკური გამოცდილება სულ სხვა რამ არის. მისი დახმარებით შევიძინე უდიდესი გამოცდილება კლინიკურ მედიცინაში.

ენდოკრინოლოგ მარია ლვოვნა კრიმსკაიასთან ვმუშაობდი ჯერ უმცროს, მერე უფროს მეცნიერ-მუშაკად და ის იყო დავაპირე იქ რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილების შექმნა, რომ თბილისში გადმოსვლა მომიწია.

14 წელი ვიმუშავე მარია ლვოვნას განყოფილებაში, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში გაუშვეს პენსიაზე ქალბატონი მარია ლვოვნა, რათა ინტრიგებითა და ბინძური ხრიკებით მისი ადგილი დაეკავებინათ. მე, ცხადია, იმ ამბებში არ ჩავრეულვარ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს არ გამიგია, და მეორე, საუკეთესო მასწავლებელს არასოდეს ვუღალატებდი.

მერე, წლები რომ გავიდა და მე თბილისში ჩამოვედი, აქ გავიგე ქალბატონი მარია ლვოვნას გარდაცვალების შესახებ. ძალიან დამწყდა გული და მოსკოვში ჩასული სულ ვცდილობდი, მომეძებნა მისი საფლავი, პატივი მიმეგო მისი ხსოვნისთვის. თუმცა არც ძველ და არც ახალ სამედიცინო წრეებში ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს თავად მივაგენი ელემენტარული მეთოდით – საფლავების მომვლელ ქალს ფული მივეცი და მიპოვა ჩემი მასწავლებლის სამუდამო განსასვენებელი.

მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში მყავდა ერთი ექთანი, სახელად ტოსია, სიელმე ჰქონდა, ვერ მიხვდებოდი, საით იყურებოდა. ძალიან გამოცდილი ექთანი იყო. მე, როგორც ახალგაზრდა ექიმს, ბევრ პრაქტიკულ ჩვევას მასწავლიდა. როდესაც პაციენტი გინეკოლოგიურ სავარძელზე იწვა და მე რაიმე პროცედურას ვასრულებდი, მაგალითად, საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკას, მიადებდა ყურს ქალს ბარძაყზე და მინიშნებებს მაძლევდა, როგორ უნდა გამეგრძელებინა მანიპულაცია: „хватит доктор, чуть-чуть осталось...“, – მეტყოდა ხოლმე.

ინსტიტუტში მუშაობა მრავალმხრივ საინტერესო იყო, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ ინსტიტუტში

მუშაობას სძენდა მისი დირექტორის, ლეონიდ სემიონოვიჩ პერსიანინოვის იქ ყოფნა. მაშინ უკვე ხანშიშესული იყო ლეონიდ პერსიანინოვი. რადგან მის ოჯახთანაც მეგობრული დამოკიდებულება მქონდა, ხშირად ვსტუმრობდი ხოლმე და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი – ვახალისებდი მას და მის ასაკოვან მეუღლეს, ვსაუბრობდით. წესიერი, განათლებული ცოლ-ქმარი იყვნენ. სიამოვნებით ვიგონებ მათთან გატარებულ დროს.

მეანობა-გინეკოლოგიის საკავშირო-სამეცნიერო ცენტრში მთავარ ექიმად ლენერა მიხაილოვნა პროხოროვა მუშაობდა, რომელიც, მგონი, ქართველებს ვერ იტანდა. ასეც არ იყოს, მე პრინციპი მქონდა ასეთი – ქალებს არ ვეარშიყებოდი სამსახურში. არადა, ქალბატონებს რომ კომპლიმენტებს არ ეუბნები, სწყინთ. 3000-იან კოლექტივში 95% ქალი იყო. მე, ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც მამაკაცი, მათ მიმართ ზედმეტ ყურადღებას არ ვიჩენდი, ეს ბევრს გულს სტკენდა, ბევრს აღიზიანებდა, ბევრი ბოღმით ივსებოდა. რა ვქნა? ისეთი შეხედულება მქონდა, რომ სამსახურში პირადი ურთიერთობებისთვის ადგილი არ არის.

ჩემი ვარაუდით, პროხოროვა, ნაციონალური მოტივის გარდა, ჩემი უყურადღებობითაც იყო უკმაყოფილო და ცდილობდა, სამაგიერო იმით გადაეხადა, რომ ხშირად მსვამდა მორიგეობის სიაში. რას ვიზამდი, სხვა გზა არ მქონდა. ვმუშაობდი, ვკითხულობდი სამედიცინო ლიტერატურას, სტუდენტებს ვუტარებდი სემინარებს, ექიმებს – ლექციებს. სხვათა შორის, დამიფასდა კიდევაც თავდადება. შრომის ორიენტირებმა დამაკავშირეს ფარმაცევტულ კომპანიებთან, გავხდი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე. თუმცა, გული მაინც მქონდა აყრილი მეანობასა და გინეკოლოგიურ ქირურგიაზე. ისედაც ძალიან ვიღლებოდი, საშინელი რუტინა იყო ყოველი დღე, მაგრამ შინ ვბრუნდებოდი კმაყოფილების შეგრძნებით, რომ ვაკეთებდი ჩემს საქმეს, ვეხმარებოდი ახალი ადამიანის გაჩენას, ხელს ვუწყობდი ჯანმრთელი დედებისა და ახალშობილების არსებობას ამ სამყაროში და დღემდე მიმაჩნია, რომ ყველა ახალგაზრდამ, ვისაც უნდა რეპროდუქტოლოგობა, პირველ რიგში, სურს ეს თუ არა, აუცილებლად უნდა გაიაროს მეანობა-გინეკოლოგიის პრაქტიკული და თეორიული კურსი. ამაში დავრწმუნდი მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდშიც.

რუსეთში მყავდნენ შესანიშნავი პედაგოგები, უაღრესად პატივსაცემი უფროსი კოლეგები. მათი ხელშეწყობით საბჭოთა მედიცინაშიც შევიტანე გარკვეული წვლილი, კერძოდ, გინეკოლოგიურ ენდოკრინოლოგიაში და მისი მნიშვნელოვანი ნაწილების – რეპროდუქტოლოგიის და ხელოვნური განაყოფიერების საკითხებში, რაც საბჭოთა მედიცინაში სენსაციური ინოვაცია იყო.

კრიმსკაია, როზოვსკი, მანდელშტამი, სეროვი, მანუილოვა, პაბედინსკი და სხვები შესანიშნავი ადამიანები და საქმის საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ. მათ შორის სიამოვნებით მაგონდება ვლადიმირ ნიკოლაევიჩ სეროვი, უჭკვიანესი კაცი, კარგი სპეციალისტი და დადებითი პიროვნება.

მიმაჩნია, რომ ამ ინსტიტუტს მეანობა-გინეკოლოგიის დამაარსებლის პერსიანინოვის სახელი უნდა ეწოდებოდეს, მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამაზე არ შევჩერდები.

ამჟამად, ინსტიტუტის დირექტორია პროფესორი სუხიხი, სპეციალობით იმუნოლოგი. სხვათა შორის, მისი მოადგილეა წარმოშობით თბილისელი სომეხი ქალბატონი ლეილა ადამიანი. მუშაობენ, მოღვაწეობენ, მაგრამ საბჭოთა პერიოდში მედიცინის სფერო უფრო მაღალ დონეზე იყო. ამას არ ვამბობ იმ დროის ნოსტალგიის გამო. ნოსტალგია, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით.

რუსეთში არარუსმა წარმატებას რომ მიაღწიოს, პროფესიული თვალსაზრისით, გარშემომყოფებზე ერთი თავით მაღლა მაინც უნდა იდგეს. მე ერთით კი არა, ორი თავით მაღლა ვიყავი ყოველთვის, ამიტომ ყველა ეტაპზე წარმატებებს ვაღწევდი. ეს ჩემი ბედის დამსახურებაც იყო – იღბლიანიობისა და ამავე

დროს ჩემი თავდადებული შრომის და საქმის სიყვარულისაც.

მოსკოვში, ფაქტობრივად, ორ ადგილას ვიმუშავე, თუ არ ჩავთვლით სამშობიარო სახლში გატარებულ მძიმე ოთხ წელიწადს, მეანობაში ნებაყოფლობით მუშაობას, რადგან, კიდევ გავიმეორებ დამწყებთათვის, რომ მეანობა იყო და არის ჩვენი პროფესიის საფუძველი.

უფროსი არასდროს მყოლია. მყავდნენ ხელმძღვანელები, პატივისცემის ღირსი ადამიანები, რომლებსაც ვემორჩილებოდი ხათრისა და მათ მიმართ უდიდესი პატივისცემის გამო.

პროფესორებმა: ლეონიდ პერსიანინოვმა, მარია კრიმსკაიამ, ვილენ კანდრორმა, ლეონიდ გოლბერმა და სხვა შესანიშნავმა სპეციალისტებმა და ღირსეულმა ადამიანებმა იქონიეს უდიდესი გავლენა ჩემზე. არ შემეძლო, ეს არ დამენახა, არ დამეფასებინა. დიახ, მე, როგორც პიროვნება და ადამიანი, ფაქტია, ჩამოვყალიბდი მოსკოვში და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ვინმესთვის, რუსეთი ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია.

ახლა პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი აქვს რუსეთსაც და ამ რყევების დროს ჩვეულებრივი ამბავია, რომ სტაბილური პროფესიონალური განვითარება და დროის შესაბამისი მიღწევები არ არის ადვილად განსახორციელებელი.

სადოქტორო დისერტაცია

ზუსტად ათი წლის შემდეგ, 1979 წელს, სადოქტორო დისერტაცია შევასრულე ქალბატონი მარია ლვოვნა კრიმსკაიას განყოფილებაში. დისერტაციის თემა იყო „ჰორმონული კონტრაცეპციის გავლენა ფარისებრ, თირკმელზედა, კუჭუკანა ჯირკვლებზე, თირკმელებისა და ღვიძლის ფუნქციაზე“. თემის კონსულტანტი იყო პროფესორი ლეონიდ პერსიანინოვი.

იმავე წელს მივიღე ლენინური კომკავშირის პრემია. ეს მნიშვნელობით მესამე პრემია იყო საბჭოთა კავშირში. პირველი

იყო ლენინური პრემია, მეორე – სახელმწიფო პრემია, მესამე კი კომკავშირის პრემია, რომლის ფულადი ჯილდო შეადგენდა 2,500 მანეთს. პრემია მივიღე, როგორც ყველაზე ახალგაზრდა დოქტორმა-მედიკოსმა.

მაშინ დოქტორის დიპლომებს აძლევდნენ მეცნიერებათა სახლში, კრაპოტკინსკაიას ქუჩაზე. დანიშნულ დღეს კრაპოტკინსკაიაზე მივედი დიპლომის ასაღებად. დარბაზში იქნებოდა, ასე, 50 კაცამდე, დოქტორები, პროფესორები ყველა სპეციალობიდან. ეტიკეტი კი მოითხოვდა, მაგრამ რატომღაც ოფიციალურად არ ჩავიცვი, ჯინსებით მივედი – გამოვაჩინე ქართული ხასიათი, კავკასიური გოროზობა და პატივმოყვარეობა და მახსოვს, რაღაცნაირი სითამამით შევაბიჯე დარბაზში. ცარიელი სკამი მოვძებნე და დავჯექი.

ცოტა ხანში გვერდით ახალგაზრდა მომიჯდა, რომელსაც, ასე თვრამეტიოდე წელს თუ მისცემდი. ვეკითხები: А вы чего пришли-მეთქი. შემომხედა და: Затем, что и вы- ო. მოკლედ, აღმოჩნდა, ჩემი თავი რომ მეგონა მაგარი ვინმე, ყველაზე ახალგაზრდა ვარ-მეთქი, თურმე ეს ბიჭი, როგორც მერე გავიგე, გვარად სპირინი, ცნობილი ფიზიკოსი და აკადემიკოსი, რომელიც შემდგომ ნობელის პრემიის ნომინანტი გახდა, საბჭოთა ჯარი უკვე მოევლო, ლომონოსოვის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკური ფაკულტეტი დაემთავრებინა და სულ რაღაც 27 წლისას სადისერტაციოდ ისეთი ნაშრომი წარუდგენია, პირდაპირ დოქტორის ხარისხი მიუნიჭებიათ.

მოსკოველი მეგობრები

რუსეთი მრავალტანჯული ქვეყანაა. რუს ერს, განვლილი დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე, აქვს თავისებურებები, მაგრამ გულისხმიერებით და ადამიანურობით ყველაზე ახლოს დგანან ქართველებთან და საქართველოსთან, რის გამოც, მიმაჩნია, რომ პერიოდი, როცა საქართველოს და რუსეთს მჭიდრო კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდათ, არ იყო ცუდი პერიოდი ჩვენი ქვეყნისთვის...

როგორც უკვე ვთქვი, მოსკოვში ცხოვრებისას ბევრი ცნობილი ადამიანი გავიცანი. მათგან ბევრი დავკარგე, ბევრიც დღემდე შემომრჩა. მაშინდელი მეგობრებიდან განსაკუთრებით მახსენდება ლიონია რეინშტეინი, ქუჩაში შემთხვევით გაცნობილი სლავა დვორკინი, მევიოლინე ვალერი სოროკინი. ბევრი თავგადასავალი გადაგვხდენია ერთად მე და ამ ბიჭებს.

თუ რაიმე ახალი ფილმი გამოჩნდებოდა, სპექტაკლი დაიდგმებოდა ოპერაში თუ თეატრებში, ყველგან ვიყავი. განსაკუთრებით მაინტერესებდა კინო და ეს ბუნებრივიცაა. მაშინ კინემატოგრაფია როგორც მსოფლიოში, ასევე რუსეთში ზენიტისკენ მიდიოდა. იქმნებოდა ბრწყინვალე კინოშედევრები მსოფლიოში და სსრკ-შიც.

ახალგაზრდებს ცხადია, გვაინტერესებდა როგორც ყველაფერი უცხო, ასევე, კონკრეტულად, დასავლური კინო. „გოსკინოში“ არაოფიციალურ ჩვენებებზე სისტემატურად დავდიოდი. დავუახლოვდი სინქრონისტებს და ყველა მაშინდელი თანამედროვე ფილმი-შედევრი: „უკანასკნელი ტანგო პარიზში“, „ნათლია“, ფრანგული და იტალიური ბრწყინვალე კინონამუშევრები ვნახე მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ეს ფილმები მხოლოდ ათიოდე ადამიანს თუ ჰქონდა ნანახი.

„გოსკინოს“ არაოფიციალურ ჩვენებებზე მოსკოვის ახალგაზრდა ინტელიგენციის მთელი პლეადა იკრიბებოდა. იქ გავიცანი საშა ლევინსონი, ალიოშა სტიჩკინი, გარი სტატენკოვი, არკაშა ბრატჩიკოვი, სხვადასხვა ინტერესის მქონე კარგი

ახალგაზრდები. მერე, როცა დავახლოვდით, თავისუფალ დროს ძირითადად ამ ყმაწვილებთან ვატარებდი.

მოსკოვის კულტურულ ინტელიგენციასთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა. ამ წრის ქალბატონების უმრავლესობა ჩემი პაციენტი იყო, ძირითადად, ბალერინები და მსახიობები.

მოსკოვში მაშინ კლუბური ცხოვრება იშვიათი ხილი იყო, მაგრამ არსებობდა კლუბი – დიდი თეატრის სახლი „სადოვოე კოლცოზე“. კლუბს ხელმძღვანელობდა ბორია მესერერი, ცნობილი ბალერინას, მაია პლისეცკაიას ბიძაშვილი. იქ მიმიყვანეს ჩემმა პაციენტებმა, ბალერინებმა, დებმა რიაბინკინებმა. მერე თანდათან თვითონ გავიცანი რუსეთის, კერძოდ, მოსკოვის ახალგაზრდა კულტურული ინტელიგენცია.

ბორია მესერერთან შევხვდი მწერლებს: იულიან სემიონოვს, ვასილი აქსიონოვს, მსახიობსა და რეჟისორს ნიკიტა მიხალკოვს, მომღერალ ალა პუგაჩოვას.

ნიკიტა მიხალკოვი ნიჭიერი კაცია, მაგრამ „ველიკორუსული შოვინიზმი“ უბნევს გონებას. ამის გამო თავიდანვე ვერ ვეწყობოდით ერთმანეთს. ამ ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტად ვახლობლობდი იულიან სემიონოვთან, რომელიც იყო ძალიან საინტერესო ადამიანი, დიდი მწერალი. სცენარების ავტორი ფილმებისა: „გაზაფხულის 17 გაელვება“, „ოგარიოვის №6“, „პერტროვკა 38“, „მაიორი ვიხრი“. სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს, მე და იულიან სემიონოვი ერთად რომ ვისვენებდით ბიჭვინთაში. სამწუხაროდ, ის დღეს ცოცხალი აღარ არის.

მოსკოვთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავით მახსენდება. ძმაკაცი მყავდა – სელიმ ვექილოვი. საინტერესო ბიჭი იყო, მხიარული, ნიჭიერი და ადვილად დავმეგობრდით. მასთან დღემდე მაქვს კარგი ურთიერთობა. სელიმი ერთი პერიოდი პოლონეთში ცხოვრობდა – პოლონელი ქალი მოიყვანა ცოლად. ახალგაზრდობაში ხატებს ცვლიდა ძვირფას თვლებში. თავად Playboy იყო, პირდაპირი გაგებით.

მოსკოვში ცალკე ბინაში რომ გადავედი, იქ ჩამოდიოდა ჩემთან. ძვირფას ნივთებს იყიდდა, ყიდდა და იყო ასეთ ამბებში.

ერთ მშვენიერ დღეს შეხვეული მოიტანა რაღაც ნივთი, დატოვა ჩემთან, წავიდა და აღარ გამოჩენილა.

გავიდა დრო. 1970-იანი წლებია. ერთ საღამოს მირეკავს ტელეფონი. საქალაქთაშორისო ზარია:

– Привет, старик. Угадай, откуда я тебе звоню.

– Не знаю, из Варшавы, наверное.

– Нет, старик, я во Франкфурте.

კინაღამ გული შემიწუხდა, რა ფრანკფურტი, რის ფრანკფურტი. როგორ მოხვდი მანდ-მეთქი, – ვკითხე.

მოკლედ, ჩემი სელიმა გადაპარულა ავსტრიაში და იქიდან საბარგულში შემძვრალი, დიდი წვალებით გერმანიაში ჩასულა.

სელიმმა მითხრა: მანდ კარადის თავზე რაც დავტოვე, შემინახე და, როცა ჩამოვალ, წავიღებო. მაშინ გამახსენდა, რაღაც ქაღალდში შეხვეული რომ იდო კარადის თავზე.

გავხსენი: ხატები აღმოჩნდა. შევახვიე ისევ ქაღალდში და დავაბრუნე ძველ ადგილას.

ეს კი შემოვდე კარადაზე, მაგრამ თავსატეხი გამიჩნდა. საქალაქთაშორისო ზარებს რუსეთის სპეციალური სამსახურები უსმენდნენ და მე უკვე ვიცოდი, ჩემი და სელიმის საუბარი მოსმენილი ექნებოდა, რომ იტყვიან, ვისაც ჯერ არს.

დავურეკე სელიმის დედას ბაქოში და ვუთხარი: რა ვქნა ახლა, ნამდვილად თვალთვალზე ამიყვანენ, არადა, სადოქტორო მაქვს დასაცავი-მეთქი. დედამისმა მირჩია: განცხადება დაწერე მოსკოვის უშიშროების სამსახურის სახელზე და გადაეცი, რაც დატოვებული აქვს სელიმსო.

მივედი უშიშროების განყოფილებში, ჩავაბარე ხატები და წამოვედი.

ამ თავგადასავალს წინ ერთი ამბავი უძღოდა. ექიმთა ჯგუფი პოლონეთში წავედით. ჩვენთან ერთად იყო ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტის ერთი პროფესორი. მაშინ, მოგეხსენებათ, უცხოური ყველაფერი დეფიციტი იყო სსრკ-ში და ყველა ცდილობდა, რაიმე სუვენირი წამოეღო საზღვარგარეთიდან. ჩვენებმა ვალუტის გაცვლა მოინდომეს. მე ადრე ვიყავი ნამყოფი პოლონეთში, ვიცოდი,

როგორ ხდებოდა ეს და კეთილი გულით დავეხმარე ჯგუფის წევრებს. ყველა კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ამ სიკეთეს, როგორც მერე გავიგე, ასე „უკვალოდ“ არ ჩაუვლია – ამის შემდეგ თითქმის 5 წლის განმავლობაში აღარ მიშვებდნენ საზღვარგარეთ.

ლუბიანკაზე უშიშროების სამსახურში ვიზიტიდან რამდენიმე თვის შემდეგ დამირეკეს: შენთან საქმე გვაქვს, რაიონის განყოფილებაში შევხვდეთ, დახმარება უნდა გთხოვოთო. მივედი.

– თქვენ უცხო ენას ფლობთ, ქალთა დაავადებების სპეციალისტი ბრძანდებით, საელჩოში ერთ მიღებაზე უნდა გაგიშვათ, ქალბატონი უნდა გაიცნოთ და შემდეგ მის შესახებ ინფორმაციები უნდა მოგვაწოდოთო.

თავზარი დამეცა. მოვიფიქრებ-მეთქი, ვუთხარი და ორი დღის შემდეგ უარი შევუთვალე. გაბრაზდნენ ისე, რომ სულ ღრიალებდა უფროსი: დაივიწყე კარიერა, რა სადოქტორო, რის სამსახური, მოსკოვში შენ არავითარი მომავალი არა გაქვსო. წამოვედი. პანიკაში ვიყავი. ღამეები არ მეძინა, მაგრამ არაფერი. ცხოვრება თითქოს ძველებურად გრძელდებოდა.

ერთხელაც შეიკრიბა ჯგუფი მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტიდან, მგონი, ბელგიაში გასამგზავრებლად. ხატების ინციდენტის მერე დიდი იმედი არ მქონდა, რომ გამიშვებდნენ, მაგრამ მაინც შევიტანე განცხადება და ჰოი, საოცრებავ, გამიშვეს.

მას შემდეგ გავიდა 25 წელიწადი. დაინგრა საბჭოთა კავშირი. მე სტუმრად ვარ ძალიან ახლო მეგობრის ოჯახში, ვალენტინა სილუიანოვასთან, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის გამგესთან. მისი ქალიშვილი ლუდა სილუიანოვა ჩემი ორდინატორი იყო. ლუდა ძალიან კარგი გოგო იყო. ის ახლაც მოსკოვში ცხოვრობს. ოჯახიც არ შეუქმნია. ლუდას მამა ლეონიდ სილუიანოვი თავის დროზე კგბ-ს კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე იყო ლუბიანკაზე. მოკლედ, ლუდას დაბადების დღეზე სტუმრად ვარ მათ ოჯახში. კგბ თავისი ძველი ფორმით აღარ არსებობს, ლეონიდ ნიკოლაევიჩი მეუბნება: გინდა მოგიყვე შენი

ერთი ძველი თავგადასავალი, რომელიც ზუსტად ვიცი? ქვეყნიდან გასვლა იმიტომ აგეკრძალა, რომ დაგასმინეს პოლონეთში ვალუტის ამბავზე, შექმნეს შენზე დოსიე და საეჭვოდ მიგიჩნიესო.

– აბა, ხუთი წლის მერე ბელგიაში როგორ გამიშვეს-მეთქი.

– ხუთი წლის მერე შენ ერთი სწორი სვლა გააკეთე, ჩვენს შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვიო.

როგორც ჩანს, იქაც არ უყვართ დამსმენები. უარი რომ ვთქვი ქალბატონის დასმენაზე და მათთან თანამშრომლობაზე, ხელი ჩაიქნიეს და ამომშალეს საეჭვოთა სიიდან.

მოსკოვური ელიტა

პრაქტიკულ მედიცინაში, როგორც ვთქვი, უშვილობას ვმკურნალობდი, მათ შორის მაშინ მოსკოვში ცნობილი ოჯახების ქალბატონებს. ასე გავიცანი შინაგან საქმეთა მინისტრის ნიკოლაი შჩოლოკოვის ვაჟიშვილის ოჯახი, რომელთანაც ჩემმა მეგობარმა ომარ საკანდელიძემ დამაკავშირა. მაშინ სსრკ კომკავშირის ლიდერი იყო უმცროსი შჩოლოკოვი, ძალიან სიმპათიური, განათლებული კაცი. ეს იყო საინტერესო და ძალიან კეთილი ადამიანი. მალე დავმეგობრდით. ერთ დღეს რესტორანში ვსხედვართ. შეზარხოშდა იგორი და მეკითხება:

– Слушай, ты чем занимаешься?

– ექიმი ვარ, უშვილობას ვმკურნალობ-მეთქი.

– ჰოდა, აგერ, ჩემი ცოლი არ ორსულდება, იქნებ, დაგვეხმაროო, – მითხრა.

დაუძახა თავის მეუღლეს, ნონას, რომელიც წარმოშობით რუსი ებრაელი იყო. ის მეორე ქორწინებაში გახლდათ იგორთან. იგორმა უთხრა: უშვილობასთან დაკავშირებით კონსულტაციები არჩილთან გაიარეო.

მეორე დღეს ინსტიტუტში დიდი ამბავი შეიქნა. შენობას მოადგა თეთრი მერსედესი, რომელიც, მგონი, ერთადერთი იყო

მთელ მოსკოვში. შემოვიდა ქალბატონი ნონა წაულის ქურქში გამოწყობილი. ეგონათ, ექიმ ელენა მატვეევასთან მიდიოდა, რადგან თურმე ადრე მასთან მკურნალობდა. ელენას უთქვამს: ვერასდროს ვერ დაორსულდები, საშვილოსნოს მილები გაუვალიაო. მოკლედ, გადაუწურავთ იმედი.

ნონა შჩოლოკოვა ჩემთან მოვიდა. გავსინჯე პაციენტი და ენდომეტრიოზის დიაგნოზი დავუსვი. აღმოჩნდა, რომ არც წინა დიაგნოზი იყო მთლად ზუსტი, რენტგენში პატარა შეცდომა იყო გაპარული. მოკლედ, ვუმკურნალე შჩოლოკოვის მეუღლეს და ორ თუ სამ თვეში ორსულობა დადგა. ატყდა ერთი ამბავი, მოგვაწყდნენ პაციენტები და, შესაბამისად, გამიჩნდა ბევრი მტერიც.

ქალბატონმა ნონა შჩოლოკოვამ კარგად იმშობიარა. გაუჩნდა უმშვენიერესი ქალიშვილი ირინა.

სამწუხაროდ, ირინა შჩოლოკოვა მერე თვითონ გადაყვა მესამე მშობიარობას. ის სულ რაღაც 32 წლისა გარდაიცვალა. მე მაშინ უკვე თბილისში ვმუშაობდი, აქ გავიგე ეს სამწუხარო ამბავი და ძალიან დამწყდა გული. ირინა ჩემი მკურნალობის შედეგად მოევლინა ქვეყნიერებას და იმ ინსტიტუტში გარდაიცვალა, რომელშიც დაიბადა.

ლამაზი გოგო იყო ირონჩკა, ქერა, მომხიბლავი, არადა, დედამისი შავგვრემანი გახლდათ.

ჩემთვის კარიერა რომ გაეფუჭებინათ, ჭორიკნებმა ხმა დაყარეს: ხომასურიძე არის ამ ბავშვის ბიოლოგიური მამაო, მაგრამ ეს იყო აბსურდი, რის დამტკიცებაშიც დამეხმარა ის, რომ ირინოჩკა ძალიან ჰგავდა მამამისს.

ირინა შჩოლოკოვა დაიბადა 1977 წლის მეშვიდე თვის 7 რიცხვში. ეს მოსკოვის სამეანო-გინეკოლოგიური დაწესებულებებში შვებულების დროა.

ნონა შჩოლოკოვას მშობიარობის დრომ რომ მოაწია, დაუძახეს პერსიანინოვს: რა ვქნათო?! იგორ ნიკოლაევიჩმა ბრძანა: სადაც იტყვით, იქ ვამშობიაროთო. ბოლოს გადაწყვიტეს, მოსკოვის მე-4 სამშობიაროში წაეყვანათ. მე-4 სამშობიაროს მთავარი ექიმი მაშინ იყო შესანიშნავი ებრაელი სპეციალისტი ვლადიმირ

კოპი. მეც მკითხეს, რა აზრისა ხარო. ჩემთვისაც ცნობილი იყო, რომ კარგი ავტორიტეტი ჰქონდა ამ სამშობიაროს და მოვიწონე მათი გადაწყვეტილება. მშობიარობა უნდა მიეღო თვითონ პერსიანინოვს. ასაკში იყო უკვე ლეონიდ სემიონოვიჩი, უჭირდა მოძრაობა, მაგრამ მან შესანიშნავად გაართვა საქმეს თავი.

იმ დილას სამთავრობო დაცვის ესკორტმა მომაკითხა და სამშობიაროში წამიყვანეს. მთელი მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტრო იქ იყო. პატივს სცემდნენ შჩოლოკოვს, თავის დროზე ლეონიდ ბრეჟნევის უახლოეს მეგობარს, ფაქტობრივად, მეორე კაცს საბჭოთა კავშირში.

მივედი, ჩავიცვი ხალათი, შევედი მთავარ ექიმთან, რომელიც წამიძღვა საოპერაციოში. მოვიდა ლეონიდ სემიონოვიჩიც. უცებ თვალი მოვკარი, მთავარმა ექიმმა პერსიანინოვს რაღაც ჩაუჩურჩულა. ფერმა გადაჰკრა ლეონიდ სემიონოვიჩს, დამიძახა და მითხრა, რომ საოპერაციოდან გავსულიყავი.

შემოსასვლელში დამხვდა იგორი. ნასვამი იყო.

– რატომ გამოხვედიო? – მკითხა. – А ну-ка, пойдем-ო და სამშობიაროში წამიყვანა. შევარდა ბლოკში და, თუმცა ნონა უკვე ნარკოზში იყო, შესძახა:

– Вставай, Нона, Если Арчил не будет присутствовать, не будешь рожать.

ნონას უკვე ეძინა. ყველას ხმა ჩაუვარდა...

დაიწყო ოპერაცია. ლეონიდ სემიონოვიჩს სამი თუ ოთხი წუთი დასჭირდა ბავშვის ამოსაყვანად და, რომ დავინახე ქერა, აპრეხილი ცხვირით, მამამისის ასლი ახალშობილი, გულზე მომეშვა... დაიბადა პატარა ანგელოზი და ეს ჩემი დამსახურება იყო.

იმ დღიდან უფრო მოიმატა ჩემმა პოპულარობამ. ეს ამბავი იწერებოდა გაზეთებში, ჟურნალებში, მეძებდნენ ჟურნალისტები.

ჩემი მადლიერი იყო შჩოლოკოვების მთელი ოჯახი და, რა თქმა უნდა, თავად ქალბატონი ნონა შჩოლოკოვა. ხშირად მპატიჟებდნენ სახლში, რომ ჩემთვის, როგორც ოჯახის ახლობლისთვის, პატივი ეცათ.

კუტუზოვის პროსპექტზე, 26 ნომერში ცხოვრობდნენ, იქვე იყო პროფესორი პერსიანინოვის ბინაც. ხშირად დავდიოდი ორივესთან.

ერთხელაც ჩამოვდივარ ლეონიდ სემიონოვიჩის სახლიდან და მოდის ნონა თანხმლებ ქალბატონებთან ერთად. იქვე თვალი მოვკარი, გამოჩნდა თავად მინისტრიც – უფროსი შჩოლოკოვი.

მინისტრს ძალიან უყვარდა თავისი რძალი. მივიდა და რაღაცაზე საუბარი გაუბა. ამ დროს ნონამ ჩემკენ გამოიხედა, დამიძახა. მივუახლოვდი.

– Вот это тот Арчил, доктор, который вас сделал дедушкой, – უთხრა ნონამ მამამთილს.

მინისტრმა სერიოზული სახით შემომხედა, უხმოდ ჩამომართვა ხელი და წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გაჩერდა, მობრუნდა და მოთხრა:

– Идите ко мне, молодой человек.

მე მივედი.

– Вы знаете, мне в жизни повезло, у меня все есть, но я никогда не чувствовал себя полноценным человеком, пока я не стал дедушкой. И для меня это сделали вы. Просите, что хотите.

დავიბენი. რა უნდა მეთქვა, არ ვიცოდი.

– არაფერი-მეთქი, – ვუთხარი.

– კარგი, კარგიო, – თქვა და წავიდა.

მერე ნონამ დამიწყო საყვედურები.

– Дурак ты, почему ничего не попросил, такой возможности больше не появится.

მახსოვს, გავიხუმრე მაშინ: ერთი ოცნება მაქვს, მართვის ისეთი მოწმობა რომ მქონდეს სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს რომ აძლევენ, რათა ქალაქში, როგორც მინდა, ისე სწრაფად ვიარო-მეთქი. ჩქარა სიარული მიყვარდა მანქანით და პოლიციელებთან უთანხმოებას გადავრჩებოდი.

შინ რომ დავბრუნდი, ცოტა ხანში მომიტანეს მართვის ხელშეუხებლობის მოწმობა. ეს იყო ერთადერთი საჩუქარი შჩოლოკოვებისგან.

სათაყვანებელი დედა და დამოკიდებულება ქალებისადმი

ყოველთვის თავისუფალი ბუნების ადამიანი ვიყავი, არასდროს ყოფილა ვინმე ჩემი უფროსი. ყველა კოლეგა და თანამშრომელი, ვისთანაც ურთიერთობა მქონია, იყვნენ ჩემი მეგობრები, მე ვიყავი მათი პარტნიორი საქმიანობაში და დღემდე ასე გრძელდება. თუმცა მყავდა ერთი „უზენაესი“, რომელსაც ყოველთვის „ვემორჩილებოდი“ და მთელი ცხოვრების განმავლობაში იყო ჩემი იდეალი. ეს იყო ჩემი სათაყვანებელი დედა. რასაც იტყოდა, ის იყო ჩემთვის კანონის ტოლფასი.

ამის დასტურად ერთ ამბავს მოვყვები, რომელიც ვინმეს, შეიძლება, სასაცილოდაც მოეჩვენოს: ჟორდანიას ინსტიტუტში მყავდა მძღოლი, რომელმაც ჩემთან ოცდარვაწელიწად-ნახევარი იმუშავა. იყო პროფესიონალი, თავისი საქმის კარგი მცოდნე და ერთგული, თუმცა ჰქონდა ნაკლიც. მიუხედავად ამისა, სამსახურიდან არ დავითხოვე და მისი სიცოცხლის ბოლომდე კარგი ურთიერთობა გვქონდა, რადგან ის ძალიან მოსწონდა დედაჩემს, დედის სურვილი კი ჩემთვის წმინდა იყო.

დედას თხოვნით მივიღე სამსახურში არსენ გვენეტაძე. დაუნანებლად შევასწავლე მას ყველაფერი, რაც ვიცოდი და რაც შემეძლო, დავნათესავდით კიდეც – მისი ქალიშვილი მარიამი ჩემი ნათლულია. წლების მერე არსენმა თავისი გზა აირჩია.

საერთოდ, ქალებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. ეს დამოკიდებულება იყო კარგი, მეტიც, ეს იყო ძალიან კარგი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ ქალი თავად არის ჩემი პროფესია, დიახ, ქალი და არა მხოლოდ ავადმყოფი ქალი, ჯანმრთელი ქალიც ჩემი პროფესიის მთავარი საზრუნავია.

მე, როდესაც გინეკოლოგის პროფესიას ვირჩევდი, გაცნობიერებული მქონდა, რომ ქალი ფიზიოლოგიურად, ემოციონალურად, თუნდაც ადეკვატურობის კუთხით, ყველაზე სრულყოფილია ღვთის ქმნილებათა შორის. შემიძლია ვთქვა: ბევრი

თვალსაზრისით მამაკაცი უფრო მარტივი არსებაა. ქალის ფიზიოლოგიური პროცესები გაცილებით რთულია. თუნდაც შვილოსნობის ფუნქცია ავიღოთ. ეს პროცესი უაღრესად ართულებს და ტვირთავს ქალის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის, ფუნქციონირებას.

როგორც ვთქვი, მამაკაცის არსება უფრო მარტივია. ავიღოთ თუნდაც სქესობრივი ურთიერთობების ძირითადი არსის, აპოგეის – ორგაზმის განხორციელება. მამაკაცი უფრო პრიმიტიულად განიცდის ამას, ქალი კი მეტად კომპლექსურად, მთელი ორგანიზმით, როგორც ფიზიკურ დონეზე, ასევე ემოციონალური და, წარმოიდგინეთ, მენტალური თვალსაზრისითაც. ამ კომპლექსიით მამაკაცი ორგაზმს ვერ აღიქვამს და ვერც გრძნობს, თუნდაც წმინდა შეგრძნებების კუთხით რომ განვიხილოთ.

ეაკულაცია, სპერმის გამოყოფის პროცესი, თავისთავად არ გახლავთ უბრალო და მარტივი პროცესი, მაგრამ, პირობითად რომ ვთქვათ, ის მაინც ადვილად მისაღწევია ჯანმრთელი მამაკაცისთვის, მაშინ, როცა სრულიად ჯანმრთელი ქალისთვის ორგაზმი, შეიძლება, არ იყოს იოლი. ორგაზმის გამოწვევა ქალში, მისი ინტენსივობა, სიძლიერე და, ასე ვთქვათ, სრულყოფილება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეა დამოკიდებული. ქალის ნერვული სისტემა გაცილებით რთულია, როგორც მექანიზმი, მეტად სრულყოფილი და მეტ ყურადღებას საჭიროებს. მე, ცხადია, ვლაპარაკობ ვსაუბრობ ბუნების ქმნილებაზე, რომელიც ნამდვილად პატივისცემის ღირსია.

სწორად გამიგეთ: ადამიანი თვითონ არის სამყაროს გვირგვინი, მაგრამ, ჩემი აზრით, ქალი უფრო მეტი გვირგვინია, ვიდრე მამაკაცი.

სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი იმასაც, რომ რაც უნდა მომხიბვლელი ქალი მოსულიყო ჩემთან, როგორც ექიმთან, შეიძლება მომწონებოდა, ძალიანაც მოვხიბლულიყავი, მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე ვერ ვიხსენებ და არც ყოფილა შემთხვევა, რომ მქონოდა სხვაგვარი დამოკიდებულება რომელიმე ჩემს პაციენტთან. ეს იყო სამუშაო, ჩემი სამსახური, პროფესია, რო-

მელშიც ჩავდე სული და გული, ენერგია, ცოდნა, გონება და აქ რომანტიკის ადგილი არ მოიძებნებოდა. სიყვარულს, სქესობრივ ურთიერთობებს, გატაცებებს თავისი ადგილი ჰქონდა. მე, პირველ რიგში, ვიყავი ექიმი და მერე მამრობითი სქესის ფიზიკური არსება.

მოსკოვიდან რომ დავბრუნდი და ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში დავიწყე საქმიანობა, ზოგ-ზოგიერთებმა ჩემი სექსუალური ორიენტაციის საკითხიც კი დააყენეს ეჭვქვეშ. ახლა მეღიმება ამაზე და იცით, რატომ? მაშინ ჟორდანიას ინსტიტუტში 350-მდე ქალბატონი მუშაობდა, მოვლილი, კეკლუცი ქალები. არასდროს შემიხედავს მათთვის სხვა თვალით. ეს იყო, როგორც ვთქვი, ჩემი სამუშაო და არც მქონდა სურვილი, სხვანაირად მოვქცეულიყავი. ალბათ, ეს იყო იმის მიზეზი, ჩემს სქესობრივ ორიენტაციაში ზოგიერთებმა ეჭვი რომ შეიტანეს.

გულახდილად ვიტყვი: ქალი, როგორც მამაკაცს, ყოველთვის მიზიდავდა და თუმცა არსებობს პროფესიის გავლენა ზოგიერთ მამაკაც გინეკოლოგზე, ამ თვალსაზრისით პირადად მე არასდროს მქონია მსგავსი არც განწყობები, არც შეგრძნებები. პაციენტი ქალი სამსახურში იყო პაციენტი – კვლევის და ექიმის ზრუნვის ობიექტი, სამსახურს გარეთ კი ჩემთვის ისეთივე საინტერესო და მიმზიდველი, როგორც სხვა პროფესიის ჩვეულებრივი მამაკაცებისთვის.

ჩემს ცხოვრებაში საპირისპირო სქესისადმი დამოკიდებულების კუთხით მნიშვნელოვანი როლი მამაჩემმა შეასრულა. თავისუფლება მქონდა ამ თვალსაზრისით მამის მხარდაჭერით, მასთან მეგობრული დამოკიდებულებით. ეს მხარდაჭერა იყო ფინანსური, მორალური, ძმაკაცური.

მერე, როცა უკვე მოსკოვში გადავედი, იქ უფრო ადვილი და თავისუფალი იყო ქალებთან ურთიერთობა. ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობები, იუმორი, გამჭრიახობა ხიბლავდა ქალბატონებს. მერე პროფესიაშიც დავოსტატდი და თანდათან პოპულარულიც გავხდი. თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა ბევრი ქალი. მართალია, ცოლი არასდროს მყოლია, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში იყვნენ, ასე ვიტყვი, ექსტრაკლასის, მართლაც ყოველმხრივ შემკული ქალბატონები, ერთგვარი „სელექციით შერჩეული“, ჩემი გემოვნების შესაბამისად. მათ შორის იყვნენ მოსკოვის ცნობილი, ელიტური წრეების ქალები. ცხადია, მათ სახელებს და გვარებს აქ არ დავასახელებ. ასე რომ, სექსიზმს ვერავინ დამწამებს, თუმცა ეს, შეიძლება, არც არის ყურადღებამისაქცევი, რადგან არავითარ ექსტრაორდინარულობაზე არ მიანიშნებს. მე ვიყავი და ვარ ჩვეულებრივი, ნორმალური ფიზიკური არსება – ადამიანი; არა ვარ ავადმყოფურად თავმომწონე კაცი. ყოველივე ეს იყო და არის ჩვეულებრივი ამბავი და მეც ჩვეულებრივად ვცხოვრობდი.

თბილისში დაბრუნება

სულ ვამბობდი და დღემდე მიმაჩნია, რომ იოსებ ჟორდანიამ ათეული წლებით გაუსწრო თავის ეპოქას, როცა თბილისში შექმნა უშვილობის პირველი ინსტიტუტი.

მხოლოდ 21 წლის შემდეგ, 1979 წელს, ამერიკაში, ნორფოლკში, ვირჯინიის შტატში, გაიხსნა მსგავსი ტიპის დაწესებულება.

მანამდე მსოფლიოში ერთადერთი ასეთი ინსტიტუტი იყო თბილისში, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა დიდი მეცნიერი იოსებ ჟორდანია.

მოგეხსენებათ, 1962 წელს იოსებ ჟორდანია ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მან სულ ოთხი წელი უხელმძღვანელა მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს, რომელსაც ისეთი მიმართულებები მისცა, რომ უაღრესად აქტუალური გახდა მსოფლიო მედიცინისთვის.

ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს პროფესორი ჯემალ ციციშვილი ჩაუდგა სათავეში. ის გვერდით ედგა იოსებ ჟორდანიას ჯერ კიდევ ინსტიტუტის დაარსებისა და ორგანიზების პერიოდში. ციციშვილის დირექტორობის წლებში ინსტიტუტმა ბევრ წარმატებას მიაღწია, დაინერგა სიახლე-



ჟორდანიას ინსტიტუტი, 1985 წ. სხედან – ედუარდ ვეინბერგი, ევგენია ბოჭორიშვილი, მანანა ერისთავი

იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი 1980-იანი წლები

ედუარდ ვეინბერგი და ზურაბ საბახტარაშვილი

იოსებ ჟორდანია მეუღლესთან და შვილთან ერთად

ქართველ მეან-გინეკოლოგთა ელიტა: იოსებ ჟორდანია (შუაში), კოტე ჩაჩავა(მარცხნივ), ჯემალ ციციშვილი (მარჯვნივ)

ები, ტარდებოდა საკავშირო კონფერენციები, იყო სამეცნიერო მიღწევები.

ჯემალ ციციშვილის შემდეგ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა თენგიზ მესხი. ციციშვილი და მესხი პროფესიონალები და ძალიან კარგი პიროვნებები იყვნენ, თუმცა ისინი რეპროდუქტოლოგები არ ყოფილან.

თენგიზ მესხის მერე ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორად ოლეგ ვიაზოვი დაინიშნა. ამ პერიოდში ინსტიტუტს გაუჭირდა და ქვეყნის ხელმძღვანელობამ მისი ლიკვიდაცია გადაწყვიტა – ჩაჩავას სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან შეერთება განიზრახეს, რაც ქმნიდა საშიშროებას, რომ აღარ იარსებებდა ის უნიკალური მონაპოვარი, რაც იოსებ ჟორდანიამ უბოძა ქართულ მედიცინას და საქართველოს.

დაწესებულების ლიკვიდაციის დოკუმენტაცია შედგა და ის ხელმოსაწერად ედუარდ შევარდნაძეს მიუტანეს, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს ცეკას პირველი მდივანი იყო.

ედუარდ შევარდნაძე უჭკვიანესი კაცი იყო. მიმაჩნია, რომ ის არის საქართველოს ისტორიის გამორჩეული პირი, მნიშვნელოვანი ფიგურა და მსოფლიო დონის პოლიტიკოსი.

გადაუკითხავს შევარდნაძეს დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო იოსებ ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტთან შეერთების საკითხი, დაფიქრებულა და იქ მყოფებისთვის უკითხავს: რომელ ინსტიტუტზეა საუბარი, უშვილობის საავადმყოფო რომ არის, იმაზეო? დიახო, უპასუხიათ. როგორ შეიძლება საქართველოში უშვილობის საავადმყოფოს დახურვაო, უთქვამს შევარდნაძეს და ხმა ვერავის ამოუღია. თავი კი უმართლებიათ: არეულია იქაურობა, არც სამეცნიერო, არც კვლევითი, არანაირი ტიპის სამუშაო ნორმალურად არ მიმდინარეობს და აზრი არა აქვს მის ფუნქციონირებასო.

გელა ლეჟავა იყო მაშინ ჯანდაცვის მინისტრი. დაუვალებია მისთვის შევარდნაძეს: მოძებნეთ და მოიყვანეთ კარგი სპეციალისტი, რომელიც უხელმძღვანელებს ინსტიტუტსო.

20 წელიწადი იყო გასული, რაც მოსკოვში ვმუშაობდი. უკვე ვიყავი მთელ სსრკ-ში გამოცდილი და ცნობილი რეპროდუქტოლოგი და გინეკოლოგი. 26 წლისაც არ ვიყავი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რომ გავხდი, 34 წლისა უკვე დოქტორი, კომკავშირის პრემიის მფლობელი. ერთი სიტყვით, ავტორიტეტი მოპოვებული მქონდა მოსკოვში, თანამდებობა, გავლენები, ფინანსური უზრუნველყოფა, პოპულარობა, პერსპექტივები და აზრადაც არ მომდიოდა საქართველოში დაბრუნება. ამ ვითარებაში დამიკავშირდნენ თბილისიდან – ასე და ასეა საქმე, უნდა ჩამოხვიდე და სათავეში ჩაუდგე ინსტიტუტსო. არც დავფიქრებულვარ, მაშინვე ცივი უარი ვტკიცე.

იმ ზარიდან გავიდა, ალბათ, 10 დღე და დამირეკა დედაჩემმა ტირილით:

– სულ დაგავიწყდითო, არ გენატრება მოხუცი მშობლებიო. არ მინდა უშენოდ მოვკვდე, შენ საქართველოსკენ აღარ იხედები; აგერ, ინსტიტუტის დირექტორობა შემოუთავაზებიათ და უარი გითქვამსო.

გამიკვირდა, საიდან გაიგო-მეთქი დედაჩემმა ეს ამბავი.

მერე, როგორც შევიტყვე, დედაჩემისთვის დაურეკავს ჩემს ბიჭვინთელ მეგობარს იგორ ჭოჭუას. იგორი აფხაზობდა. ჯანდაცვის მინისტრის, გელა ლეჟავას მოადგილე იყო. მისი იდეა ყოფილა თურმე ჩემი ჩამოყვანა თბილისში. დედაჩემთანაც მას „დავუსმენივარ“.

დედაჩემის ცრემლებმა იმოქმედა, რადგან, როგორც გითხარით, მას უაღრესად დიდ პატივს ვცემდი. დედის თხოვნას ვერ გადავუხვიე და 1984 წლის დეკემბერში თბილისში დავბრუნდი.

მამა და დედა უკვე ასაკოვნები იყვნენ და ჩემზე გაწეული მათი ამაგი ისედაც მავალდებულებდა მათთან ყოფნას. მოსკოვიდან წამოსვლა მაინცადამაინც დიდად სახარბიელო არ იყო პროფესიულ კიბეზე მაღლა მიმავალი ადამიანისთვის, მაგრამ შემოთავაზებულ წინადადებას დაემატა მშობლებისადმი პასუხისმგებლობა და დავტოვე ყველაფერი. ვერ შევძელი მათი საბოლოოდ მიტოვება თუნდაც კარიერის ან პირადი წარმატებების

სანაცვლოდ. მიმაჩნდა და მიმაჩნია დღესაც, რომ ჩემი მხრიდან კარგი საქციელი ეს არ იქნებოდა. ამიტომაც სრულიადაც არ ვნანობ, მოსკოვიდან რომ უკან, საქართველოში დავბრუნდი. ეს ჩემი მოვალეობა იყო მშობლებისა და ქვეყნის წინაშე.

ჩემს მშობლებს ისედაც მუდმივად უჭირდათ უჩემოდ – შვილიშვილი უნდოდათ უკვე ასაკში შესულებს. მე ვიყავი მათი იმედი და სიხარული. კაცმა რომ თქვას, თვითონაც არ მსურდა საბოლოოდ უცხო ქვეყანაში დარჩენა და ამ ვითარებაში 1984 წელს მივატოვე აღმავალი სამედიცინო კარიერა, ჩამოვედი მშობლიურ თბილისში.

არაფერს ვნანობ. უბრალოდ ვამბობ: რომ არ დავბრუნებულიყავი, დღეს გაცილებით შეძლებული და უფრო მეტად წარმატებული ადამიანი ვიქნებოდი, სადმე ამსტერდამში ან კალიფორნიაში ვიცხოვრებდი, რადგან ბევრი შემოთავაზება, მიწვევა, თხოვნა მქონდა ამერიკის, ევროპის და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდანაც.

ასე დავინიშნე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში დირექტორად, რომელიც, ფაქტობრივად, დაქცეული და განადგურებული იყო.

ამ დღიდან თითქმის 35 წელი გავიდა და დღემდე ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვარ. დანგრევის პირას მისული ინსტიტუტი მსოფლიოში ცნობილ სამედიცინო დაწესებულებად ვაქციე, რომელსაც საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოება პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა.

მას მერე ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება გახდა უშვილობის დიაგნოსტიკა, მკურნალობა და აბორტთან ბრძოლა. ეს უკანასკნელი ძალიან მტკივნეული საკითხი იყო მაშინ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პირი გამაცნეს: ქალაქკომის მდივანი, განყოფილებების ხელმძღვანელები და ბოლოს ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც მითხრა: ძალიან მძიმე საქმე უნდა შემოგთავაზოთ, გაგიჭირდებათ, მაგრამ თქვენი პროფესიონალიზმის იმედი გვაქვს. იქნებ, როგორმე აღვადგინოთ ეს ინსტიტუტიო. თან გამაფრთხი-

ლა: სანამ მე აქ, ამ თანამდებობაზე ვარ, მინიმუმ, ალბათ, კიდევ ორი წელიწადი, იმუნიტეტით ისარგებლებ, სრული თავისუფლება გექნება. თუ საქმეს მოითხოვს, ვინც საჭიროა, ყველა გაათავისუფლე სამსახურიდან და ახალგაზრდები მოიყვანეო. ეს რომ თქვა, ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე გაიღიმა და მითხრა: მაგრამ არ გირჩევთო.

მე არც ვაპირებდი ვინმეს სამსახურიდან გაშვებას. მიზნად დავისახე, ჩემი ცოდნით და გამოცდილებით მომეპოვებინა ავტორიტეტი და გავლენები თანამშრომლებზე და არა ძალაუფლების დემონსტრირებით.

ასე შევუდექი მუშაობას და 7 წლის შემდეგ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი ოფიციალურად გახდა საბჭოთა კავშირში წამყვანი დაწესებულება რეპროდუქტოლოგიაში.

დრო გადიოდა და, როცა ედუარდ შევარდნაძე საქართველოში უკვე პრეზიდენტის რანგში დაბრუნდა, იმ ხანებში ერთი არასასიამოვნო კაცი მებრძოდა გამეტებით. სასამართლოებში მქონდა საქმე, იყო დიდი ამბავი. ისედაც პოლიტიკური არეულობა იყო ქვეყანაში და კიდევ ჩემი პირადი ბრძოლები საქმეს ძალიან აზიანებდა. მე დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში, მაგრამ კორუფცია ჰყვაოდა მაშინ და არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. ედუარდ შევარდნაძემ ეს ამბავი რომ გაიგო, როგორც ჩანს, მიიღო გარკვეული ზომები და ყველაფერი დალაგდა.

ამ გარემოებათა გამო ახლო მეგობრობა ჩამომიყალიბდა ედუარდ შევარდნაძის ოჯახთანაც. ფაქტობრივად, მათი ოჯახის ექიმი და კონსულტანტი ვიყავი სამედიცინო საკითხებში. მის ქალიშვილ, მანანა შევარდნაძესთან დღემდე მაქვს მეგობრული ურთიერთობა. მიმაჩნია, რომ ედუარდ შევარდნაძე არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო პოლიტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო.

ედუარდ შევარდნაძეს დღემდე ძალიან დიდ პატივს ვცემ. მისი სურათი ახლაც ჰკიდია ჩემს სამუშაო კაბინეტში. მან რეპროდუქტოლოგია, რომელიც ჩემს შვილობილად მიმაჩნია, ორჯერ გადაარჩინა დაღუპვას.

ედუარდ შევარდნაძე

ბრძოლა აბორტების წინააღმდეგ
კონტრაცეპცია

საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავიწყე აქტიური ბრძოლა ხელოვნური აბორტების წინააღმდეგ. ვიდექი მარტოდმარტო „აბორტმახერების“ მაფიის პირისპირ, რადგან აბორტები დიდი შემოსავალი იყო მათთვის.

წლების განმავლობაში ქართველი ქალები თავიანთ რეპროდუქციულ ფუნქციას მხოლოდ აბორტებით არეგულირებდნენ. საერთოდ არ არსებობდა ქვეყანაში კონტრაცეპცია, არადა, ცნობილია, აბორტი ანგრევს ქალის ორგანიზმს და ხშირად სრულიად უსპობს მას გამრავლების ფუნქციას. კონტრაცეპცია კი დროებით აჩერებს რეპროდუქციის, ანუ გამრავლების პროცესს და სასურველ დროს ქალს შეუძლია, კვლავ გააჩინოს ბავშვი.

ამ მიმართულებით მოძრაობები რომ წამოვიწყე დამიბარეს კომუნისტური პარტიის ცეკაში ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშის წარსადგენად. შევარდნაძე უკვე წასული იყო საგარეო საქმეთა მინისტრად მოსკოვში. საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი იყო ჯუმბერ პატიაშვილი. წესის მიხედვით, ჩავაბარე ჩემი ანგარიში ტექსტობრივად და შემდეგ მივედი ბიუროზე წასაკითხად. ვხედავ, პოლიტბიუროს წევრები სერიოზული სახით სხედან და ელოდებიან ჩემს გამოსვლას. მე ავდექი და ის ტექსტი კი არ წავიკითხე, არამედ პირდაპირ უშვილობაზე წამოვიწყე მსჯელობა. შევატყვე: ჯუმბერ პატიაშვილი ძალიან დაინტერესდა, მოეწონა ჩემი გამოსვლა. დავამთავრე საუბარი და, როცა დავჯექი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ფეხზე დამკრა ხელი და წამჩურჩულა: კარგად ჩაიარაო. ვერ მივხვდი, რაზე მიმანიშნებდა, მაგრამ არაფერი მიკითხავს.

ამ ამბიდან დაახლოებით 12 წელიწადი გავიდა და შემთხვევით შევხვდი ჯანდაცვის მინისტრის მაშინდელ მოადგილეს ნინო უზნაძეს. მაშინ ცკ-ს განყოფილების გამგე იყო მურმან გიორგაძე. ორივე მათგანისგან შევიტყვე, თურმე ცეკას ბიუროზე იმიტომ გამიყვანეს, რომ „ნიჩაბზე ვყოფილვარ დადებული“, ჩემი მოხსნა ყოფილა გადაწყვეტილი. ბიუროს ერთ წევრს, რომელიც „აბორტმახერების“ ინტერესებს იცავდა, შეუტანია წინადადება, ჩამოვეშორებინე გზიდან. ჩემდამი კეთილადგანწყობილი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში აღარ იყო და ისარგებლეს, ვითომ, თავიანთი ჭკუით. მინისტრის მეორე მოადგილემ იგორ ჭოჭუამაც დამიდასტურა მერე ეს ამბავი. მოკლედ, გადავრჩი მოხსნას და გადამარჩინა იმან, რომ ის არ გავიმეორე, რაც დაწერილი მქონდა, არამედ პრობლემებზე, საქმეზე ვილაპარაკე და ეს ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობას მოეწონა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და, დღევანდელი მონაცემებით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აბორტი საქართველოში დამარცხებულია. თუ 1987 წელს აბორტების საერთო რიცხვი ქვეყანაში 300 000 იყო, ახლა 10 000-ს არ აღემატება. აბორტების დამარცხება არ არის პატარა საქმე, მაგრამ, მე რომ ვარ ამ ფაქტის ინიციატორი და შემსრულებელი, ამის შესახებ, შეიძლება, ვინმემ ახლა, ამ სტრიქონების წაკითხვისას გაიგოს, რადგან, როცა საქმეს ვაკეთებდი, არც მეცალა და არც მიმაჩნდა საჭიროდ, ტაშ-ფანდური მომეწყო და მეკეკლუცა. ყოველთვის ვიცოდი: ადამიანის, მით უფრო, ექიმის მოვალეობა და პროფესიული ვალდებულებაა, ყველაფერი გააკეთოს სხვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

თანდათანობით რადიკალურად შეიცვალა სურათი კონტრაცეპციის მოხმარების კუთხითაც. როდესაც მოსკოვიდან დავბრუნდი, საქართველოში არაფერი იცოდნენ თანამედროვე კონტრაცეპციის შესახებ და, ცხადია, არც არავინ იყენებდა კონტრაცეპტივებს. წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციები გვჩუქნიდნენ და ჩვენც, საქართველოს მასშტაბით, უფასოდ გავცემდით კონდომებს, კონტრაცეპციულ აბებს. კონტრაცეპცია, იმის გარდა, რომ ხელოვნურ აბორტებს სპობდა, ქალის ჯანმრთელობისთვის სამკურნალო საშუალებაც იყო.

დღეს თანამედროვე კონტრაცეპციას საქართველოში ქალების 75%-ზე მეტი იყენებს.

პირველი ლაპაროსკოპია

ყველა ჩემი წარმატება და გამარჯვება, რა თქმა უნდა, საქართველოს, კერძოდ, ქართულ მედიცინას მიეწერება და, როცა ამ წარმატებებზე ვსაუბრობ, მიხარია, რომ ეს შევძელი, გავაკეთე, გავამართლე ჩემი ოჯახის, ჩემი მასწავლებლების იმედები. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავის წინაშე ვარ მართალი, რომ ჩემს ქვეყანაში დავნერგე ქირურგიული ოპერაციების ჩატარების ლაპაროსკოპული მეთოდი.

ლაპაროსკოპია, ანუ კვეთის გარეშე ოპერაცია, ჩემი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით, საქართველოში პირველად ჟორდანიას ინსტიტუტში გაკეთდა 1986 წელს. ამ საქმეში მხარს მიჭერდა პროფესორი ედუარდ ვეინბერგი, ბრწყინვალე ქირურგი, ენდოკრინოლოგი და გინეკოლოგი. მან გასტროსკოპით გააკეთა პირველი ლაპაროსკოპული ოპერაცია. ეს იყო რევოლუცია ქართულ მედიცინაში.

პირველი ლაპაროსკოპის აპარატები მე ჩამოვიტანე საქართველოში, ამის შემდეგ დაინერგა ქირურგიული მკურნალობის ეს მეთოდი ქვეყნის სხვადასხვა საავადმყოფოში. ე.წ. უსისხლო ოპერაციების გაკეთება დაიწყეს ზოგადმა ქირურგებმაც.

მსოფლიოში ლაპაროსკოპიული ქირურგიის ფუძემდებელი, გერმანელი პროფესორი კურტს ზემი ორჯერ იყო ჟორდანიას ინსტიტუტში ჩვენი სტუმარი.

დღეს საქართველოში გვყავს საუკეთესო ქირურგ-ლაპაროსკოპისტები. გამოვყოფდი რამაზ ჩარექიშვილს და ვადიმ ხატიაშვილს, რომლებიც ედუარდ ვეინბერგის და ჩემი მოწაფეები არიან.

ქალის ჰიგიენა

ყოველთვის საყურადღებოა ქალის ჰიგიენა, არადა, 80-იან წლებში ეს საკითხი ჩვენთან არც განიხილებოდა. საქართველოში არ არსებობდა ქალის ჰიგიენის კულტურა; არ არსებობდა ქალის ჰიგიენის არავითარი საშუალება, თუნდაც მენსტრუაციული ტამპონები, საფენები და ა. შ.

მახსოვს, ჩემი ჩამოსვლის პერიოდში ჟორდანიას ინსტიტუტში საკანალიზაციო მილები ხშირად ფუჭდებოდა. აღმოჩნდა, რომ მილები იჭედებოდა უსუფთაო ბამბებით და რეკორდულად მცირე დროში, ერთხელ და ორჯერ გაწმენდილი მილები კვლავ გასაწმენდი ხდებოდა...

საქართველოში ჰიგიენის საშუალებების ჩამოსატანად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომიწია წასვლა. საზღვარგარეთ ძალიან აინტერესებდათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული მდგომარეობა და ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად დაგვხმარებოდნენ.

მსოფლიოში ახლადშემოსული იყო მაშინ OB-ის მენსტრუაციული ტამპონები. ჩემი კონტაქტებით მოვახერხე, რომ ეს ჰიგიენური საშუალებები 2-ტონიანი კონტეინერით უსასყიდლოდ გამომიგზავნეს. კონტეინერები ინსტიტუტის ეზოში იდგა და ტამპონებს უფასოდ იღებდნენ თანამშრომლები და პაციენტები.

აქვე ვიტყვი, რომ ყველა ჩემს ნოვატორულ ინიციატივაში მხარს მიჭერდა ხელისუფლება – ჯანდაცვის მინისტრები, მაღალი თანამდებობის პირები. 30 წლის განმავლობაში, ალბათ, 20 მინისტრი მაინც შეიცვალა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში და, როგორც უკვე ვთქვი, ყველა, შეძლებისდაგვარად, თავიანთი კომპეტენციის და რესურსების ფარგლებში, ხელს მიწყობდა და მეხმარებოდა.

მადლობის მეტი რა მეთქმის; ყველაფერი ხომ ქვეყნისთვის კეთდებოდა?!

ჟორდანიას ინსტიტუტი – წამყვანი დაწესებულება მსოფლიოში

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში, მოსკოვის გარდა, არსად არ იყო მოთავე (головной) გინეკოლოგიური სამედიცინო დაწესებულება. მაგრამ ამ მხრივ გამორჩეული იყო თბილისი. საქართველო აღმოჩნდა რეპროდუქტოლოგიის წინამძღოლი, ანუ მთელ რეპროდუქტოლოგიურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის განსაზღვრავდა იოსებ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი. ეს ძალიან რთული მისია იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის ბოლო მინისტრმა, შემდგომში ჩემმა მეგობარმა ალექსანდრ ბარანოვმა, მიიღო ექსტრავაგანტური გადაწყვეტილება და ჩვენს ინსტიტუტს „სათავო ინსტიტუტის“ სტატუსი მიანიჭა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ განვსაზღვრავდით რეპროდუქტოლოგიის პრიორიტეტებს ვეებერთელა ქვეყნის სამედიცინო სტრატეგიაში, მერე კი უკვე სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს ვაძლევდით ამ მიმართულებით რა უნდა გაეკეთებინა. თანდათან გაიზარდა ჩვენი ფუნქცია და პოპულარული გავხდით არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. 7 წლის განმავლობაში ეს სტატუსი მართლაც ღირსეულად ვატარეთ. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს აწყობილი მექანიზმიც დაინგრა.

1988 წლიდან 2010 წლამდე ჟორდანიას ინსტიტუტი იყო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრი – ჩვენ გახლდით 14 ბაზიდან ერთ-ერთი, რომელიც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეპროდუქტოლოგიურ პროგრამებს ხელმძღვანელობდა. ყველა ქვეყანა ნატრობდა, ჰქონოდა ასეთი სტატუსი და ავტორიტეტი არა მხოლოდ სსრკ-ში, არამედ მსოფლიოში.

ცხადია, ყველაფერი ჩვენი დიდი შრომის შედეგი იყო, ამავე დროს, ჩემი ავტორიტეტის დამსახურებაც, მაგრამ რომ არ ყოფილიყო ჟორდანიას ინსტიტუტის შესანიშნავი გუნდი და საუკეთესო სპეციალისტები, წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით მინდა გავიხსენო პროფესორი ზურაბ საბახტარაშვილი, ჩემი უახლოესი თანამებრძოლი, რომელსაც ყველაზე მეტად ვენდობოდი, ვეკითხებოდი რჩევებს და ვითვალისწინებდი მის აზრს.

ასე ნელ-ნელა, მართლაც რუდუნებით და დიდი შრომის შედეგად საქართველოში ძლიერდებოდა უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მსოფლიო დონის სამედიცინო დაწესებულება, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ანუ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდიდან, მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ინსტიტუტში ჩამოდიოდნენ უცხოელი სპეციალისტები, გამოჩენილი მეცნიერები და დარგის მკვლევრები, ერთმანეთს ვუზიარებდით გამოცდილებას და ვმუშაობდით ერთობლივად.

ინ ვიტრო განაყოფიერება, პირველი სინჯარის ბავშვი

როგორც ცნობილია, ე. წ. სინჯარის ბავშვი პირველად, ლონდონთან ახლოს დაიბადა. პირველი სინჯარის ბავშვი ლიზა ბრაუნია, რომელიც დღეს უკვე თვითონ არის დედა. რობერტ ედვარდსმა და პატრიკ სტეპტოუმ 1979 წელს განახორციელეს ეს თამამი ექსპერიმენტი.

საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამის შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით ჰქონდათ გაგონილი და ცხადია, ამაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო.

მე ავდექი და დავიწყე აქტიური მოქმედებები. მოსკოვიდან მოვიზიდე თანხები, გამოვიწერეთ სპეციალური აპარატურა, საქმეში ჩავრთე კლინიკის ახალგაზრდა თანამშრომლები.

1990 წელს ინ ვიტრო განაყოფიერებისთვის ყველაფერი მზად გვქონდა, მაგრამ დაიწყო ცნობილი პოლიტიკური პროცესები, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, სამოქალაქო დაპი-

რისპირება – არ იყო წყალი, ელექტროენერგია, არ გვქონდა გათბობა და მთელი ნაშრომი წყალში ჩაგვეყარა, რის გამოც მერე 10 წელიწადი ფეხზე ვეღარ წამოვდექით.

ინ ვიტრო განაყოფიერებას ჩემი გადაწყვეტილებით მაშინ სათავეში ჩაუდგნენ გია ცაგარეიშვილი და ნატო ხონელიძე.

პირველი სინჯარის ბავშვი საქართველოში 2000 წელს გაჩნდა. ახლა ის 21 წლის ყმაწვილია. ეს – ოფიციალურად, თუმცა მანამდეც, 1997-98 წლებში ორ ქალს ჩავუტარეთ ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა. მათ შეეძინათ შვილები, თუმცა გაუგებარი მიზეზების გამო, არ ისურვეს ამის გამჟღავნება. არადა, ინ ვიტრო განაყოფიერება არის ბიოლოგიური დედისა და მამის გენეტიკური საწყისის ერთმანეთთან შეხვედრის რეალიზება და სხვა არაფერი.

ჩვენი გუნდის თავდაუზოგავი შრომის შედეგად ისეთი წყვილებიც გაბედნიერდნენ, რომლებიც, ალბათ, სიზმრადაც ვერ იოცნებებდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ ოჯახს ახალი სიცოცხლე მოევლინებოდა. ინვიტრო განაყოფიერებით 10-15-20 წლის უშვილო წყვილებს გაუჩნდათ შვილები და ამ მეთოდით დღემდე 10 000-ზე მეტი ბავშვია დაბადებული.

ჩვენ ვიყავით პირველები მსგავსი ნოვაციების განხორციელებაში. მე ამას ვაკეთებდი უძილო ღამეების, მართლაც დაუღალავი შრომის, კონტაქტების ძიების, თანხების მოპოვების, უამრავი სხვა ბარიერის გადალახვის ხარჯზე და ყოველივე ამას ვაკეთებდი არა ჩემი თავისთვის, არა ჩემი ოჯახის ან ოჯახის წევრებისთვის, არამედ ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ქართული ოჯახებისთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს იყოს მაგალითი სხვებისთვის, ახალგაზრდებისთვის, სხვა ექიმებისთვის, ნებისმიერი დარგის სპეციალისტისთვის.

ჩვენი წყალობით ათასობით ბავშვი მოევლინა სამყაროს. როგორც მახსოვს, ჩემს პირად ანგარიშზეა, დაახლოებით 4000 ახალი სიცოცხლე. ეს იმ პაციენტების ახალშობილებია, რომლებსაც უშუალოდ მე ვმკურნალობდი.

2010 წელს ჟორდანიას ინსტიტუტიდან „გამოგდებამდე“

ერთი წლით ადრე დავითვალე, რამდენი ახალი სიცოცხლე შეიქმნა ჩვენი ექიმების ხელით და გამოვიდა, რომ მხოლოდ 2009 წელს ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დახმარებით საქართველოს მოვლენია 1000-ზე მეტი ახალშობილი. ეს არ არის პატარა ციფრი, რაც ნიშნავს, რომ ქართულ მედიცინაში უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი იოსებ ჟორდანიას, მის თანამებრძოლებს და მისი გზის გამგრძელებლებს.

კათედრები, ჟურნალი, ასოციაცია

მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდებოდი. ჩემი მონაწილეობით აღდგა და დაარსდა ორი კათედრა. პირველი – მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაშინდელი რექტორის, როინ მეტრეველის ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით აღდგა. ამ სახელოვანი საქმის ინიციატორი გახლდათ პროფესორი რომან შაქარიშვილი.

საერთოდ, მსოფლიოში არ არსებობს ცალკე სამედიცინო ინსტიტუტები. მსურველები სამედიცინო განათლებას იღებენ წამყვან უნივერსიტეტებში.

საქართველოს უნივერსიტეტშიც თავად დიდი ივანე ჯავახიშვილის პერიოდში, 1918 წლიდან, არსებობდა მედიცინის ფაკულტეტი, მაგრამ მერე, როცა სამედიცინო ინსტიტუტი შექმნეს, უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტი გააუქმეს.

მოხარული დავრჩი, ბატონმა როინ მეტრეველმა რომ გამოიჩინა დაინტერესება ამ კუთხით. 1997 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის აღდგენის შემდეგ, მე გავხდი მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე.

1998 წელს კი ყოფილ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში დავაარსე რეპროდუქტოლოგიის კათედრა. გაგიკვირდებათ და, სანთლით ვეძებდი მაშინ თანამშრომლებს, კათედრაზე რომ

დამესაქმებინა. ბევრი წვალება და შრომა დამჭირდა კათედრის ფეხზე დასაყენებლად. ამ საქმეში გვერდით მედგა თავად ინსტიტუტის რექტორი, შესანიშნავი ადამიანი და კარგი კაცი ცუგო (პეტრე) შოთაძე. მას ძალიან უნდოდა, რაიმე პროგრესული გაეკეთებინა საქართველოში იმ მძიმე დროს. მისი უშუალო ინიციატივა იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში რეპროდუქტოლოგიის კათედრის შექმნა. ცოტა ხანს ვიმუშავეთ, მაგრამ შემდეგ რაღაც რეორგანიზაციის მსგავსი მოხდა: ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი შეუერთდა სამედიცინო ინსტიტუტს და ჩემ მიერ დაარსებული რეპროდუქტოლოგიის კათედრა სხვებს დარჩათ. მითხრეს: არ შეიძლება, ორ კათედრას ერთი კაცი ხელმძღვანელობდესო...

ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე ვარ. საინტერესოა, რომ არსად მსოფლიოში სამედიცინო ფაკულტეტის კათედრას ასეთი მიმართულება არა აქვს. აქაც გამორჩეულები ვართ და ამ ინიციატივაში ჩემს კოლეგებსა და თანამშრომლებთან ერთად დიდი მადლობა ეკუთვნის რომან შაქარიშვილს.

კათედრაზე ხუთი ასოცირებული პროფესორი მუშაობს, არიან ასისტენტ-პროფესორებიც, დოქტორანტებიც. მათ შორის, ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლები, ასოცირებული პროფესორები: ჯენარო ქრისტესაშვილი, არსენ გვენეტაძე, ცნობილი მეან-გინეკოლოგები: რეზო სულუხია, ალეკო ლაბარტყავა, ასისტენტ-პროფესორი ლუდა ბარბაქაძე და სხვები.

1998 წელს დავაარსეთ ჟურნალი „რეპროდუქტოლოგია“. მინდა აღვნიშნო პროფესორ ნუნუ მაისურაძის ღვაწლი, რომელიც ჩემთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ამ საქმეში.

1997 წელს რეპროდუქტოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობა, გამოეყო მეანობა-გინეკოლოგიას და შეიქმნა სპეციალიზებული ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭო რეპროდუქტოლოგიაში. დაცული იქნა 5 სადოქტორო და 50-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

ჩემი დაფუძნებულია ქვეყანაში რეპროდუქტოლოგიური ჯანმრთელობის ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც მე გახლავართ.

როგორც წესი, ამ საქმეშიც დიდ წინააღმდეგობებს წავაწყდი. შექმნეს ალტერნატიული ასოციაციები, გაჩნდა კონკურენცია, თუმცა ხელჩასაჭიდი ჯერჯერობით ვერაფერი გააკეთეს. ჩვენ კი ვმუშაობთ და მიმაჩნია, რომ წარმატებები გვაქვს – მოვამზადეთ გინეკოლოგიური და რეპროდუქციული პათოლოგიების მართვის გაიდლაინები, რეპროდუქტოლოგიის სარეზიდენტო პროგრამა, შეიქმნა ორიგინალური ტესტები რეპროდუქტოლოგიის სალიცენზიო გამოცდისთვის. ჩვენი ასოციაცია ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს და სხვა ღონისძიებებს. ყველაფერი ეს თავის დროზე გავაკეთე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად. გვერდში მედგნენ პროფესორები: ზურაბ საბახტარაშვილი, ედუარდ ვეინბერგი, ჯენარო ქრისტესაშვილი, ნუნუ მაისურაძე და იმდროინდელი ჟორდანიას ინსტიტუტის მთელი გუნდი.

ჩემი ყველა სასიცოცხლო ენერგია და ძალა ჩავდე რეპროდუქტოლოგიის აღორძინებაში, მეცნიერულ დონეზე ავიყვანე რეპროდუქციული ფუნქციის კვლევის და მკურნალობის საკითხი და მიმაჩნია, რომ ჩვენს სასიქადულო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩემი მოკრძალებული ადგილი უნდა მოძებნილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გავხდი ამის ღირსი.

ანდროლოგია, სექსოლოგია

აღარ მახსოვს, ვინ თქვა: წარმატებას ბევრი პატრონი ჰყავს, წარუმატებლობა კი ობოლიაო. მეც ასე: ვიწვალებდი, გავაკეთებდი საქმეს და მერე უამრავი „პატრონი“ გამოჩნდებოდა ხოლმე. ასე მოხდა რეპროდუქტოლოგიის შემთხვევაში და ასე ხდება დღეს ანდროლოგიასთან დაკავშირებითაც.

რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი რომ დავაარსეთ, ვფიქ-

რობდით: დიახ, ქალებს ასე თუ ისე მივხედეთ, მაგრამ მამაკაცები უყურადღებოდ რჩებიან. მათაც სჭირდებათ სამედიცინო მხარდაჭერა. მამაკაცების დაავადებებს ვერ განიხილავს გინეკოლოგია. ანდროლოგია კი, რომელიც გახლავთ რეპროდუქტოლოგიის ნაწილი, სწავლობს მამაკაცების რეპროდუქციულ ფიზიოლოგიასა და პათოლოგიებს. ამიტომ მიმაჩნდა, რომ აუცილებელი იყო მისი განცალკევება გინეკოლოგიისაგან.

ანდროლოგიის განვითარების იდეა ბატონ თამაზ ბეგიაშვილს ეკუთვნის. ჟორდანიას ინსტიტუტში ჯერ კიდევ 1979 წელს გაიხსნა მამაკაცთა პირველი სტაციონარი. ბატონი თამაზის ჩანაფიქრი, მერე მე მივიყვანე ბოლომდე. პრაქტიკული ანდროლოგია ცალკე მიმართულებად გამოიყო. მამაკაცების რეპროდუქციული ფუნქციის კვლევა და შესაბამისი მკურნალობა აუცილებელი კომპონენტი გახდა ჟორდანიას ინსტიტუტის შემდგომ წარმატებულ საქმიანობაში.

დღეს ჩვენი კლინიკა უშვილობის საკითხებში ისევე ემსახურება მამაკაცებს, როგორც ქალებს.

ჟორდანიას ინსტიტუტის დანერგილია საქართველოში სექსოლოგია. პირველებმა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიაში გავხსენით სექსოლოგიის განყოფილება, სადაც მუშაობდნენ ბრწყინვალე სპეციალისტები, ჩემი მეგობრები: შალვა მორდეხიაშვილი, რომელიც ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს, ნოდარ კოჟიაშვილი, რომელიც ასევე ემიგრაციაში იმყოფება. ერთი სიტყვით, პირველი სექსოლოგიის კაბინეტი ჩემი და ჩემი მეგობრების ინიციატივით დაარსდა ჟორდანიას ინსტიტუტში. დღეს საქართველოში არიან მეტ-ნაკლებად კვალიფიცირებული სექსოლოგები, მაგრამ ისინი არცთუ ბევრი არიან. არადა, მოთხოვნილება არის – სერიოზული პრობლემები დაგროვდა ამ კუთხით.

დღესდღეობით საქართველოში საუკეთესო სექსოლოგია პროფესორი ზურაბ მარშანია, რომელიც დიდი ხანია ამ მიმართულებით მუშაობს და საკმაოდ წარმატებულადაც.

მიზნად მაქვს და უნდა განვახორციელო: სექსოლოგია იქცეს რეპროდუქტოლოგიის სუბსპეციალობად. ეს – ჯერჯერობით, ხოლო მერე, თუ შესაძლებელი გახდება, ცალკე სპეციალობად უნდა გამოიყოს სექსოლოგიაც და ანდროლოგიაც...

რაც ჩამოვთვალე, ჩემი ძალისხმევით და ინიციატივით გაკეთებული საქმეების დიდი ნაწილი, საქართველოში, ალბათ, უჩემოდაც განხორციელდებოდა, მაგრამ დაიგვიანებდა 30-40-50 წლით. ამიტომაც ვამაყობ, რომ შევძელი ანდროლოგიის დანერგვა, სექსოლოგიის განვითარება, შევძელი, გადამერჩინა უამრავი ქალის ჯანმრთელობა, მათი სიცოცხლე და, ბოლოს, შევძელი, გაჩენილიყვნენ ბავშვები უიმედო ოჯახებშიც კი.

რეპროდუქტოლოგია უპირველეს ყოვლისა!

1996 წელს გადავწყვიტე, დამეწყო ბრძოლა საქართველოში მეანობა-გინეკოლოგიისაგან რეპროდუქტოლოგიის გამოსაყოფად. მაშინვე შევიტანე განაცხადი მინისტრთა საბჭოში. დამეთანხმნენ. ახლაც არ ვიცი, როგორ მივიღე ეს თანხმობა ასე ადვილად და მოხდა ისე, რომ საქართველოში პირველად მსოფლიო მედიცინის ისტორიაში რეპროდუქტოლოგია ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამედიცინო დისციპლინად. დღეს რეპროდუქტოლოგია უკვე გახდა ტურბულენტურად განვითარებადი დისციპლინა თანამედროვე მედიცინაში და მიხარია, რომ მე ვარ ამ საქმის მოთავე და ინიციატორი.

რა ომი მქონდა რეტროგრადებთან ამის გამო, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ მოხერხდა და რეპროდუქტოლოგია დღეს გინეკოლოგიისგან დამოუკიდებელი მიმართულებაა.

მჯერა, რომ რეპროდუქტოლოგიის გამოცალკევებაში მალე სხვა ქვეყნებიც მოგვბაძავენ. მაგრამ ჩვენ ვართ პირველები, ვინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გინეკოლოგიას უნდა გამოეყოს რეპროდუქტოლოგია, რადგან ეს არის სხვა, მრავალფუნქციური და უმნიშვნელოვანესი განხრა, რომლის ცალკე კვლევის და დაკვირვების საგანია არა მხოლოდ ქალი, არამედ მამაკაციც.

ნოვატორული ბუნება მაქვს, სიახლეებს ყოველთვის მივესალმებოდი და დღესაც, ამ ასაკშიც, არ მეშინია ყველაზე თამამი სიახლისაც კი ჩემს პროფესიაში.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მივაღწიე რეპროდუქტოლოგიის გინეკოლოგიისგან ცალკე დისციპლინად გამოყოფას, მისი საბოლოო ლეგალიზაცია 2020 წელს მოხდა და გამოიკვეთა ამ დისციპლინის ძირითადი კომპეტენციები.

თავიდან ობივატელები მეუბნებოდნენ: რატომ უნდა გამოიყოს რეპროდუქტოლოგია ცალკე განხრად, მით უფრო, რომ მსოფლიოში ასეთი რამ არ არის აპრობირებული?! კი, მაგრამ რატომ ვბაძავთ ყველაფერში დანარჩენ მსოფლიოს. ხომ შეიძლება საქართველო იყოს რაღაც კარგში პირველი?! ჩვენ ვაჩვენოთ მსოფლიოს საუკეთესო ნოვატორული მაგალითები. ასე რომ არ ყოფილიყო, არც იოსებ ჟორდანია დააარსებდა რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტს საქართველოში, რომელსაც მაშინ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწოდებოდა. ამ მხრივ, 21 წლის განმავლობაში საქართველო იყო პირველი და ეს იმ ხანებში ძალიან პროგრესული ნაბიჯი გახლდათ.

რეპროდუქტოლოგიის გამოცალკევებისთვის ბრძოლაში, რომელიც თავისთავად გულისხმობს ამ დისციპლინის მეტ პრიორიტეტულობას მედიცინაში, მარტო არ ვყოფილვარ. მხარში მედგნენ და შეძლებისდაგვარად მეხმარებოდნენ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლები, ჩემი კოლეგები და მეგობრები: ჯენარო ქრისტესაშვილი, რამაზ ჩარექიშვილი, ლალი ფხალაძე, თემურ გაგნიძე.

დღეს, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩემი მოწაფე მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის იყენებს რეპროდუქტოლოგიის სახელს. მათი გარკვეული ნაწილი არასდროს დამხმარებია კრიტიკულ მომენტებში დარგის დასაცავად. ზოგიერთი მხოლოდ საკუთარი თავის თუ კლინიკის პიარით არის დაკავებული. მაგრამ ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

დღეს, ამ ასაკში, რამდენადმე მეუხერხულება ჩემს თავზე

ლაპარაკი და ვფიქრობ, ეს ჩემს მოწაფეებს უნდა გაეკეთებინათ, რომლებმაც ყველაფერი მიიღეს ჩემგან. ბევრმა ცხოვრება მოიწყო რეპროდუქტოლოგიის ხარჯზე – კლინიკები დააარსეს, იყიდეს, გაყიდეს. ბევრი მათგანი საზღვარგარეთ ჩემი რეკომენდაციითა და დახმარებით გავაგზავნე. ისინი, სამწუხაროდ, იქ დარჩნენ, იქ განაგრძეს მუშაობა, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნისთვის მოეხმარებინათ თავიანთი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება... ამას, რა თქმა უნდა, არ ვნანობ, მაგრამ მწყინს, რომ ზოგიერთს მადლიერების გრძნობა არ გააჩნია. არადა, ჩემი პროფესიის პარალელურად, მოღვაწეობის მთავარ მიზნად ყოველთვის მქონდა დასახული მომავალი თაობების აღზრდა. ერთი ტელევიზიის პრაიმშოუში ჩვენს აღზრდილებს უთქვამთ, წარმატებულად მიმდინარეობს ჩვენი პროფესიული საქმიანობაო, თუმცა არც ერთხელ არ უხსენებიათ ჟორდანიას ინსტიტუტი, სადაც აღიზარდნენ. გული მწყდება ამაზე. დასანანია, უბრალოდ, და ნაღველს მგვრის ხოლმე ეს ყველაფერი...

უკითხავთ, ხელახლა რომ დაიწყოს სიცოცხლე, რას შეცვლიდიო. პროფესიაში – არაფერს, აბსოლუტურად, იმავეს გავივლიდი – პროფესიის არჩევიდან დაწყებული, რეპროდუქტოლოგიით დამთავრებული.

დიახ, რეპროდუქტოლოგიის იდეოლოგიური ფუძემდებელი მსოფლიოში არის იოსებ ჟორდანია. მისი ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება იყო არა მარტო უშვილობის პრევენცია, არამედ შობადობის რეგულაცია და ეს საკითხი მსოფლიოში დღემდე ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. ახლა ბევრს ჰგონია, რომ რეპროდუქტოლოგია, რომელსაც შვილივით ველოლიავები, არის განხორციელებული და მორჩა, მას ბევრი არაფერი სჭირდება. სინამდვილეში ასე არაა. რეპროდუქტოლოგია მუდმივად განვითარებადია, ბოლომდე შეუსწავლელი და მუდმივად მომავლის პროფესია.

რეპროდუქტოლოგია ჩემი შვილობილია, როგორც შვილი, ისე გამოვზარდე. ასე გამოვიდა ჩემს ცხოვრებაში და თავს დავდებ, რომ ის იყოს კარგად.

იოსებ ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, 1993 წ.

ინსტიტუტის ახალგაზრდა თაობა, 1993 წ.

ზურაბ საბახტარაშვილთან ერთად დილის კონფერენციაზე

ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლები, დილის კონფერენცია

ინსტიტუტის თანამშრომლები

გია ცაგარეიშვილი, ირინა ტაბიძე და ნატალია ხონელიძე

ჟორდანიას საქმის მემკვიდრე ...
იოსებ ჟორდანიას შთამომავლები

იოსებ ჟორდანია ცოცხალი არ მინახავს. როცა ის დაიღუპა, მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. როდესაც მისი სახელობის ინსტიტუტში მივედი, იგი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, თუმცა უნდა გითხრათ, არასდროს დამვიწყებია, სათანადო პატივი მიმეგო მისთვის. ელემენტარულად, სულიერი მოთხოვნილება მქონდა იმის, რაიმე გამეკეთებინა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

დიდი დავიდარაბის შემდეგ მე მოვახერხე, რომ თბილისში ერთი ქუჩისთვის მისი სახელი ეწოდებინათ. ეს ქუჩა ქალაქის გარეუბანშია და ახლა ვიბრძვი იმისთვის, რომ იოსებ ჟორდანიას სახელი თბილისის ცენტრში რომელიმე ქუჩას დაერქვას. არსად არ არის მისი მემორიალური დაფა. მინდა ეს გავაკეთო.

გამახსენდა და, ბარემ, ერთი ამბავიც მინდა მოგიყვეთ: 10 წელი იქნებოდა გასული ჟორდანიას ინსტიტუტში ჩემი დირექტორობიდან, როცა ერთმა ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში მკითხა: თქვენ როგორ მოიქცეოდით, იოსებ ჟორდანიას ადგილას რომ აღმოჩენილიყავით თვითმფრინავის კატასტროფის დროსო. ვიფიქრე: რომ ვუთხრა, ჟორდანიასნაირად-მეთქი, იტყვიან ჟორდანიას ადარებს თავსო; მეთქვა, თავს გადავირჩენდი და გოგონას გავწირავდი-მეთქი, დამძრახავდნენ, ამიტომ უცებ მოვისაზრე და ვუპასუხე: იოსებ ჟორდანიასგან განსხვავებით, მე ცურვა ვიცი-მეთქი. კარგად გამომივიდა, მაგრამ ეს ხომ ხუმრობა იყო?!

თამამად ვიტყვი, იოსებ ჟორდანიას ცხოვრება ჩემთვის არის მაგალითი. ხშირად ვფიქრობ მასზე და ცხადია, მის გმირობაზეც ბევრი მიფიქრია. შეიძლება ამის გამოც, წლების შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ მართლაც ისევე მოვიქცეოდი, როგორც მოიქცა იოსებ ჟორდანია...

პირადად მისთვის რომ სათანადო პატივი მეცა და დამეფასებინა, ეს ჩემთვის დიდად სასიამოვნო და სასიხარულო ამბავი

იქნებოდა, მაგრამ, რადგან ეს განგებამ არ ინება, ამიტომ ახლა ვცდილობ, მისი შთამომავლების მიმართ გამოვიჩინო განსაკუთრებული ყურადღება. აქ, შეიძლება ითქვას, გამიმართლა, მუდმივი კონტაქტი მაქვს იოსებ ჟორდანიას შვილთან – კირილე ჟორდანიასთან და ძმისშვილიშვილებთან – ქალბატონ ადა და ელენე ჟორდანიებთან.

იოსებ ჟორდანიას ვაჟი – კირილე ჟორდანია მოსკოვში მუშაობს ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ის ცნობილი ონკოგინეკოლოგია, პროფესორი, ჟურნალ „ონკოგინეკოლოგიის“ მთავარი რედაქტორი. აღსანიშნავია, რომ კირილეს გამორჩეულად ქართული გარეგნობა და მარიფათი აქვს.

მისი ვაჟი გიორგი ტალინში ცხოვრობს. ქალიშვილი მარია ჟორდანია ინგლისელზეა გათხოვილი და ლონდონთან ახლოს პატარა ქალაქში მასწავლებლად მუშაობს. მათი დედა, კირილე ჟორდანიას მეორე მეუღლე, ესტონელია, სპეციალობით გენეტიკოსი, ესტონეთის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის ქალიშვილი. კირილის პირველი ქორწინებიდან ჰყავს უფროსი ქალიშვილი ანა, რომელიც პროფესიით ექიმია და მოსკოვში ცხოვრობს.

კირილე ორჯერ დავპატიჟე საქართველოში, პირველად დედასთან – ლიდიასთან ერთად მამის 90-ე წლის იუბილეზე, მეორედ კი 2015 წელს, როდესაც გრანდიოზულად აღვნიშნეთ იოსებ ჟორდანიას დაბადებიდან 120-ე წელი, რასაც მიეძღვნა სამედიცინო კონფერენციაც. ბევრი სტუმარი გვყავდა. უცხოეთიდან და რუსეთიდან მოვიწვიეთ ცნობილი მეცნიერები. იუბილე ძალიან ემოციური და ლამაზი გამოვიდა. ყველანი ძალიან ბედნიერები ვიყავით.

ამის შემდეგ თბილისში იოსებ ჟორდანიას შვილიშვილებიც ჩამოვიდნენ ოჯახებთან ერთად. გვესტუმრენ კლინიკაში, მოინახულეს სახელოვანი ბაბუის ინსტიტუტი. ცრემლებს ვერ იკავებდნენ იოსებ ჟორდანიას ბიუსტთან. მერე ერთად წავედით მის საფლავზე დიდუბის პანთეონში. მაქსიმალურად ვეცადე, მათთვის კარგი მასპინძლობა გამეწია. ამას არავინ მავალდებულებდა, მაგრამ ეს იყო ჩემი სულიერი და ადამიანური მოთხოვნილება, ერთგვარი ვალი და მოვალეობა, რომ იოსებ ჟორდანიას ოჯახისთვის პატივი მეცა, რადგან მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტში მის ტრადიციებზე აღვიზარდე და ვაგრძელებდი საქმიანობას.

იოსებ ჟორდანიას შთამომავლები სტუმრად ინსტიტუტში

იოსებ ჟორდანიას შვილიშვილთან – გიორგისთან ერთად

იოსებ ჟორდანიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე

ვერა სმეტნიკი, კირილე ჟორდანია და არჩილ ხომასურიძე

იოსებ ჟორდანიას შთამომავლები სტუმრად ინსტიტუტში

იოსებ ჟორდანიას 120 წლის იუბილე

ლენა და ადა ჟორდანიებთან ერთად იოსებ ჟორდანიას საფლავზე

ჟორდანიას ინსტიტუტის გაყიდვა

ჟორდანიას ინსტიტუტის შენობის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ რომ შეგვატყობინეს, ამან თანამშრომლებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ცხადია, მეც შევშფოთდი და დავიწყე ფიქრი, როგორ შეიძლებოდა ეს საშიშროება თავიდან აგვეცილებინა. მალე გავიგე, რომ ისტორიული და მეტ-ნაკლებად ღირებული შენობების გაყიდვა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტი იყო და კოსტავას 43 -დან წასვლა ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევდა. ამაში გვარწმუნებდა ჩვენი მაშინდელი თანამშრომელი და „კეთილისმსურველი“, რომელიც თითქოსდა ეხმარებოდა ინსტიტუტს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მოღალატე აღმოჩნდა. ესეც დიდი ტკივილი იყო ჩემთვის...

ერთი სიტყვით, დავიწყე ალტერნატიული ფართის ძებნა. პარალელურად ვმუშაობდი ინსტიტუტის სახელის დაპატენტებაზე. მინდოდა, ეს სახელი მთელ ინსტიტუტზე დამერეგისტრირებინა, მაგრამ აღმოჩდა, რომ კანონი არ იძლეოდა ამის უფლებას. საბოლოოდ, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების რჩევით და თანხმობით, ჟორდანიას ინსტიტუტის სახელის პატენტი ჩემზე დავარეგისტრირე. არ ვწყვეტდი სპონსორების მოძიების პროცესსაც: იმედს ვიტოვებდი, ეგებ, ვინმემ მოისურვოს, ინსტიტუტის შენობა შეისყიდოს და ჩვენ იქ მუშაობის შესაძლებლობა მოგვცეს-მეთქი. მაგრამ შენობა დიდძალ თანხად შეფასდა და მისი მყიდველი საქართველოში იმხანად არ მოიძებნა.

მთავრობის წარმომადგენლები გვთავაზობდნენ ალტერნატიულ ფართს დიღომში, რკინიგზის საავადმყოფოს შენობაში უსასყიდლოდ – თუ დროულად დავტოვებდით შენობას.

ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის შენობაში, რომ იტყვიან, არ დავბადებულვარ, თორემ იქ გავიზარდე. მშობლიური სითბოთი და ყურადღებით აღმზარდეს სახელოვანმა, შესანიშნავმა ადამიანებმა და პროფესიონალებმა და იმის გარდა, რომ იქაურობის მიმართ პასუხისმგებლობა მქონდა, პირადი

განცდები და დამოკიდებულებებიც მამოძრავებდა. ჩემნაირად იყო განწყობილი ინსტიტუტის თანამშრომელთა უმრავლესობა, ამიტომაც მეუბნებოდნენ, იოლად არ დაგვეთმო იქაურობა. მაგრამ ისე მოხდა, რომ მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებული ჩვენი იმდროინდელი თანამშრომლის რჩევას დავეთანხმეთ, რომელიც ამბობდა: სპონსორიც გამოჩნდება, შენობასაც გაარემონტებს, ბატონი არჩილი, ცხადია, დირექტორად დარჩება და ჩვენც ძველებურად განვაგრძობთ საქმიანობასო. მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ერთ „მშვენიერ“ დღეს მართლაც მოვიდა სპონსორი გაურკვეველი კომპანიიდან, ცხადია, სამედიცინო საქმის აბსოლუტურად უცოდინარი. მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც არ იცნობდნენ ჩვენს ინსტიტუტს და არც ერთი კრიტერიუმით არ იყო მათთვის ღირებული არც ჩვენი საქმიანობა და არც ის ადამიანები, რომლებიც იმჟამად ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში მუშაობდნენ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხებზე – რეპროდუქტოლოგიის განვითარებზე, უშვილობის პრევენციაზე, ქალთა გინეკოლოგიური პათოლოგიების აღმოფხვრაზე და ა.შ.

ქართული ხასიათი ხომ იცით – თბილისში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ყოველთვის შურდათ ჟორდანიას ინსტიტუტის, შურდათ პირადად ჩემი წარმატებებიც. პირში ბევრი მიცინოდა, მაგრამ ზურგს უკან ძირს მითხრიდნენ და მიაღწიეს კიდევაც ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ისტორიული შენობის გაყიდვას...

ეს სამწუხარო გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ.

თითქმის 10 წლის განმავლობაში მიგდებული იყო ჟორდანიას alma mater-ი.

ამჟამად ის ნაწილ-ნაწილ ქირავდება...

ერთ დღეში დაგვაცლევინეს შენობა. ეს იყო 2011 წლის ივნისის ბოლო დღეები. გადავბარგდით დიღომში და აღმოვჩნდით იმ ე.წ. სპონსორების ხელში, რომლებიც სრული უპასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ გარშემო ყველას და ყველაფერს.

დიდი დარტყმა იყო ჩვენი თანამშრომლებისთვის ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ისტორიული შენობიდან გამოყრა. დიახ, გამოყრა, რადგან სხვა სახელს იმ ქმედებას, რაც ჩვენ მიმართ განახორციელეს, ვერ დავარქმევ. უდიდესი ტრავმა იყო ეს ჩემთვისაც და დღემდე მიკვირს, ყველაფერ ამას როგორ გავუძელი. ყველაზე მძიმე ის იყო, რომ იმ საშინელ დღეებში ბევრმა ძალიან ახლო მეგობარმაც კი მიღალატა და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნაკლებად მეგობრული დამოკიდებულება რომ მქონდა, ისეთი ადამიანები დამიდგნენ გვერდით. ასეც ხდება თურმე ცხოვრებაში...

ფაქტია: ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა მართლაც სასიკვდილოდ გამიმეტეს. არადა, რაც ყველაზე მეტად მძულდა, ეს იყო ღალატი და უმადურობა და სწორედ ღალატის და უმადურობის მსხვერპლი აღმოვჩნდი...

იმის მიუხედავად, რომ არაერთი შეცდომა მომსვლია, ბევრჯერაც მინანია, ბევრი შესაძლებლობა და შანსი გამიშვია ხელიდან, გენეტიკურად მომდევს, რომ კაცობაში არასდროს არაფერი შემშლია და სიკეთის კეთებას ვერავინ დამასწრებს. ასეთები იყვნენ დედაჩემი და მამაჩემი და ასეთი ვარ მეც. სხვა საკითხია, რამდენად გამომდგომია ეს საქციელი თუ თვისება ამ წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებაში. რომ გითხრათ, ხშირად ვლაპარაკობ ამ თემაზე ჩემს კოლეგებთან და ახლობლებთან-მეთქი, არ იქნება მართალი. გული მტკივა, უბრალოდ, და არ მინდა, ხშირად გავიხსენო, გავიმეორო ანდა სხვას მოვახვიო თავს ჩემი გულისტკივილი. მეგობარსა და კოლეგას – ლალი ფხალაძეს და ჩემს თანაშემწე ქეთი ნატროშვილს თუ მოვუყვები ხოლმე ასეთ რამეებს. ეს ადამიანები ათეული წლებია ერთგულად მიდგანან გვერდით, როგორც სასიხარულო, ასევე, ძნელბედობის ჟამსაც, ამიტომაც მათ ჩემს მარჯვენა და მარცხენა ხელს ვეძახი.

როგორც ხედავთ, იმ ადამიანების სახელებს და გვარებს არ ვასახელებ, რომლებიც მმტრობდნენ პირადად მე, ჩემს საქმეს, ინსტიტუტს და ამით, ზოგადად, ქართულ მედიცინას და მის

პრესტიჟს. ჩემს მონათხრობში ვიხსენებ მხოლოდ კარგ ადამიანებს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში და ინსტიტუტის ცხოვრებაში.

უდიდესი დაძაბულობის ფონზე ვმუშაობდით დიღომში. ბოლოს კი მოხდა ისე, რომ კვლავ ჩემი ახლობლების ღალატით ხელშეწყობილმა „სპონსორებმა“ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან გამათავისუფლეს.

ეს იყო უდიდესი დარტყმა...

ჩემი უახლოესი მეგობრები, თანამშრომლები, თანამებრძოლები გვერდით რომ არ დამდგომოდნენ, მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მომივიდოდა, მაგრამ ერთად გადავლახეთ ყველაფერი.

მე გადავრჩი და გადავრჩი იმით, რომ გადარჩა ინსტიტუტი.

საბოლოო ჯამში, ჩემთვის მაინც ეს იყო მთავარი...

რეპროდუქტოლოგიის ახალი ინსტიტუტი

ამ გულდასაწყვეტი ისტორიის თხრობისას არ შემიძლია არ დავასახელო და მადლიერება არ გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი პოზიციები დაიკავეს ინსტიტუტთან დაკავშირებით. მათ შთამაგონეს და მომცეს ძალა, ყველაფერი თავიდან დამეწყო და ხელახლა აგვეწყო ინსტიტუტი. ლალი ფხალაძე, ქეთი ნატროშვილი, ნანა კვაშილავა, გოგი ნასარიძე, ნინო რაჟამაშვილი, თინა ფირცხალავა, ნინო დათოშვილი, ლუდა ბარბაქაძე, ნატო მელაშვილი, მედიკო ბურაევა, სოსო დონღუზაშვილი, ეკატერინე ხომასურიძე და სხვები ჩემ გვერდით იდგნენ ამ ძნელბედობის ჟამს...

2011 წელს თევდორე მღვდლის 13-ში შევიძინე ფართი; კედლებიც კი არ იყო. პრაქტიკულად, ჰაერი ვიყიდე. ეს იყო 1500 კვ.მ გასარემონტებელი ფართი. ფული არ მქონდა. რა უნდა მექნა? ავდექი და გავყიდე მამაჩემისგან ნაანდერძევი ბინები. 2013 წლის ბოლოს რემონტი დავასრულეთ. ინვენტარი, ტექნიკა შევიძინეთ, სხვებიც დაგვეხმარნენ. კვლავ ჩემი ძველი და დროში

გამოცდილი მეგობრების, უახლოესი ადამიანების მორალური მხარდაჭერით და თანადგომით 2014 წელს, 14 იანვარს, ახალ შენობაში გადმოვედით. ახლანდელ შენობაში ფუნქციონირების დასაწყისში სულ, ალბათ, 3 თუ 4 ადამიანი ვიყავით. დაუღალავად ვშრომობდით. ბევრი მორალურად გვეხმარებოდა, სხვები, რითაც შეეძლოთ, იმით – თანხით, აპარატურით. ჩემმა მეგობარმა და საუკეთესო სპეციალისტმა, პროფესორმა ფრიდონ თოდუამ ახლად ფეხადგმულ ინსტიტუტს ექოსკოპიის აპარატი უსასყიდლოდ გადმოსცა.

დღეს ჩვენი ინსტიტუტი თითქმის 1500 კვ მ-იან ფართში იმყოფება, რაც საკმარისია იმისთვის, რომ სრულად აღდგეს ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის მემკვიდრე დაწესებულების ფუნქციონირება. ამჟამად ისევ საკუთარი სახსრებით ვარემონტებ ფართის მეორე ნახევარს, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში სერიოზული ბიზნესი ცოტა ვინმეს აინტერესებს.

ვიმედოვნებთ, რომ მალე სრულად აღდგება ჟორდანიას ინსტიტუტის ფუნქციონირება ქირურგიული და ინ ვიტრო განაყოფიერების განყოფილებებით.

რაც შეეხება ჩვენი საქმიანობის პროფილს, პროფესორი ჟორდანიას და პროფესორი ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება კვლავ გახლავთ ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჩვენთან ტარდება მაღალი რისკის ორსულთა მონიტორინგი, გინეკოლოგიურ-ენდოკრინული დარღვევების მართვა რეპროდუქციული ასაკის ქალბატონებსა და გოგონებში. აქვე უნდა ვთქვა: ჩვენი ექსკლუზივი იყო და დღესაც რჩება ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგია. ტრადიციულად ვმართავთ ყველანაირ გინეკოლოგიურ პათოლოგიას; გვაქვს ანდროლოგიური, სექსოლოგიური და უროლოგიური მიმართულებები; პრიორიტეტულია კლიმაქსური პერიოდის მართვა არა მხოლოდ ქალებში, არამედ მამაკაცებშიც. ვამაყობთ ჩვენი ლაბორატორიით, რომელსაც ქალბატონი ნანა კვაშილავა ხელმძღვანელობს. ერთი სიტყვით, ახალ ინსტიტუტში ვაკეთებთ ყველაფერს, რაც

კეთდებოდა თავის დროზე ცნობილ ჟორდანიას ინსტიტუტში. ვატარებთ კლინიკურ კვლევებს, ვმონაწილეობთ საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჩვენთან რეგულარული კონტაქტები აქვს. მე ვარ დარგის ექსპერტი. საგანმანათლებლო, სარეზიდენტო პროგრამები ხორციელდება საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის ეგიდით და, რადგან რეპროდუქტოლოგიაზე ძალიან დიდი მოთხოვნაა, ჩვენთან ხორციელდება რეპროდუქტოლოგიის სარეზიდენტო და მეან-გინეკოლოგთა გადამზადების პროგრამები: სახელმწიფო პროგრამა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კერძო პროგრამა – პროფესორი ჟორდანიას და პროფესორი ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის.

ამასთანავე, ჩვენი ინსტიტუტი არის ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რეპროდუქტოლოგიის და მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ბაზა. როგორც ხედავთ, მომავალი თაობების აღზრდა ახალ ინსტიტუტშიც პრიორიტეტად რჩება.

ზოგადად, გულსატკენია და ნაღველს მგვრის ის, რომ ზოგიერთი ჩემი გაზრდილი მედიკოსი და შესანიშნავი სპეციალისტი ჩემს სახელს, როგორც მასწავლებლისა, საერთოდ არ ახსენებს. სანამ ცოცხალი ვარ, არ ვახსოვარ და, რომ აღარ ვიქნები, მერე ვის გაახსენდება არჩილ ხომასურიძე-მეთქი, ვფიქრობ. გული მწყდება ამაზე, მაგრამ, ალბათ, ასეთია ცხოვრება...

ხშირად ვფიქრობ ჩემს ღვაწლზე ქართულ მედიცინაში და, ვინმეს გადაჭარბებულად რომ არ მოეჩვენოს, გეტყვით, რა მაძლევს ზოგიერთ შემთხვევაში ამბიციური განცხადების გაკეთების შესაძლებლობასა და უფლებას. პირველ რიგში, ამას ვლაპარაკობ იმის გამო, რადგან რაღაცნაირ კმაყოფილებას განვიცდი, რომ ჩემი შრომითა და მოღვაწეობით ჩემს ქვეყანას გამოვადექი, ქართულ მედიცინას ბევრი რამ შევძინე, თაობებს ამ დარგში, გარკვეულწილად, გზა გავუკვალე და ფუჭად არ გამიტარებია ჩემი წუთისოფელი...

ქართული მედიცინის სამსახურში ყოფნა თავისთავად ღირსეული საქმეა. ამ მრწამსით განვვლე ცხოვრების ბევრი წელი. ეს იყო და არის პასუხისმგებლობა, ერთგვარ სიამაყესთან ერთად. მაძლიერებდა ის, რომ ქართული მედიცინის ისტორია მსოფლიო დონის მეცნიერ-მედიკოსებს იცნობს. ქართულ მედიცინას მსოფლიოში უდიდესი ტრადიცია აქვს და დღესაც განაგრძობს ამ ტრადიციით სვლას. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღიარებულია ჩვენი მედიკოსების ღვაწლი და მნიშვნელობა სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლაში...

დარგის პიონერის – იოსებ ჟორდანიას სახელობის კლინიკა ჩემი ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ერთადერთი იყო საბჭოთა სივრცეში და ზოგი მიმართულებით მსოფლიოშიც პირველი სიახლეების დანერგვის თვალსაზრისით. ყველა სამედიცინო სიახლე, რომლითაც შესაძლებელია უშვილობის მკურნალობა, საქართველოში ჩვენ დავნერგეთ. მიხარია, რომ ჟორდანიას იდეოლოგია და მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის ტრადიციები გრძელდება ახალ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში.

მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო

იმ წლებში, როცა ახალგაზრდა და უფრო მეტად პოპულარული ვიყავი, მეკითხებოდნენ და ახლაც აინტერესებთ: რატომ მედიცინა და ავირჩევდი თუ არა იგივე პროფესიას, თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას. ამ შეკითხვას ყოველთვის ვპასუხობდი და ვპასუხობ ცალსახად: მე დავიბადე ექიმად და, კიდევ სამჯერ რომ დავიბადო, სამივეჯერ ექიმობას ავირჩევდი. ხშირად ყოფილა ასეთი შეკითხვაც: რა არის ჩემი ჰობი?! რასაც ვპასუხობდი, რომ, ჩემს შემთხვევაში, პროფესია და ჰობი ერთმანეთს ემთხვევა.

80-იანი წლების დასაწყისში თანდათანობით შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ახალი ჰო-

ჰოლანდია

ჯონ ფიშბორნთან და თემურ მიქაბერიძესთან ერთად, აშშ

იგორ სტატენკოვთან ერთად სინგაპურში



სინგაპური



ინდოეთი

რუსეთის ჯანდაცვის მინისტრთან
ალექსანდრე ბარანოვთან ერთად, ბალი, ინდოეთი

არგენტინა, ბუენოს აირესი

ამერიკის შეერთებული შტატები

ბელგია

უნგრეთი

იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი



სიცილია, ტაორმინა



ტაჯმაჰალი, ინდოეთი

ჟენევა, შვეიცარია

ბი – მოგზაურობა და იგი სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებდა. იმ პერიოდისთვის უკვე ნამყოფი ვიყავი რამდენიმე ათეულ ქვეყანაში. ახლა კი, როდესაც უკვე ანგარიშიც დავკარგე ქვეყნების რიცხვისა – მან ას ორმოცდაათს გადააჭარბა – დაბეჯითებით მინდა ვთქვა, რომ ჩემს ცხოვრებაში ნათლად გამოხატული მეორე ჰობი გახლავთ მოგზაურობა მსოფლიოში. მოგზაურობა მიმაჩნია სიამოვნების, განვითარების და ცხოვრების სწორი ანალიზისათვის აუცილებელ პირობად და საშუალებად.

ჩემი მოგზაურობები სხვადასხვა ხასიათისა იყო. დავიწყე ტურისტული მოგზაურობით, სტუდენტობისას, 1962 წელს, როდესაც გაქანებული საბჭოთა პერიოდის დროს „გავაღწიე“ პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. ამას დაემატა ჩემი მიღწევები, როგორც მედიკოსისა და პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერის. ასე გრძელდებოდა 1984 წლის ბოლომდე, როცა დამნიშნეს ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორად და შემდეგაც მოგზაურობა გახდა ჩემი საქმიანობის ძირითადი ნაწილი. ეს განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ის მატერიალური თუ ტექნიკური სიკეთე, რაც მე მოვუტანე ჩემს მშობლიურ ინსტიტუტს და ქვეყანას – გრანტები, პროგრამები, ულტრათანამედროვე აპარატურა და მეთოდები, ყველაფერი ჩამოვიტანე უცხოეთიდან. ერთი მაგალითს მოვიყვან: 1990 წელს თბილისში ჩავატარეთ პირველი მსოფლიო კონგრესი, რომელსაც ერქვა „აბორტიდან კონტრაცეპციამდე“. ამის შემდეგ საქართველო და ჟორდანიას ინსტიტუტი ისეთი პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდის დეპარტამენტმა (UNFPA) საქართველოს გამოუყო მრავალმილიონიანი თანამედროვე კონტრაცეპტივების პროგრამა, რომელმაც იმუშავა 13 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში საქართველო უზრუნველყოფილი იყო უფასო, ულტრათანამედროვე კონტრაცეპტივებით. მსგავსი პროგრამები სხვაც ბევრი განხორციელდა. მე, როგორც ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორს, იმ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაჩუქეს 7 ლაპაროსკოპი, თითო, დაახლოებით, 100 000 დოლარის ღირებულებისა. მეპატიჟებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც მეცნიერსა და პრაქტიკოსს, პიონერ-რეპროდუქტოლოგსა და მეან-გინეკოლოგს გამოცდილების გასაზიარებლად და ლექციების წასაკითხად. 1988 წელს ამირჩიეს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტის სახელმძღვანელო კომიტეტის წევრად, სადაც ვმუშაობდი 4 წლის განმავლობაში. ეს ოთხი წელიწადი სასარგებლო იყო პირადად ჩემთვის და ქვეყნისთვის, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში მიექცა სერიოზული ყურადღება მამაკაცთა რეპროდუქციულ ფუნქციას. სახელმძღვანელო კომიტეტში ოთხი წლის მოღვაწეობის შემდეგ მე გავხდი ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დროებითი მრჩეველი (Temporary Adviser), რაც გულისხმობდა ამ ორგანიზაციის იდეოლოგიის გავრცელებას მთელ მსოფლიოში, ძირითადად კი განვითარებად ქვეყნებში. ამ პოზიციაზე ვიმუშავე 17 წელი და მიმაჩნია, რომ სწორედ ამ წლებმა მოუტანა სარგებელი არა მარტო განვითარებად ქვეყნებს, არამედ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ინსტიტუტს და პირადად მე. ჩემი ძირითადი დირექტივები გახლდათ: აბორტი და კონტრაცეპცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ქალთა უფლებებისა და სქესობრივი უმცირესობების უფლებების დაცვა, ანდროლოგიის, სექსოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის განვითარება მთელ მსოფლიოში.

გაეროს საპენსიო ასაკთან მოახლოებასთან დაკავშირებით განისაზღვრა ჩემი ჯანდაცვის ორგანიზაციაში მოღვაწეობის ვადა, მაგრამ იოსებ ჟორდანიას ინსტიტუტს შეუნარჩუნდა ამ დაწესებულების სათანამშრომლო ცენტრის სტატუსი, რაც ძირითადად სამეცნიერო ხასიათისა იყო და წარმატებით ხორციელდებოდა 2000-იანი წლების დასაწყისამდე.

მას შემდეგაც არ შემიწყვეტია საზღვარგარეთ მოგზაურობა სხვადასხვა მიზნით, რომელთა შორის მთავარი იყო სა-

ერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა. ასეთ ფორუმებში ვიყავით წარმოდგენილი არა მარტო მე და ჟორდანიას ინსტიტუტის აქტივი, არამედ მთელი ინსტიტუტი. 90-იან წლებში სინგაპურში რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო კონგრესს ჟორდანიას ინსტიტუტიდან ესწრებოდა 42 თანამშრომელი, რაც უფრო მეტი იყო, ვიდრე ათეული განვითარებადი ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები ერთად. ადამიანის რეპროდუქციის აკადემიის კონგრესებზე მონაწილეთა რაოდენობით საქართველოს წლების განმავლობაში ეკავა პირველი ადგილი, რასაც ყოველთვის აღნიშნავდა მათი საორგანიზაციო კომიტეტი.

ჩემი საქმიანი მოგზაურობების აღწერა დიდი ისტორიაა და არ მინდა გადაგღალოთ, მით უფრო, რომ ეს ამბები ცალკე წიგნის დაწერამდე მიმიყვანს.

მეტ ინტერესს წარმოადგენს, ალბათ, ჩემი „შემეცნებითი“ მოგზაურობანი. კერძოდ, ჩემი ორი მოგზაურობა დედამიწის გარშემო, რაც აერთიანებდა საქმიანობასა და ტურიზმს. ერთ მოგზაურობაში თანამგზავრად წავიყვანე ჩემი თანამშრომელი თემურ მიქაბერიძე, მეორეში – ლევან ბარამიძე. ხსენებული მოგზაურობები მართლაც შემეცნებით ხასიათს ატარებდა. თვითონ განსაჯეთ: მოსკოვი – პარიზი – ნიუ-იორკი; მთელი აშშ – ბრაზილია – არგენტინა – ურუგვაი – ჩილე – ტაიტი – ტონგა – ფიჯი – ახალი ზელანდია; სიდნეი – დელი – ნეპალი – მოსკოვი.

დედამიწის გარშემო მეორე მოგზაურობის დეტალები აღარც მახსოვს.

90-იან წლებში ჩოგბურთის დიდი შლემის 6 ტურნირს ზედიზედ დავესწარი მელბურნში, პარიზში, უიმბლდონსა და ნიუ-იორკში. საჩოგბურთო მოგზაურობების შემეცნებითი მნიშვნელობა ძალიან მაღალია. რად ღირს მარტო უიმბლდონი მისი მრავალწლოვანი ტრადიციებით. უიმბლდონის ერთ-ერთი ტურნირის დროს პირადად გახლდით მოწმე სახელგანთქმული რუმინელი ჩოგბურთელის ილიე ნასტასეს ცნობილი გამოხტომისა, როდესაც მან ვარჯიში დაიწყო ცენტრალურ კორტზე და

ინგლისელი კონსტებლის შენიშვნას უპასუხა: „მე გახლავართ რუმინეთის არმიის მაიორი და თქვენ არ გემორჩილებით“. როლან გაროსის (პარიზი) ორ ტურნირზე კი ერთ ლოჟაში მოვხვდით და პირადად გავიცანი ჟან-პოლ ბელმონდო და ალენ დელონის ვაჟი ტონი დელონი.

1996 წელს, როგორც ჩოგბურთის ფედერაციის წევრი, ვიმყოფებოდი ოლიმპიადაზე ატლანტაში. მე თვითონ ვთამაშობდი ჩოგბურთს სამოყვარულო დონეზე. სწორედ იმ პერიოდში დავუმეგობრდი ბევრ საინტერესო ადამიანს, მათ შორის ცნობილ ჩოგბურთელს შამილ ტარპიშჩევს. 1974 წელს ის სრულიად ახალგაზრდა დაინიშნა სსრკ ჩოგბურთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, შემდეგ იყო ჯერ საბჭოთა კავშირის და მერე რუსეთის სპორტის მინისტრი. შამილი დღემდე ჩემი უახლოესი მეგობარია.

21-ე საუკუნის დასაწყისში ჩემი საქმიანი მოგზაურობები გაგრძელდა, თუმცა შედარებით ნაკლები ინტენსივობით, შემეცნებითი ხასიათის ვოიაჟები კი გრძელდებოდა.

საერთოდ, როცა მეკითხებიან, რომელ ქვეყნებში ვარ ნამყოფი, ვპასუხობ: ჯობს, ჩამოვთვალო, სად არ ვარ ნამყოფი. მსოფლიოში დაახლოებით 300 ქვეყანაა, მე კი ნამყოფი ვარ 150-ში, კერძოდ, ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყანაში (იტალიაში, ალბათ, 30-ჯერ). მოვლილი მაქვს გრენლანდია, სამხრეთ კალედონია და ქალაქი უშუია (არგენტინასა და ჩილეს უკიდურესი სამხრეთი წერტილი). ვაპირებდი გამგზავრებას ვინდჰუკიდან (ნამიბია) ანტარქტიდაში, მაგრამ იქაური პინგვინების ნახვაში 4000 დოლარის გადახდა მეძვირა. აფრიკის ქვეყნებიდან არა ვარ ნამყოფი მხოლოდ ცენტრალურ აფრიკაში, ჩადსა და ნიგერში. არ ვყოფილვარ ცენტრალური ამერიკის ზოგიერთ კუნძულზეც, ბუტანში, სიკიმსა და ჩრდილოეთ კორეაში, ჩრდილოეთ და ცენტრალური წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახელმწიფოებში.

მრავალწლიანი „ხეტიალის“ შემდეგ, ბუნებრივია, ხშირად

ჩნდებოდა შეკითხვა: რომელი ქვეყანა ან ადგილი იყო ყველაზე უკეთესი ან უარესი და წლების განმავლობაში მივედი დასკვნამდე, რომ ასეთი იყო ორი ადგილი: ინდოეთი და იერუსალიმი.

ინდოეთი, მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში მეორე ქვეყანა, დიდ ყურადღებას იქცევს ნაირფეროვანი კულტურით, რელიგიებით, გეოგრაფიული და ეთნიკური თვალსაზრისით. ასეთი ნაირფეროვანი კულტურის ქვეყნის გაცნობა იძლევა დიდ სულიერ და შემეცნებით კმაყოფილებას. სწორედ ამიტომ დავდიოდი ინდოეთში სხვა ქვეყნებზე უფრო ხშირად, მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის გაცილებით უფრო მიმზიდველი იყო ინგლისური გავლენის მქონე ინდოეთი და ასეთი განწყობა საკმაოდ შემიმცირდა ინდოეთში არსებული ემანსიპაციის პარალელურად. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ინდოეთისკენ გული ისე აღარ მიმიწევს, როგორც ადრე. შესაძლოა, ეს ჩემს ასაკთანაც იყოს დაკავშირებული.

სხვა საქმეა იერუსალიმი. კაცობრიობის სამი ძირითადი რელიგიის საწყისი, თავისი უთვალავი ისტორიული ღირსშესანიშნაობით. ამ ქალაქში ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე შეგიძლიათ ნახოთ, როგორც რაიმე რეალურად ახალი, ისე ნაცნობი, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული განზოგადებისთვის. ამიტომ იერუსალიმის შემეცნებითი სიდიადე, მიმაჩნია, უსაზღვროდ. მასთან შეხების სულიერი მოთხოვნილება ისეთი განუზომელი და იდუმალია, როგორც ჩვენი სამყარო.

ალბათ, ცალკე დავთარი დასჭირდებოდა ჩემი ტურისტული მოგზაურობების მეტ-ნაკლებად სრულ აღნუსხვას. მაგალითად, თუ როგორ აღმოვჩნდით კენიაში მოგზაურობისას მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ღამით ჯიპით ჭაობში, ლომებისა და აფთრების პირისპირ და როგორ მოხერხდა ჩვენი უვნებლად გამოსვლა; ან როგორ ვიყავი 6 საათი დაპატიმრებული სინგაპურის ულამაზეს ჩინგის აეროპორტში, როგორც ნარკოტიკის ტრეფიკზე ეჭვმიტანილი; ან როგორ დაეცა მეხი თვითმფრინავს, რომლითაც მე მოვფრინავდი სანტიაგოდან მაიამიში;

როგორ ვუტარებდით გინეკოლოგიურ კონსულტაციებს ბოტსვანაში ველურ ქალებს მე და ჩემი მეგობარი ჯუმბერ უნგიაძე; როგორი ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია ავსტრალიის 3000-კმ-იანი მარჯნის რიფის ყურება დაივინგის დროს და ა.შ. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს სულ სხვა თემაა და იმედი მაქვს, მექნება საშუალება, მოვუთხრო საზოგადოებას მოგზაურობით მიღებული საოცარი შთაბეჭდილებების შესახებ.

მეგობრები

უფლის უსაზღვროდ მადლიერი ვარ ყველაფრისთვის, რაც მან მიბოძა ცხოვრებაში. მათ შორის მეგობრები და ახლობლები, როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში, საზღვარგარეთ. მეგობრობა ჩემთვის განსაკუთრებული გრძნობაა და ერთობ პასუხიმგებლობითაც ვეკიდები მათთან ურთიერთობას. ბევრი კარგი მეგობარი მყოლია და მყავს დღემდე.

ჩემი უსაყვარლესი მეგობარია ბრწყინვალე მეან-გინეკოლოგი და ექიმი ჯუმბერ უნგიაძე, იმის მიუხედავად, რომ ჩემზე 14 თუ 15 წლით ახალგაზრდაა. ჩვენ მოსკოვში მეანობა-გინეკოლოგიის საკავშირო ინსტიტუტში დავმეგობრდით.

მეგობრის ფენომენი ჩემთვის იყო და არის უმნიშვნელოვანესი და სანუკვარიც, ამ გრძნობას ყოველთვის ვეპყრობოდი სრული გულწრფელობით და სიფაქიზით. ყოველ შემთხვევაში, შემიძლია ვთქვა, რომ, სიახლოვის თვალსაზრისით, ახლო ნათესავსა და მეგობარს შორის სხვაობას ვერც ვხედავ. შემიძლია გავიხსენო შემთხვევა, როდესაც სასტიკად ვუსაყვედურე საკუთარ მამას იმიტომ, რომ მან უდიერად მოიხსენია ერთი ჩემი მეგობარი.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი მეგობრების დიდი უმრავლესობა იყო „ძალიან მაღალი ხარისხი", იმის მიუხედავად, რომ ყველაზე დიდი ღალატი სწორედ ახლო მეგობრისგან ვიწვნიე.

სავალალოა, რომ ბევრი ჩემი სკოლის, ინსტიტუტის, პროფე-

სიული თუ „ქუჩის მეგობარი“ უკვე გამოეთხოვა წუთისოფელს. მათ შორის, ძალიან დამწყვიტა გული თენგიზ ვარდიშვილმა.

ყველა მეგობრის წასვლა ამ წუთისოფლიდან ჩემს მიერ აღქმულია, როგორც უმძიმესი პირადული ტრაგედია.

ღმერთო აცხონე მათი სულები!

სიამოვნებით ვიხსენებ ე.წ. „ქუჩის მეგობრებს“, რომლებთან შეხვედრაც ღმერთმა შემთხვევით ბედნიერებად მარგუნა. ისე გამოვიდა, რომ მეგობართა ეს ნაწილი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მყარი აღმოჩნდა. დღემდე განსაკუთრებული სიფაქიზით ვუფრთხილდები ჩემი განსვენებული მეგობრის, კლასიკოსი კინორეჟისორის დავით რონდელის ვაჟის ალექსანდრე რონდელის ხსოვნას. ალიკა, ეს ფიზიკურად და მორალურად ლამაზი ადამიანი, გამოირჩეოდა ფაქიზი იუმორის გრძნობით. ალიკა იყო ჩვენი ქვეყნის უმაღლესი დონის საერთაშორისო პოლიტოლოგი, დამაარსებელი ცნობილი ფონდისა, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. იყო ამ ქვეყნის გულწრფელი პატრიოტი, რომელსაც ჩემთან საუბარში, აკაკი წერეთლის ნათქვამის მსგავსად, ერთხელ გულისტკივილით წამოსცდა: ჩვენს ქვეყანას აბსურდისტანი უნდა ერქვასო.

განსაკუთრებული სიყვარულით და სითბო მაკავშირებს მეგობარ რეზო გაჩეჩილაძესა და მის ბრწყინვალე მეუღლესთან მზია (ჩემთვის, „მზიკა“) მარსაგიშვილთან. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის, გივი გაჩეჩილაძის ოჯახში აღზრდილი, თავად არის ნამდვილი აკადემიკოსი, ბრწყინვალე გეოგრაფი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი და დიპლომატი; იყო საქართველოს ელჩი რამდენიმე ქვეყანაში. ამ ოჯახთან ნათელ-მირონობაც მაკავშირებს. მათ ჰყავთ ორი არაჩვეულებრივი შვილი – გივიკო და ირინკა. ირინკა ძალიან ნიჭიერი რეჟისორია.

მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ სწორედ ასეთ ადამიანებთან კეთილდამოკიდებულება იწვევს ჩემში სულიერ სიწყნარესა და კმაყოფილების გრძნობას.

ნუგზარ რუხაძეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ყველა იცნობს. ის პუბლიცისტია და მაღალი დონის ფილოლოგი – ინგლისური ენის ბრწყინვალე მცოდნე. დღესდღეობით, ალბათ, საქართველოში ორი თუ სამი ადამიანია, რომლებიც ინგლისურს პროფესიონალურ დონეზე ფლობენ. მათ შორის საუკეთესოა ნუგზარი.

ნუგზარ რუხაძე, ასე ვთქვათ, ქუჩაში გავიცანი. მერე, რუსეთში რომ წავედი, გაიყო ჩვენი გზები, მაგრამ თბილისში რომ დავბრუნდი, ისევ შევხვდით და მას მერე თითქმის სულ ერთად ვართ.

ერთი პატარა ამბავი უნდა გავიხსენო ნუგზართან დაკავშირებით. ამერიკაში ვარ, ატლანტაში. შემთხვევით გავიგე: ატლანტის ადგილობრივ ტელევიზიაში დიქტორად უმუშავია ჩემს მეგობარ ნუგზარ რუხაძეს. გასაკვირი ამბავი იყო: ქართველი ბიჭი ატლანტას ტელევიზიაში მუშაობდა დიქტორად და მიჰყავდა პირდაპირი ეთერი. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა იცოდე ენა, რომ დიქტორობა შეძლო და ახალი ამბები მიაწოდო ამერიკის მოქალაქეებს. იქაც შევხვდით ერთმანეთს. საოცრად გაგვიხარდა ორივეს ეს შეხვედრა.

ერთხელ ვკითხე ნუგზარს: რამდენი სიტყვა იცი ინგლისურად-მეთქი და, 100 000-ო, მიპასუხა. ნუგზარი ლინგვისტი და პროფესიონალი ჟურნალისტია. მიხარია, რომ ძველი ერთგული მეგობრებიდან იგი დღემდე შემომრჩა.

მე და ნუგზარი ხშირად დავდივართ გურიაში, ჩემს სოფელში. მასაც უყვარს იქ დასვენება. გასულ ზაფხულს ერთად ვიყავით ჩვენი მეგობრის, რეზო ხონელიძის სასტუმროში, მერე სასტუმრო „პარაგრაფში“ გადავედით. „პარაგრაფი“ ხუთვარსკვლავიანია და ერთ-ერთი საუკეთესოა გურიაში. ამ სასტუმროში დასვენება ერთი დღე 300 დოლარი ღირს, მაგრამ, უნდა ვთქვა, არ არის ისეთი მომსახურება, ამ თანხას რომ შეესაბამებოდეს – მომსახურების კულტურა ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის მაღალ დონეზე.

განსაკუთრებული ახლობლობა მაკავშირებს ირინა თხილავასთან და გია კეკელიძესთან. ირინა მოსკოვში ცხოვრობს, მიუხედავად ამისა, მასთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს.

კიტი შენკერი, ჯოზეფ შენკერი, არჩილ ხომასურიძე და ანდრეა ჯენაზანი

რობერტ ედვარდთან ერთად

სტუმრად ნუგზარ რუხაძესთან აშშ-ში

ლადო მესხიშვილთან ერთად (მარჯვნიდან პირველი), გერმანია

მეგობრებთან ერთად მოსკოვში

მეგობრებთან – თინა თარბასთან, ოლგა მიასნიკოვასთან და გია მერაბიშვილთან ერთად

რომა შაქარიშვილთან ერთად რუმინეთში

ნუგზარ რუხაძესთან ერთად

ირინა თხილავასთან ერთად

ებერჰარდ ნიშლაგთან ერთად ბერლინში

ლალი ფხალაძესთან და ანდრეა ჯენაზანისთან ერთად ვენეციაში

არჩილ ხომასურიძე, ანდრეა ჯენაზანი და რამაზ ჩარექიშვილი

არჩილ ხომასურიძე, ვიაჩესლავ ლოკშინი და სვენ სკუბი

ალექსანდრე მაქაცარიასთან ერთად

ალექსანდრე მაქაცარია, არჩილ ხომასურიძე,
თამაზ ნიკოლაიშვილი და ჯუმბერ უნგიაძე



ვლადიმერ მესხიშვილთან და ბეჟან წინამძღვრიშვილთან ერთად

ჯოზეფ შენკერი, ანდრეა ჯენაზანი და არჩილ ხომასურიძე.
ვროცლავი, პოლონეთი

ალესანდრო ჯენაზანისთან ერთად თბილისში



ჯოზეფ შენკერთან და ლალი ფხალაძესთან ერთად, ვენეცია

გამალ სერური, კიტი შენკერი, ლალი ფხალაძე, სკუბი, ანდრეა ჯენაზანი,
არჩილ ხომასურიძე, ჯოზეფ შენკერი და ტესი ჯენაზანი, თბილისი

გიორგი კავკასიძე, ვიქტორ გომელი, არჩილ ხომასურიძე, თბილისი

ვიქტორ გომელი, ლალი ფხალაძე და
არჩილ ხომასურიძე, დუბლინი, ირლანდია

ლუდმილა ბარბაქაძე, შენგლინ ტანი და მისი მეუღლე

მეგობრებთან ერთად, მარცხნიდან მესამე – ვიაჩესლავ ლოკშინი, მარჯვნიდან პირველი ვლადისლავ კორსაკი, ყაზახეთი

გიორგი ცერცვაძე

ეგონ დისფალუზი მეუღლესთან ერთად

ზურაბ აბაშიძე შვილიშვილებთან ერთად

რევაზ გაჩეჩილაძე



ფრიდონ თოდუა

მეგობრობა მედიცინის კორიფეებთან

ისე გამოვიდა, რომ ცხოვრების ის ნაწილი, როდესაც ადამიანს აქვს ყველაზე კარგი საშუალება და აუცილებლობაც კი მეგობრული ურთიერთობების დამყარებისთვის, მე გავატარე სამშობლოს გარეთ, მოსკოვში, სადაც 22 წლის ასაკში გავემგზავრე. ვნანობ, რომ ამ პერიოდში დამაკლდა ქართველ მეგობრებთან ურთიერთობა, თუმცა იმ დროს შევიძინე საუკეთესო რუსი და უცხოელი მეგობრები და ახლობლები. მათ შორის მსოფლიოში ცნობილი ადამიანები.

რუსი მეგობრების ნაწილი უკვე ვახსენე ჩემს მონათხრობში, მაგრამ არაფერი მითქვამს უცხოელების შესახებ, რომელთა შორის სხვა პროფესიის ადამიანებთან ერთად იყვნენ მედიცინის კორიფეებიც. ვფიქრობ, რომ ჩემი მჭევრმეტყველება ბევრს ვერაფერს შემატებს მათ პიროვნულ სიდიადეს, მაგრამ არ შემიძლია, არ გავიხსენო ორი-სამი ადამიანი, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ჩემი, როგორც პიროვნების, ფორმირებაზე და ჩემს სამედიცინო და სამეცნიერო ორიენტაციაზე.

პირველ რიგში, მინდა, გავიხსენო ჩემი მასწავლებელი, პროფესორი ეგონ დისფალუზი სტოკჰოლმიდან. ბატონი დისფალუზი, წარმოშობით უნგრელი, დაოჯახებული იყო შვედ ქალბატონზე და ცხოვრობდა შვედეთში. ის არის მსოფლიოში გინეკოლოგიური და სამეანო ენდოკრინოლოგიის დამაარსებელი, ბრწყინვალე მედიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი, რომლის მრავალფეროვანმა პროფესიულმა მისწრაფებებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემი საქმიანობის პროფილზე.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დიდი დასავლელი მეცნიერები უაღრესად თავმდაბალი და სასიამოვნო ადამიანები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანური თვისებები მათი სამეცნიერო დონის პირდაპირპროპორციული გახლავთ. ამ თვისებების ტიპური განსახიერებაა ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი რობერტ ედვარდსი – პირველი „სინჯარის ბავშვის“

შემქმნელი მსოფლიოში, რომელიც ორჯერ იყო ჩემი სტუმარი ჟორდანიას ინსტიტუტში.

ჩემი უახლოესი უფროსი მეგობარია პროფესორი ჯოზეფ შენკერი თავის არაჩვეულებრივ მეუღლესთან – კიტისთან ერთად. ის არის პირველი ხელოვნური სიცოცხლის შემქმნელი და რეპროდუქტოლოგიის დამაარსებელი ისრაელში, რეპროდუქტოლოგთა მსოფლიო აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორ ცონდეკის საქმის გამგრძელებელი და მემკვიდრე.

უდიდეს პატივს ვცემ ძვირფას მეგობარს, იტალიის ყველაზე ცნობილ გინეკოლოგს, პროფესორ ანდრეა ჯენაზანის, რომელსაც 2022 წლის 22 იანვარს შეუსრულდა 80 წელი. იგი წარმოშობით ქალაქ მოდენადანაა. სხვათა შორის, ამ ქალაქმა მსოფლიოს მისცა სამი გამოჩენილი ადამიანი: ლუჩანო პავაროტი, ჯორჯიო ანელი („ფიატის“ დამაარსებელი) და პროფესორი ანდრეა ჯენაზანი.

ანდრეა გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების და ევროპის გინეკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტია. ამ საზოგადოებების ეგიდით რეგულარულად იმართება უმაღლესი დონის საერთაშორისო კონგრესები.

თბილად მინდა გავიხსენო ანდრეა ჯენაზანის უჭკვიანესი მეუღლე – ტესი, რომელიც წარმატებული მეღვინეა, ჰექტრობით ზვრები აქვს ტოსკანაში.

ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან პროფესორი გამალ სერური – ეგვიპტის პირველი მეან-გინეკოლოგი, მეან-გინეკოლოგთა საერთაშორისო ფედერაციის (FIGO) ყოფილი პრეზიდენტი და მისი მეუღლე მიშო.

აქვე გავიხსენებ წარმატებულ ქართველ ექიმს, ბავშვთა ბრწყინვალე კარდიოქირურგს ლადო მესხიშვილს, უნიჭიერს ადამიანს, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდა. ის, სამწუხაროდ, ახლახან გარდაიცვალა.

ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტსაც, რომ ყველა ხსენებულ სახელგანთქმულ პირს, მამაკაცისთვის, ჩემი აზრით, ყველაზე ფასეული რამ – ფაქიზი იუმორის გრძნობა ახასიათებს.

დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი ჩემი მეგობრების ჩამოთვლას, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ძალიან შორს წამიყვანს, და მეორე, ვშიშობ, არ გამომრჩეს ვინმე, ძალიან ღირსეული, მაგალითად, ისეთები, როგორებიც არიან, პროფესორი ვიქტორ გომელი, შესანიშნავი სპეციალისტი, კანადაში პირველი ინვიტროს ავტორი, პროფესორი ანჯე მილევიჩი, პოლონეთის ენდოკრინოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი და სხვები. ასეთ ადამიანებს უკავშირდება ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი სამედიცინო, სამეცნიერო და ცხოვრებისეული თავგადასავლები და წარმატებანი.

2017 წელს ჩემი 75-ე წლის იუბილეს აღსანიშნავად საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია ჩავატარეთ, სადაც მოვიწვიე ჩემი მეგობრები უცხოეთიდან. ზოგიერთი სხვა დროსაც იყო ნამყოფი საქართველოში, ჩემთან, სტუმრად. თავისთავად, კონფერენცია ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა უმაღლესი რანგის მეცნიერების მონაწილეობით, მაგრამ, ამავდროულად, მე ვიყავი ძალიან ბედნიერი, რომ ჩემი მეგობრები მეუღლეებთან ერთად იყვნენ ჩემ გვერდით.

საზოგადოებისთვის სენსიტიური თემები – ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანია

ამ საკითხებზე ხშირად მეკითხებიან აზრს მე, პირველ რიგში, როგორც ექიმს და როგორც კაცს, რაზეც ცალსახა შეხედულება მაქვს, რომელიც, შეიძლება, მკვეთრად განსხვავდებოდეს სპეციალისტების უმრავლესობის შეხედულებებისგან.

ეს თემა, მეტ-ნაკლებად მეხება, როგორც ექიმს, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოში სექსოლოგიის განვითარების საკითხებზე. მით უფრო, რომ ჰომოსექსუალიზმი თავისი არსით ისედაც იყო და არის საყურადღებო საკითხი როგორც მედიცინის, ასევე საზოგადო კუთხით.

ჩემი აზრით, ჰომოსექსუალიზმი არ არის ნორმა და ჰომო-

სექსუალები არიან ფსიქიკურად არასრულყოფილი ადამიანები. თუმცა დღეს მიდის ცხარე პროპაგანდა იმაზე, თითქოს ისინი ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანები იყვნენ. სამწუხაროდ, ეს არის დარღვევა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ჰომოსექსუალიზმი, ძირითადად, მაინც ფსიქიკის, ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგიისგან გამოწვეული შედეგი მგონია, თუმცა ეს თავის ტვინის მკვლევარი სპეციალისტების საქმე უფროა, ვიდრე ჩემი, როგორც გინეკოლოგისა და რეპროდუქტოლოგის. მიმაჩნია, რომ მათ სჭირდებათ მკურნალობა. დღესდღეობით საკითხი ასე არ დგას, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ცივილიზაცია მივა იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ტიპის ავადმყოფებს უნდა უმკურნალონ.

8 წლის განმავლობაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მრჩევლად ვმუშაობდი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომიტეტის წევრი ვიყავი. შეხვედრები იმართებოდა ძირითადად ჟენევაში. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირი ინგრევა და, როგორც უკვე ვთქვი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას აინტერესებს, რა სიტუაციაა საბჭოთა ქვეყნებში კონტრაცეპციის, ოჯახის დაგეგმვის, აბორტის კუთხით. ამ მიმართულების სპეციალისტი მე ვიყავი, კონტრაცეპცია ჩემი დანერგილი იყო საბჭოთა კავშირში, რის გამოც ხუმრობით „მისტერ კონტრაცეპციას“ მეძახდნენ და ჩემს რეკომენდაციებს ყურადღებით უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ერთ ლექციაში მიხდიდა 1200 დოლარს, იმ შემთხვევაში, თუკი დარბაზში 250 კაცი იჯდებოდა. ჩემს ლექციებზე 250 კი არა, მახსოვს, საკრამენტოში იმდენი ხალხი მოვიდა, პოლიცია აკავებდა შემომსვლელებს. შვიდ-ნახევარი ათასს მიაღწია აუდიტორიის მსმენელმა.

ამ წარმატებული ლექციების ციკლის მიმდინარეობისას შემომთავაზეს ხომ არ იმუშავებთ ქალის უფლებების დაცვის კუთხითო. დავთანხმდი და ოთხი წელიწადი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე ვკითხულობდი ლექციებს. შემდეგ შემომთავაზეს სქესობრივ უმცირესობათა ლობისტობა. წარმოიდგინეთ, რომ ამ კუთხითაც ჩავატარე ლექციები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რადგან ახლაც მიმაჩნია და მაშინაც ასე ვფიქრობდი, რომ ეს იყო უდიდესი პრობლემა და ამ პრობლემას არა სტიგმატიზება, არამედ მეცნიერული შესწავლა, ამ ადამიანებს კი ყურადღება და შესაბამისი ნებაყოფლობითი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია აქტიურად მედგა გვერდით. მე კი ჰომოსექსუალისტების უფლებებთან დაკავშირებული ყველა ლექციის ბოლოს ვამბობდი, რომ ჩემი ლექციების შინაარსი იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პოზიცია. მე ვარ მათი წარმომადგენელი, თუმცა ორგანიზაციის ზედმეტად ლიბერალურ პოლიტიკას ამ კუთხით არ ვემხრობი, რადგან გახლავართ ჩვეულებრივი მამაკაცი და არ ვიზიარებ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების სქესობრივი მიდრეკილებების პათოსსა და იდეოლოგიას-მეთქი.

ერთ მშვენიერ დღეს პროგრამის უფროსმა დამიბარა. გულმა რეჩხი მიყო. ვიფიქრე: ახლა, ალბათ, მეტყვიან კარგად ბრძანდებოდეთ, თქვენნაირი შეხედულების სპეციალისტი ამ საქმეში არ გამოგვადგებაო. ამ განწყობით შევედი პროგრამების ხელმძღვანელის კაბინეტში. სხვადასხვა საკითხზე რომ ვისაუბრეთ, გამომშვიდობებისას თავად მე ვუთხარი, ასეთი „ცოდვა“ მადევს-მეთქი. ხელმძღვანელს გაეღიმა და მითხრა: ჩვენ ყველაფერი ვიცით. სხვათა შორის, მივესალმებით თქვენს თავისუფლებას, რომ თამამად გამოხატავთ პოზიციას, ეს თქვენი უფლებაა და დასძინა, მადლობელი ვართ, შესანიშნავად რომ იცავთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინტერესებს და პოლიტიკას მაშინ, როცა თავად განსხვავებული მოსაზრებები გაქვთო.

ასეთი დამოკიდებულება მაქვს ჰომოსექსუალიზმის მიმართ დღესაც. მიმაჩნია, რომ ისინი კი არ უნდა გავრიყოთ ან მოვიკვეთოთ, არამედ მეთოდოლოგიურად, თანმიმდევრულად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს. მედიცინამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ასეთ ადამიანებს. ცხადია, ეს არის საზოგადოების

პრობლემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამაზე თვალის დახუჭვა და მით უფრო, წახალისება, კარგს არაფერს მოიტანს, ადამიანთა მოდგმის გადაჯიშების, გაუკუღმართების, დამახინჯების და ბოლოს ამოწყვეტის გარდა. არ ვუტრირებ. მე, როგორც რეპროდუქტოლოგი, ამას თამამად ვაცხადებ ახლა, როცა ჩემი ეს შეხედულება „რევოლუციურად“ შეიძლება ჟღერდეს...

აქვე მინდა, ყურადღება დავუთმო საზოგადოების კიდევ ერთ მტკივნეულ და პრობლემურ საკითხს. ეს არის ნარკომანია.

ჩემი შეხედულება აქაც განსხვავებულია.

ნარკომანია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განიხილება, როგორც მძიმე დანაშაული. ყურადღება მიაქციეთ, მე ვსაუბრობ ნარკომანებზე და არა ნარკოდილერებზე.

ვფიქრობ, რომ ნარკომანები არიან ქრონიკული ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მედიკოსების დახმარებას. ესენი ისეთი ტიპის პაციენტები არიან, რომელთა განკურნება თითქმის შეუძლებელია. განსაკუთრებით იმ ადამიანებისა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს. მათთან ბრძოლა არ არის ღირსეული საკითხი. მათ არ უნდა სჯიდნენ და ასამართლებდნენ. მათ უნდა დაეხმაროს არა მხოლოდ სამედიცინო სექტორი, არამედ სახელმწიფო, რომელიც უნდა ზრუნავდეს მათ დაკმაყოფილებაზე ნარკოტიკებითა და სხვა შესაბამისი მედიკამენტებით. ნარკომანია, ჩემი აზრით, უნდა გახდეს ლეგალური სახელმწიფო დონეზე, ხოლო ნარკომანებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სახელმწიფოსგან.

ე. წ. მსუბუქი ნარკოტიკი, როგორიცაა მარიხუანა, ლეგალიზებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. სატელევიზიო გამოსვლებისას არაერთხელ მითქვამს ეს, გამომიჩენია ინიციატივა ლეგალიზაციის თაობაზე, თუმცა ყოველთვის უარყოფითი რეაქცია მოჰყოლია ამას. არაერთხელ კინაღამ ჩამქოლეს, მაგრამ კვლავ გავიმეორებ: ნარკომანია ლეგალიზებული უნდა იყოს. ეს კრიმინალურ ვითარებას შეამსუბუქებს, თან ცხოვრებას გაუადვილებს ამ მძიმე ავადმყოფებს.

მედიცინის მტკივნეული საკითხები

ერთი-ერთი მტკივნეული თემაა მედიცინის კომერციალიზაცია. კომერციალიზაცია ვლინდება რეკლამაში. რეკლამა კი – ინფორმაციის მიწოდება არ არის, რეკლამა არის რეკლამა. არავინ კრძალავს რეკლამას, მაგრამ, კომერციალიზაციას თუ გავითვალისწინებთ, ეს გახლავთ სწორედ ის რეკლამა, როცა ადგილი აქვს წამლის, ე.წ. გაპიარებას. ამის გაკეთება არ შეიძლება. წამლის რეკლამირება უნდა მოახდინოს ექიმმა.

კომერციალიზაციის მეორე ფორმაა საავადმყოფოს რეკლამა. მიმაჩნია, რომ ეს სირცხვილია. სირცხვილია, ტელევიზიით ყოველ მეორე დღეს აცხადებდე: შემომხედეთ რა კარგი ექიმი ვარო. ეს არის სწორედ კომერციალიზაცია, რომელიც, მე ვიტყოდი, ჯობნის დღეს სამედიცინო ნამუსს. როცა ექიმები ამბობენ, რომ აქვთ საოცრად წარმატებული შედეგები და მიღწევები, მინდა მათ შევახსენო: საქართველოში უშვილო ქალების კონტინგენტიდან, რომლებიც მოდიან ჩვენს კლინიკაში და რასაც ვუყურებდი ჟორდანიას ინსტიტუტში 35 წლის განმავლობაში, დაახლოებით 12% ორსულდება ისე, რომ ჩვენ, პრაქტიკულად, არაფერს არ ვუკეთებთ. დაახლოებით, 18% ჭარბწონიანი ქალია, რომლებიც ორსულობას აღწევენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც წონაში დაიკლებენ.

ჩემთვის, ზოგადად, ინ ვიტრო განაყოფიერება კი არაა მთავარი, ჩემთვის მთავარია, ქალს რომ ეტყვი: არ გჭირდება მკურნალობა, ადექი და წადი.

ყველაზე უღირსი საქციელია, როცა ქალი თავისით დაორსულდება და ეტყვი, რომ შენ გაუკეთე ინ ვიტრო განაყოფიერება ან უმკურნალე ძვირად ღირებული ენდომეტრიოზი.

ბევრი აკეთებს ასე, მაგრამ ღმერთი ხომ არსებობს?!

უნდა ვაღიარო: სუროგაცია პირველმა მე ვახსენე საქართველოში იმიტომ, რომ ინ ვიტრო განაყოფიერებას მოჰყვა ეს საჭიროება, თუმცა პირადად მე, ამდენი ხნის ექიმი, მომხრე ვარ მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციისა. არასდროს არ ვყო-

ფილვარ ფულით დაინტერესებული სუროგაციის მხარდამჭერი. სუროგატი უნდა იყოს და, დედა, ბიძაშვილი, ვისაც შეუძლია და ხელს უწყობს ჯანმრთელობა. ეს უნდა დაკანონდეს სახელმწიფო დონეზე. არის ასეთი კანონი მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში.

ვინც არ იცის, შევახსენებ, რა ხდება ინ ვიტრო განაყოფიერების დროს: მაშინ, როცა ბუნებრივი გზით არ ხერხდება ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური მასალის შეხვედრა, ინ ვიტრო განაყოფიერებით, გენეტიკური მამისა და გენეტიკური დედისგან ვიღებთ საწყისს და ხელოვნურად, სტერილურ პირობებში ვახვედრებთ ერთმანეთს. თუ მოხდა განაყოფიერება, გენეტიკური დედისა და მამის საწყისი გადაგვაქვს გენეტიკური დედის საშვილოსნოში. იქ ხდება კულტივაცია და, ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს, შედეგად იბადება ბავშვი, ახალი სიცოცხლე, რომელიც ახდენს ოჯახის კონსოლიდაციას. რომელი რელიგია შეიძლება იყოს ამის წინააღმდეგი? ფაქტობრივად, ღმერთის მიერ მოცემული საშუალებებით ვეხმარებით ბუნებას.

უშვილობის სტრუქტურაში ინ ვიტრო განაყოფიერების ხვედრითი წონა დახლოებით 38% იყო წლების განმავლობაში. თუნდაც სწორედ ინვიტროგანაყოფიერების ეგზალტაციამ მიგვიყვანა არაპროფესიონალიზმამდე.

ნორმალურ კლინიკებში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხედავ: კი არ დაიკლო პროცენტმა უშვილობის მკურნალობის ტრადიციული მეთოდებით, არამედ გაიზარდა, ხოლო იმ კლინიკებში, სადაც კომერციალიზაცია არის პრიორიტეტი, სადაც არის სქესობრივად გარდამავალი ტრიქომონიაზი, თანაც წყვილი უშვილოა, რომ უმკურნალებ და დაორსულდება, ეს ეწერება ინ ვიტრო განაყოფიერებას და ითხოვენ შესაბამის გასამრჯელოს.

ამას ვებრძვი მე.

ბოლო 50 წელიწადია, უშვილობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი არის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები. ამ დაავადებებმა წლების განმავლობაში ძალიან შეცვალეს კლინიკა.

ტრიქომონადაც და ჰონოკოკიც ძალიან შეეჩვია ანტიბიოტიკებს, რეზისტენტული გახდა. მათი კლინიკური გამოვლინებანიც ერთნაირია და წყვილი, განსაკუთრებით მამაკაცი თავისი ანატომიური თავისებურებებით, ვერ ხვდება, რომ არის ავად. ექიმმა პაციენტს კეთილსინდისიერად უნდა უთხრას ყველაფერი.

უდიდესი დეფიციტია სწორედ კეთილსინდისიერი ექიმებისა. რა ვქნა, ასეთი ვარ. ვერ ვეგუები იმას, რომ ადამიანს არ სჭირდება ინ ვიტრო განაყოფიერება და ექიმი ატყუებს.

ჩვენს ინსტიტუტში დღესასწაულია, როცა ჩვენი პაციენტი თავისით ორსულდება.

მას შემდეგ, რაც 1958 წელს პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ თბილისში დააარსა უშვილობის ინსტიტუტი, ინსტიტუტის მედიკოსთა ხელშეწყობით, მათ შორის, ხელოვნური განაყოფიერებით, საქართველოში დაიბადა 80 000-მდე ახალშობილი. ახლა 11 თუ 12 კლინიკა მუშაობს ამ მიმართულებით.

მე, ზოგადად, კრიტიკულად ვუყურებ ასეთი პროფილის სამედიცინო დაწესებულებების მომრავლებას და ათეულობით კლინიკას შორის მხოლოდ რამდენიმე მიმაჩნია სანდო და პროფესიონალურ დაწესებულებად. დანარჩენები რეკლამებით მუშაობენ და არასწორ ინფორმაციებს აწვდიან მოსახლეობას თავიანთი საქმიანობის შესახებ. რა თქმა უნდა, აქვთ შედეგები, მაგრამ ეს, ცხადია, არ უხსნით პასუხისმგებლობას. ეს არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ მორალური უფლება, ასეთი სირთულის საქმეს მოჰკიდონ ხელი.

ჟორდანიას ინსტიტუტში ამ საკითხს ძალზე ფაქიზად ვუდგებოდით – არასდროს მიგვაჩნდა, რომ ინ ვიტრო განაყოფიერება ფულის კეთების სარფიანი საშუალებაა.

პანდემია

საერთოდ, მედიცინას დღეს მძიმე დრო უდგას. დაახლოებით ისეთი, როგორიც იყო ასი წლის წინათ, როცა იწყებოდა ვირუსული დაავადების – „ისპანკის“ გავრცელება. როგორც იცით, მაშინ 500 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა და 50 მილიონი გარდაიცვალა.

ტუბერკულოზი, შავი ჭირი და დიზენტერია იმ ხანებში განსაკუთრებით აგრესიული ინფექციური დაავადებები იყო, ტუბერკულოზი მუსრს ავლებდა კაცობრიობას და გამოიგონეს ანტიბიოტიკები – პენიცილინი და სტრეპტომიცინი, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, იხსნა მსოფლიო.

დღეს ბაქტერიებთან ბრძოლა ძალიან გართულდა. „შეეჩვივნენ“ ბაქტერიები ანტიბიოტიკებს, დაიკარგა რეაქტიულობა. დღესდღეობით ინფექციებზე საკმაოდ ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები მოქმედებენ, რომელთა ეფექტი თითქმის ქიმიოთერაპიას უტოლდება. იწამლება ადამიანების ორგანიზმი და, თუ არ განისაზღვრა მგრძნობელობა, ანტიბიოტიკების მოქმედება აზრს კარგავს.

რაც შეეხება ვირუსების ეფექტურ სამკურნალო პრეპარატებს, ისინი, ჯერჯერობით, შექმნილი არაა. არსებობს ზოგიერთი ვირუსის ვაქცინა, მაგალითად, წითელას, ყივანახველას, წითურას, ჩუტყვავილას საწინაღმდეგო ვაქცინები. ამ ვირუსებმა თუ კვლავ განიცადეს მუტაციები – და ეს მოსალოდნელია – კორონავირუსზე უარესი რამ მოხდება.

უნდა შეიქმნას ახალი ვაქცინები, არადა, ვაქცინის შექმნას წლები სჭირდება.

როგორც ირკვევა, თავად კორონავირუსი სრულიად არ არის ახალი ვირუსი. ის აღმოაჩინეს გასული საუკუნის 20 თუ 30-იან წლებში; აღწერილი იქნა შტამიც, რომელსაც შეიძლებოდა გამოეწვია მისი „გაღვიძება“. მოსალოდნელი იყო, ის ცხოველისგან გადასდებოდა ადამიანს და მოხდა სწორედ ის მოსალოდნელი რამ – ვირუსი, როგორც ჩანს, მუტირდა ცხოველის ორგანიზმში და პირველად გამოვლინდა 2003 წელს. ამ მუტირებულ ვირუსს დაერქვა „ქათმის ვირუსი“, იგივე „ქათმის გრიპი“. „ქათმის ვირუსი“ ადამიანზე ისეთი სიძლიერით არ გავრცელებულა და მან მედიცინის ისტორიაში ჩაიარა ამავე სახელწოდებით, მაგრამ გაჩნდა ვირუსი Sars-2 და 2008 წელს ეპიდემია „ღორის გრიპის“ სახელწოდებით დაიწყო. იხოცებოდნენ ღორები, ვირუსი გავრცელდა ადამიანებშიც, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაშინაც იყო ამ ვირუსით ადამიანთა გარდაცვალების შემთხვევები. ამას მოჰყვა აფრიკული „ებოლა“ ვირუსი. 2012 წელს „აქლემის გრიპმა“ შემოუტია მსოფლიოს. ისიც Sars-2-მა გამოიწვია და გადაეცემოდა აქლემების საშუალებით. „აქლემის“ ვირუსს დიდი მოკვდავობა არ გამოუწვევია. როგორც ჩანს, ადამიანებს ნელ-ნელა გამოუმუშავდათ იმუნიტეტი ამ ვირუსის საწინააღმდეგოდაც და „აქლემის“ ვირუსიც ჩაცხრა.

თუმცა ვირუსები მუტაციას აგრძელებდნენ და აი, გაიარეს ჩინეთში ქამელეონების თუ გიგანტური ხვლიკების და ღამურების ორგანიზმი, განიცადეს ტრანსფორმირება და გაჩნდა Sars-2-ის ვირუსის შტამი – კორონა ვირუსი, რომელიც აღმოჩნდა ადამიანისთვის საკმაოდ კონტაგიოზიური, თუმცა ვფიქრობ, პანიკა არაა საჭირო, რადგან ვირუსი კონტაგიოზიურია და აზიანებს განსაკუთრებით ფილტვებს, ხანში შესულებისთვის საშიშროებას წარმოადგენს და მაღალი მოკვდავობის სიხშირითაც გამოირჩევა.

გარკვეული ხნის წინათ კორონავირუსი თავადაც გადავიტანე. განსაკუთრებულ სიმპტომებს არ ვგრძნობდი, მაგრამ სამუშაოზე მაინც არ მივლია – ვერიდებოდი თანამშრომლებს.

როგორც ლიტერატურიდანაც ცნობილია და პრაქტიკული დაკვირვებითაც ცხადი ხდება, კორონავირუსის დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს – განსაკუთრებით ბავშვებში და, ჩემი აზრით, ლეტალური, სიკვდილობის შემთხვევების მიზეზი თავად ვირუსი კი არ არის, არამედ ვირუსის მიერ გამოწვეული

კოაგულოპათია. ამას მოჰყვება გართულებები, რაც შემდეგ გარდაცვალების მიზეზი ხდება.

წელს, ჩემი დაბადების დღის შემდეგ, ცუდად ვიგრძენი თავი. მქონდა ქოშინი, სუნთქვის უკმარისობა, 50 ნაბიჯის გავლაც კი მიჭირდა... აღმოჩნდა, რომ ფილტვებში სითხე მქონია. პირველ რიგში, იფიქრეს, კოვიდი ხომ არ არისო. კოვიდი რომ გამოირიცხა, მერე გულზე მივიტანეთ ეჭვი. მივედი საუკეთესო სპეციალისტთან, ექიმ-კარდიოლოგთან, ჩემს მეგობარ პაატა ქავთარიასთან. დამაწვინეს ბოჭორიშვილის კლინიკაში, სადაც იკვლევდნენ ფილტვებში სითხის გამომწვევ პრობლემას. ვირუსი გამოირიცხა, გული დამაკმაყოფილებლად მუშაობსო.

ახლა უკეთ ვარ. ასაკის შესაბამისად, ხან კარგად, ხან არაუშავს, მაგრამ არასდროს ყოფილა შემთხვევა, დამზარებოდა პაციენტისადმი ყურადღების გამოჩენა ან გამქრობოდა პროფესიაში სიახლის დანერგვის სურვილი.

ამას წინათ ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა ბლიცინტერვიუს დროს მკითხა: დღეს უფლის წინაშე რომ წარსდგეთ, რას შესთხოვდით მას? რაზეც დაუფიქრებლად ვუპასუხე: ცოდვების მიტევებას; ჩემი ქვეყნის ბედნიერებას და მშვიდობას მთელ მსოფლიოში; რეპროდუქტოლოგიისა და ჟორდანიას ინსტიტუტის კეთილდღეობას და ეს აბსოლუტურად გულწრფელად ნათქვამი იყო, რადგან მთელი ცხოვება ამ იდეას ვემსახურებოდი.

თქვენი
არჩილ ხომასურიძე

მეგობრები არჩილ ხომასურიძის შესახებ

გიორგი ცერცვაძე, პროფესორი: არჩილ ხომასურიძეს შემთხვევით დავუმეგობრდი მოსკოვში. მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა კაცი, რომ გაევლო პრაქტიკა მეანობაში. მან მითხრა: გიორგი გიორგის ძევ, როგორც თანამემამულემ თანამემამულეს, მინდა გაგიმხილოთ, რომ არ მაინტერესებს მეანობა, მე მაინტერესებს გინეკოლოგია და, კერძოდ უნაყოფობა, არადა, თქვენთან გამომგზავნეს, რომ ერთი წლით პრაქტიკა გავიარო მეანობაში. მე ვკარგავ ერთ წელიწადს.

მაშინვე შევატყვე, რომ ის ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდა კაცი იყო. ინსტიტუტში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მოკლე დროში ბევრ რამეს მიაღწია, ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. ინსტიტუტის დირექტორსაც ძალიან უყვარდა. მეც მომდიოდა ხმები იმის შესახებ, რაოდენ ნიჭიერი ახალგაზრდა იყო არჩილი და რა პერსპექტივები შეიძლებოდა ჰქონოდა მას მომავალში. მე, რა თქმა უნდა, მიხაროდა ეს. მით უფრო, რომ მის წარმატებებში ჩემი პატარა წვლილიც იყო.

ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

არჩილი მიდიოდა თავისი არჩეული გზით, მიაღწია კიდევაც ბევრს თავის პროფესიაში და, როცა თბილისში დაბრუნდა, დიდი წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდა. მართალია, საქმის მკეთებელ ადამიანს სჭირდება ცოდნა, განათლება, რაც არ აკლდა, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია ძლიერი ნებისყოფა, მიზანდასახულობა და ეს შეძლო არჩილმა. მოგვიანებით, როცა ინსტიტუტის დასათვალიერებლად მივედი, გაოცებული დავრჩი, რაოდენ ინტელექტუალურად, პროფესიონალურ დონეზე მიუდგა საქმეს და მისცა მას სწორი მიმართულება – კოლექტივთან დამოკიდებულებაში, პროფესიონალურ საკითხებთან დაკავშირებით, სამსახურებრივ დატვირთვასთან დაკავშირებით და მოკლე დროში ყველა ამოცანა, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, შეასრულა, გამოასწორა ხარვეზები და არსებულ ვითარებას დაამატა თავისი ცოდნა და ინსტიტუტი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

არჩილი დადიოდა კონფერენციებზე, კონგრესებზე სხვადასხვა ქვეყანაში – ევროპაში, ამერიკაში, აფრიკის ქვეყნებში. ეს მისთვის სასარგებლო იყო – მისი ცოდნა მდიდრდებოდა ყველა ასეთი მივლინებისას.

ის გახდა ძალიან საინტერესო, როგორც მეცნიერი და როგორც ადამიანი. ინტელექტუალური თვალსაზრისით, ის ყოველთვის იყო მაღალ დონეზე, იყო განათლებული. იმის მიუხედავად, რომ ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი ისედაც ცნობილი იყო, მან თავისი შრომით და პროფესიონალური ღირსებებით, ის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. არჩილმა შექმნა რეპროდუქციული სამსახურები რეგიონებში, რისი საშუალებითაც მას ჰქონდა ობიექტური სურათი შობადობასთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ამ მონაცემებით მისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოში სათანადო დონეზე არ იდგა ბავშვთა გინეკოლოგია. პათოლოგიების დასაწყისი სწორედ აქედან მოდიოდა და არჩილმა მიზნად დაისახა ამ მდგომარეობის გამოსწორება და მაღალ დონეზე აიყვანა ეს მიმართულება. საქართველო ამ კუთხითაც უფრო მაღლაც კი იდგა მოსკოვის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტთან შედარებით. როცა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები სტუმრობდნენ, გაოცებული აღნიშნავდნენ, რომ არჩილმა შეუძლებელი შეძლო.

მას ყოველთვის უხაროდა, როცა ვინმე რაიმე სასიკეთო საქმეს აკეთებდა, და მე, ჩემი მრავალწლიანი მოღვაწეობის გამოცდილებით, შემიძლია ვთქვა, რომ არჩილ ხომასურიძე ძალიან ჰგავს იოსებ ჟორდანიას – მასაც უხაროდა, როცა ადამიანი წარმატებას მიაღწევდა.

არჩილი ძლიერი ენდოკრინოლოგია და ძალიან ძლიერი კლინიცისტი. იქიდან გამომდინარე, რომ რეპროდუქტოლოგიური კლინიკის წარმატებული საქმიანობა ენდოკრინოლოგიის გარეშე შეუძლებელია, არჩილ გიორგის ძემ შეძლო და მთელი სამსახური ამ მიმართულებით უმაღლეს დონეზე აიყვანა.

თენგიზ ვარდიშვილი, მეგობარი: ჩვენ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ.

არჩილი ბრწყინვალედ თამაშობდა კალათბურთს. იყო საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი და საბჭოთა კავშირის სპარტაკიადებში არაერთგზის გამარჯვებული. კალათბურთის გუნდის კაპიტანიც იყო ერთ-ერთ ოლიმპიადაზე.

ინსტიტუტიც წითელ დიპლომზე დაამთავრა და მიჰყვა მედიცინას, თორემ ჩემი თვალითაც მინახავს და მსაჯებისგანაც მომისმენია, რომ მისგან ბრწყინვალე სპორტსმენი დადგებოდა.

ძალიან მორიდებული, შრომისმოყვარე და საკუთარი თავისადმი მომთხოვნი იყო ყოველთვის. ახლაც ასეა – მამის ხასიათი გამოჰყვა.

კარგი გარეგნობა ჰქონდა. კაცები ვართ და კაცის სილამაზეზე არ უნდა ვილაპარაკო, მაგრამ გამორჩეული იყო გარეგნობით, ძალიან მოსწონდათ გოგოებს, თუმცა თვითონ არ იყო ქალების მადევარი ბიჭი. რაღაცნაირი მკაცრი ხასიათი ჰქონდა.

ფრიდონ თოდუა, აკადემიკოსი: ისეთ პიროვნებაზე, როგორიც არჩილია, რთულია საუბარი, რადგან, იმდენი რამ აქვს გაკეთებული, ვფრთხილობ, რამე არ გამომრჩეს.

ის მოსკოვში ძალიან პოპულარული იყო. მოსკოვს როცა ვამბობ, ვგულისხმობ მთელ სსრკ-ს, რადგან, თუ მოსკოვში იყავი ცნობილი და პოპულარული, ე. ი. ასე იყავი მთელ სსრკ-ში.

ის ერთ-ერთი პიონერია რეპროდუქტოლოგიის განვითარებაში და ჩემთვის მოულოდნელი იყო, როცა გავიგე, რომ არჩილი თბილისში გადადიოდა ინსტიტუტის დირექტორად – უდიდესი მკურნალი-ექიმი, რომელმაც ახალი მიმართულებები განავითარა რეპროდუქციულ გინეკოლოგიაში, ბევრი ოჯახი გააბედნიერა მკურნალობის მეცნიერული მეთოდებით, რომელიც მან დანერგა საქართველოში.

იყო ძალიან კეთილი. სიკეთეს თესავდა ყველგან და ასეა დღემდე. ვამაყობ, რომ ასეთი ბრწყინვალე პიროვნება არის საქართველოში და მოღვაწეობს აქ.

საოცრად დაუღალავია და მაძიებელი. მიაღწევს რაღაცას, ახალს ეძებს, ისევ აკეთებს საქმეს და მიდის წინ და წინ – გამარჯვებისკენ.

ნუგზარ რუხაძე, პუბლიცისტი: ქართული მედიცინა რამდენიმე დიდ ისტორიულ სახელს იცნობს და ამ დიდ სახელთა შორის არის იოსებ ჟორდანია, ქართული რეპროდუქტოლოგიის მამა, და რომ არა პროფესორ არჩილ ხომასურიძის ხანგრძლივი და ერთგული ძალისხმევა, ჟორდანიას დიდი და უნიკალური სამედიცინო მემკვიდრეობა ვერ იქნებოდა შენარჩუნებული. ამ ორი დიდი ქართველი მედიკოსის სახელს ერთმანეთს ვერ ვაშორებ. ისინი ბუნებრივად დგანან და ბუნებრივად მოიხსენიებიან ერთად.

არჩილ ხომასურიძის სამეცნიერო შემოქმედება, მისი პედაგოგიური მოღვაწეობა და მისი ყოველდღიური სამედიცინო, პრაქტიკული საქმიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს მომავალთან. მისი საქმიანობა უშუალოდ მოქმედებს იმაზე, რაც ჩვენთვის არის უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი – ეს არის ერის გამრავლება. ამაზე დიდი საქმე, ალბათ, არაფერი არ არის, თუ ღრმად დავფიქრდებით.

არჩილ ხომასურიძე თავისი პრინციპების ცხოვრებაში მკაცრად გამტარებელი კაცია. ის თავის პრინციპებს პატივს სცემს და არასდროს არ ღალატობს მათ. არჩილი არასდროს იხევს უკან და უშიშრად მიჰყვება იმას, რისიც სჯერა და რისიც სწამს და, ვინ იცის, ეს ხასიათის ის შტრიხია, რომელმაც მას საშუალება მისცა, ყოფილიყო ასეთი გამორჩეული პიროვნება ქართული მედიცინის წინსვლისა და განვითარების საქმეში. შექმნა კიდევაც საკუთარი კლინიკა – ახალი რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი“, რომლის ფარგლებში ის განაგრძობს თავისი იდეების განხორციელებას.

იმის მიუხედავად, რომ არ შექმნა საკუთარი ოჯახი, მან ძალიან ბევრ ქართულ ოჯახს, ბევრ მაგარ ქართველ კაცს გაასწრო და გადააჭარბა კიდევაც მათ თავდადებას, გაამრავლოს

ქართველი ერი. ათასობით ბავშვი არის მისი ხელშეწყობით დაბადებული.

რევაზ გაჩეჩილაძე, აკადემიკოსი: ჩემთვის, როგორც არაექიმისა და მხოლოდ და მხოლოდ მედიცინის მომხმარებლისათვის, არჩილ ხომასურიძე, უპირველესად, მეგობარია. მისი, როგორც ექიმის დახმარება, მე მინიმალურად დამჭირდა, ისიც ერთი-ორჯერ სისხლის საერთო ანალიზის მისაღებად, მაგრამ კარგად ვიცი, რომ საუკეთესო მკურნალია. რაც მთავარია, ის ბევრს ზრუნავდა და ზრუნავს საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის. მისი თავდაუზოგავი ბრძოლა გაუმართლებელი აბორტების წინააღმდეგ, ქალთა უშვილობის დასაძლევად არაპროფესიონალისთვისაც კი თვალნათელია და საქართველოს ყველა მოქალაქისათვის მოსაწონია. მისი მეცნიერული წარმატების შესახებ მოსმენილი მაქვს მისი ისრაელელი, რუსი და სომეხი კოლეგებისაგან და ეჭვი არ მეპარება მათ პირუთვნელობასა და ობიექტურობაში. მაგრამ, როგორც თავიდან ვახსენე, ჩემთვის არჩილი, უპირველესად, არის მეგობარი, ადამიანი, რომელთანაც შემიძლია ყველაფერზე გულახდილად და პირდაპირ ვისაუბრო, მოვისმინო მისი აზრი, ვეკამათო და, საბოლოოდ, ისევ მეგობრად დავრჩე. როდესაც მე ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს რაიმე სამედიცინო საკითხზე გვსურს კონსულტაციის მიღება, პირველად სწორედ არჩილის აზრი გვაინტერესებს და მისი აზრი ყოველთვის, ვიმეორებ, ყოველთვის, ერთადერთი და სწორი აღმოჩნდება ხოლმე.

თურმე არჩილი 80 წელს უახლოვდება. რა მიკვირს, მეც ახლოს ვარ ამ ასაკთან. მაგრამ ასაკი შენთვის, არჩილ, არაფერია... შენ ახლაც გეგმავ და ახორციელებ მომავლის პროექტებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ პროექტებს ხორცს შეასხამ, მათ შედეგსაც ნახავ და ჩვენც დაგვანახებ.

იცოცხლე დიდხანს, ჩემო აჩიკო!

ზურაბ აბაშიძე, პოლიტოლოგი: ჩემი გოგონა 2001 წელს გათხოვდა და რამდენიმე წელი პრობლემა ჰქონდა. მერე გადავწყვიტეთ, რომ მიგვემართა ისეთი კვალიფიციური ექიმისთვის, როგორიც ბატონი არჩილია – შესანიშნავი ექიმები, შესანიშნავი პერსონალი ჰყავს და ძალიან თბილად, კორექტულად, პროფესიონალურად დაიწყეს ამ თვალსაზრისით ზომების მიღება და დახმარება. გარკვეული დროის შემდეგ მათმა შრომამ შედეგი გამოიღო – ერთ მშვენიერ დღეს დარეკეს და გვითხრეს, რომ სასიკეთო ამბები ხდებოდა და ჩემი შვილიშვილებიც გაჩნდნენ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის არჩილ ხომასურიძეს ქართული მედიცინის წინსვლასა და განვითარებაში.

ანზორ თოთაძე, დემოგრაფი: ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარი არის დემოგრაფიული ვითარება და კაცი, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს, დასაფასებელია. ამ თვალსაზრისით, ასეთი გამორჩეული მოღვაწეა შესანიშნავი პიროვნება არჩილ ხომასურიძე, უდიდესი მეცნიერი და საუკეთესო ექიმი. წარმატებები და ახალი მიღწევები მინდა ვუსურვო საუკეთესო მეგობარსა და გამორჩეულ მედიკოსს.

რომან შაქარიშვილი, აკადემიკოსი: არჩილი მესვეურია და მესვეური არ შეიძლება იყოს ორდინარული. მან ნახა, თუ როგორი პრიორიტეტი უნდა იყოს ქალი და როგორ უნდა იბრძოლოს საზოგადოებამ ქვეყანამ და ერებმა იმისთვის, რომ ქალს ჰქონდეს ხელშეუხებელი, მოვლა-ნაპატრონევი დედობის პრეროგატივა.

აქ იბადება სწორედ რეპროდუქტოლოგია.

გავიხსენებ იოსებ ჟორდანიას 120-ე წლისადმი მიძღვნილ კონფერენციას, რომელიც ახლახან ჩატარდა. უამრავი სტუმარი მონაწილეობდა ამ კონფერენციაში. ეს არ იყო რაღაც გრანდიოზული მასშტაბების, მაგრამ ეს იყო დღესასწაული და დღესასწაული იყო ჟორდანიას სახელის კიდევ ერთხელ პატივისცემასთან დაკავშირებით.

არჩილი იყო ბედნიერი. მე ვფიქრობ, ეს ბედნიერება მან განიცადა უფრო მეტად, ვიდრე ამ კონფერენციის მონაწილე კირილე იოსების ძე ჟორდანიამ.

პროფესორი კირილე ჟორდანია მოსკოვში მოღვაწეობს. ის ძალიან ცნობილი გინეკოლოგ-ონკოლოგია. ის გახლდათ ამ კონფერენციის სტუმარ. მან ვერ დამალა აღტაცება იმის გამო, რომ ასეთი დიდი პატივი მიაგეს მის მამას – იოსებ ჟორდანიას იდეურმა მოწაფეებმა.

მე ვიცი, რომ არჩილის მიზანია იოსებ ჟორდანიას სახელის უკვდავყოფა, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. არჩილს აქვს ერთი დიდი ოცნება და ღმერთმა შეაძლებინოს ამის აღსრულება – ის ფიქრობს, ააღორძინოს იოსებ ჟორდანიას ჩანაფიქრის – ეს არის რეპროდუქტოლოგია. ამ საქმის „მონა“, მსახური და შემოქმედი არის არჩილ ხომასურიძე.

ლალი ფხალაძე, რეპროდუქტოლოგი, გინეკოლოგი, ინსტიტუტის კლინიკური დირექტორი: ბატონ არჩილს პირველად 1985 წელს შევხვდი, როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სანიტრად დავიწყე მუშაობა ჟორდანიას ინსტიტუტში. ამ დაწესებულებასთან ბავშვობიდან ახლო და თბილი ურთიერთობები მაკავშირებდა, რადგან ჩემი დედა ლიდა ფხალაძე წლების განმავლობაში ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი ექიმი იყო. დედა თავად იოსებ ჟორდანიამ მიიღო სამსახურში 1960 წელს.

80-იან წლებში სამედიცინო ინსტიტუტში ჩასარიცხად აუცილებელი იყო გქონოდა სამუშაო სტაჟი, ამიტომ ჟორდანიას ინსტიტუტში საკმაოდ ბევრი სანიტარი-აბიტურიენტები ვიყავით. ბატონი არჩილი ერთი წლის ჩამოსული იყო მოსკოვიდან. მკაცრი და მომთხოვნი იყო თანამშრომლების მიმართ. ყველას მისი ძალიან დიდი რიდი ჰქონდა და ჩვენც ვცდილობდით, პასუხიმგებლობით შეგვესრულებინა ჩვენი მოვალეობა.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1992 წლიდან, ჟორდანიას ინსტიტუტი ჩემი ნამდვილი ოჯახი გახდა. ძალიან საინტერესო ცხოვრება გვქონდა არჩილ ხომასურიძის ხელმძღვანელობით. ეს იყო ოქროს ხანა არა მხოლოდ ინსტი-

ტუტის, არამედ ქართული მედიცინის ისტორიაში. ლაპაროს-კოპიული და ინ ვიტრო ტექნოლოგიების დანერგვასთან ერ-თად ბევრი პროგრესული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდ-გა. ბატონი არჩილის მითითებით საქართველოში პირველად სწორედ ჟორდანიას ინსტიტუტში დაიწყო ქალთა სკრინინგი სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის პათოლოგიებზე. მისი დანერგილია, აგრეთვე, მედიკამენტური აბორტი მიფეპ-რისტონით. ბატონი არჩილი ახლა ცდილობს, ფართოდ დაინერ-გოს მისი გამოყენება უმტკივნეულო მშობიარობისთვის.

არჩილ ხომასურიძისთვის პრიორიტეტი იყვნენ ახალგაზრდე-ბი. ვსწავლობდით, ვიზრდებოდით პროფესიულად. განსაკუთრე-ბით მნიშვნელოვანი იყო დილის კონფერენციები, სადაც განვი-ხილავდით პაციენტების ისტორიებსა და თეორიულ საკითხებს. ბატონი არჩილის მონდომებით ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ხელი მიგვიწვდებოდა თანამედროვე სამედიცინო ლიტერატუ-რაზე, საერთაშორისო ჟურნალებზე, გვქონდა შესაძლებელობა, სტაჟირება გაგვევლო უცხოეთის კლინიკებში სრულიად უფას-ოდ. პირადად მე უნგრეთსა და შვედეთში ვიყავი მივლინებული.

ძალიან მიხაროდა და ვამაყობდი, რომ ბატონი არჩილი გან-საკუთრებულ პატივს სცემდა ჩემს დედას, ლიდა ფხალაძეს, როგორც პროფესიონალსა და წესიერ ექიმს, ანდობდა მას პა-ციენტებს. შემდეგ მეც დავიმსახურე მისი ნდობა, რაც დიდი პა-ტივი და პასუხისმგებლობა იყო და არის ჩემთვის.

2011 წლამდე განვაგრძობდით ნაყოფიერ და საინტერესო ცხოვრებას ვერაზე, ფილარმონიასთან, კოსტავას 43-ში, ვიდ-რე ინსტიტუტი გაიყიდებოდა. შემდეგ მოვლენები საბედისწე-როდ განვითარდა: ინვესტორებმა ბატონი არჩილი სამსახური-დან გაათავისუფლეს, რაც, მოგვიანებით ძალიან ინანეს. ისინი პროფესიით მშენებლები იყვნენ და არ ჰქონდათ ამ მიმართუ-ლებით ობიექტური ინფორმაცია...

მახსოვს ჩემთვის განსაკუთრებით პატივსაცემი ქალბატო-ნის, ჩვენი ლაბორატორიის ხელმძღვანელის ნანა კვაშილავას სიტყვები: „ლალი, თუ ბატონ არჩილს გაუშვებენ, იცოდე, ჟორ-დანიას ინსტიტუტი დაიღუპება“. მაშინ მეც ცხადად შევიგრძე-

ნი, რომ ბატონი არჩილის გარეშე „დასრულდებოდა ჟორდა-ნიას ინსტიტუტი“. სამწუხაროდ, გარკვეულწილად მართლები აღმოვჩნდით...

ინსტიტუტი, საბოლოოდ, ორჯერ გაიყიდა. ბოლო მფლობე-ლებმა ჟორდანიას ინსტიტუტის პრაქტიკულად ყველა ძველი თანამშრომელი გაათავისუფლეს და კლინიკასაც სახელი შე-უცვალეს...

დანაშაული იქნებოდა ქვეყნის წინაშე, რომ არ გვებრძოლა ინსტიტუტის ხელახლა აღდგენის, იმ იდეოლოგიისა და სულის-კვეთების შენარჩუნებისათვის, რაც ასე ძვირფასი იყო ყველა „ჟორდანიელისთვის“, საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის.

და ჩვენ ეს შევძელით ისევ არჩილ ხომასურიძის ხელმძღვა-ნელობით, მისი ავტორიტეტის და პოტენციალის გამოყენებით. ძალიან დიდი მადლობა მას ამისთვის. მადლობა ერთგულე-ბისთვის ქეთი ნატროშვილს, ნანა კვაშილავას და მისი ლაბო-რატორიის თანამშრომლებს, გოგი ნასარიძეს, ექიმებს: ნინო რაჟამაშვილს, თინა ფირცხალავას, ნინო დათოშვილს, ლუდა ბარბაქაძეს, ირინა მარღანიას და მთელ პერსონალს, ადამიან-ებს, რომლებიც გაერთიანდნენ იმ რთულ პერიოდში კეთილშო-ბილური იდეის გარშემო.

არჩილ ხომასურიძემ რეპროდუქტოლოგიის ეპოქა შექმნა საქართველოში. ის ფუძემდებელია დარგისა, რომელიც დღეს ასეთი პოპულარული და მოთხოვნადია მთელ მსოფლიოში.

იმდენად დიდია ბატონი არჩილის წვლილი ინსტიტუტის და რეპროდუქტოლოგიის განვითარებაში, რომ ხშირად ვფიქრობ-დი, ლოგიკურად და დამსახურებულად ჟორდანიას ინსტიტუტს არჩილ ხომასურიძის სახელიც უნდა ერქვას-მეთქი. ეს სურვი-ლიც ამიხდა. დღეს ჩვენი ინსტიტუტი პროფესორი ჟორდანიას და პროფესორი ხომასურიძის სახელს ატარებს.

მწამს, რომ არჩილ ხომასურიძის ღვაწლს თაობები კიდევ უფრო მეტად დააფასებენ. ბატონი არჩილი კი დიდხანს უნდა იყოს ჯანმრთელად და მხნედ – ის სჭირდება ქართულ მედიცი-ნას, რეპროდუქტოლოგიას, საქართველოს...

* * *

საბედნიეროდ და საამაყოდ, ჩვენს ქვეყანას ჰყავს ადამიანები, რომელთა მოღვაწეობაც ხალხის სიყვარულითა და კეთილდღეობით არის შთაგონებული. ისინი ჩვენს შორის არიან და უშურველად გასცემენ სიკეთეს.

ქვეყნისა და საქმის ასეთი ამაგდარია პროფესორი არჩილ ხომასურიძე, რეპროდუქტოლოგიის ფუძემდებელი.

2022 წლის 11 თებერვალს ბატონი არჩილის მე-80 წლის იუბილეა. ჩვენი მოკრძალებული მილოცვა არის გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება, ამავდროულად, სამადლობელი სიტყვა მისი ფასდაუდებელი ღვაწლისთვის, ერთგულებისთვის ყველას მიმართ, ვისთანაც პროფესიული თუ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

მისი მოღვაწეობა არის საგანძური მეცნიერებისთვის, საუკეთესო გზამკვლევი უსასრულო შესაძლებლობებისთვის, მაგალითი უდიდესი შრომისა და სიმტკიცის. მისი ჰუმანურობა და პროფესიონალიზმი არის ნიმუში, როგორ უნდა იდგე მიზანდასახულობის, პროგრესის, სიცოცხლის სადარაჯოზე. ასეთ ცოდნასა და გამოცდილებასთან ზიარება ყველასთვის ჯანსაღი წარმატების საწინდარია. ყოველივე ამის გამო, არჩილ ხომასურიძის საამაყო, დამსახურებულ რეგალიათა შორის, უდიდესი ჯილდო უბადლო რეპუტაცია და ხალხის სიყვარულია.

ბატონო არჩილ, გულითადად გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და უშრეტ ენერგიას რეპროდუქტოლოგიისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ინსტიტუტის თანამშრომლები
11.02.2022

* * *

ბატონ არჩილს 80 წელი შეუსრულდა.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართულ მედიცინაში – ახალი სამედიცინო დისციპლინის – რეპროდუქტოლოგიის შექმნა და განვითარება, ინ ვიტრო განაყოფიერების, ლაპაროსკოპიის, კონტრაცეპციის და ბევრი სხვა მსგავსი ინოვაციის დანერგვა, სამეცნიერო მოღვაწეობა, კლინიკური საქმიანობა, ახალგაზრდა ექიმების აღზრდა; დღეს მისი მოწაფეები წარმატებით მოღვაწეობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებშიც.

არჩილ ხომასურიძე ახლაც ძველებური ენერგიით იღვწის და განაგრძობს საყვარელ საქმიანობას ახლადშექმნილ ინსტიტუტში, სადაც წარმატებული, გამოცდილი სპეციალისტების გვერდით საუკეთესო ახალგაზრდა ექიმებიც მუშაობენ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბატონი არჩილი არ ღალატობს ტრადიციას – მომავალი თაობების აღზრდა კვლავ პრიორიტეტულია მისთვის.

როცა არჩილ ხომასურიძეზე ვფიქრობ ან როცა მასზე ვწერ, სრულიად ვარ დარწმუნებული, რომ ის არის მედიცინის უბრწყინვალესი წარმომადგენელი, მსოფლიო დონის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. რადგან საქმე, რომელსაც ბატონი არჩილი ემსახურება პირდაპირ უკავშირდება ერის გამრავლებას, საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის.

სწორედ ქვეყნის მომავალზე ზრუნვამ დაათმობინა არჩილ ხომასურიძეს წარმატებული პროფესიული კარიერა მოსკოვში, სადაც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და დაბრუნდა საქართველოში. იგი სამ ათეულზე მეტ ხანს ედგა სათავეში იოსებ ჟორდანიას მიერ დაარსებულ ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელმაც მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

არჩილ ხომასურიძეს ბევრი წინააღმდეგობისა და დაბრკო-

ლების მიუხედავად, შინაგანად არასდროს დაუყრია ფარ-ხმალი და თანამოაზრეებთან ერთად ახალ ინსტიტუტს ჩაუყარა საფუძველი, სადაც ღირსეულად გრძელდება ძველი ჟორდანიას ინსტიტუტის სახელოვანი ტრადიციები. ძალიან ცოტა ქართველი მოიძებნება, რომელიც ასეთი რუდუნებით ეპყრობა თავისი იდეოლოგიური წინამორბედის სახელს.

პროფესორი ჟორდანიასა და პროფესორი ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელისა და მისი ექიმების უძილო ღამეების, უდიდესი შრომისა და თავდადების შედეგად იბადება ათასობით ბავშვი შთამომავლობის ნანატრ ოჯახებში, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება მათი საქმიანობა – ინსტიტუტს უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს, მათ შორის ვარ მეც.

ცხოვრების საჩუქრად მიმაჩნია, რომ მე მომიხდა ამ დიდებული ადამიანის ბიოგრაფიული მოთხრობის შედგენაში მოკრძალებული წვლილი შემეტანა.

ყოველთვის მაოცებდა მისი არისტოკრატული მიხრა-მოხრა, წყნარი, დაბალანსებული, ხმის აუწევლად საუბარი, რაც შინაგან კონტროლზე და დახვეწილობაზე მიუთითებს.

თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ის თავისი ბუნებით, ხასიათით, თუნდაც, თავისი გამორჩეული გარეგნობით, წლებმაც რომ ვერაფერი დააკლო, არჩილ ხომასურიძე გახლავთ უდიდესი მეცნიერი და მოღვაწე.

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ბატონო არჩილ, თქვენ საქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდებით, ქართველი ერის იმედი ხართ თქვენც და თქვენი აღზრდილებიც.

ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ ჩვენი ერის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ირანდა კალანდაძე
თებერვალი, 2022 წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

არჩილ ხომასურიძე სამუშაო კაბინეტში

ნათლობა

ლიდა ფხალაძის 80 წლის იუბილე

ნინო დავიდოვასთან ერთად

ლალი ფხალაძეთან და ქეთი ნატროშვილთან ერთად

მაცაცო ერისთავთან ერთად

მაია იანქოშვილთან ერთად

მერაბ ჩიხლაძე, მაია იანქოშვილი, არჩილ ხომასურიძე
და გოგლიკა ცინცაძე

ტუგა ჩიხლაძე, შვილიშვილთან – ნიკოსთან ერთად

საგურამოში რეზო სულუხიას და ლალი მელიას ოჯახში

თამარ დიაკონიძე, მაია პარკაული, არჩილ ხომასურიძე, ლალი ფხალაძე,
მაია იანქოშვილი, ქეთი ნატროშვილი და ეკა ხომასურიძე

არჩილ ხომასურიძე, ანჯეი მილევიჩი, ლალი ფხალაძე,
სოფო ანდღულაძე და ქეთი ოსიძე

ახალგაზრდა ექიმები ჟორდანიას ინსტიტუტის ეზოში, **1993** წ.

პოლონელ კოლეგებთან ერთად, შუაში – ანჯეი მილევიჩი, დუბლინი

ლალი ფხალაძესთან და ქეთი ნატროშვილთან ერთად, რომი, იტალია

„ინოთიმის“ მიერ ორგანიზებული კონფერენცია

რეპროდუქტოლოგთა აკადემიის კონგრესზე ბერლინში

არჩილ ხომასურიძე, ლალი ფხალაძე, მიკელ ფოდი, ზურაბ მარშანია
სექსოლოგთა საზოგადოების მსოფლიო კონგრესი,
ლისაბონი, პორტუგალია

რეზიდენტებთან ერთად

მამუკა ჯანგავაძე, ლალი ფხალაძე, ჯული გირგიტოვა,
ნუნუ მაისურაძე, არჩილ ხომასურიძე და ლიდა ფხალაძე

თანამშრომლებთან ერთად

არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი, 2014 წ.

არჩილ ხომასურიძე, ლიდა ფხალაძე და ჯული გირგიტოვა



ქეთი ნატროშვილთან ერთად

ლალი ფხალაძე, არჩილ ხომასურიძე და ქეთი ნატროშვილი

მარინა ჯანგიძე, არჩილ ხომასურიძე და გია ცაგარეიშვილი

ჯენარა ქრისტესაშვილთან ერთად

არჩილ ხომასურიძის 75 წლის იუბილე

ახალი ინსტიტუტი

თანამშრომლებთან ერთად

არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები

ელო შონია, თეა კობახია, ხათუნა დოლიძე და ვალიდა ქორბუდიანი

ნანა კვაშილავა, არჩილ ხომასურიძე, ლუდა ბარბაქაძე,
რევაზ ციციშვილი

თანამშრომლებთან ერთად

ლუდმილა ბარბაქაძე, ნატალია ხონელიძე და არჩილ ხომასურიძე

ნინო ოკუჯავა, ლიკა ჭყონია და გია კავკასიძე

ლევან ბარამიძე, მაცაცო ერისთავი, ქეთი ნატროშვილი,
თამარ მაღულარია და არჩილ ხომასურიძე

არჩილ ხომასურიძის დაბადების დღეზე

თბილისის სახემწიფო უნივესიტეტში
სამეცნიერო კონფერენციის შემდეგ

არჩილ ხომასურიძე თანამშრომლებთან საახალწლო შეხვედრაზე

არჩილ ხომასურიძე თანამშრომლებთან ერთად მცხეთაში

არჩილ ხომასურიძის 80 წლის იუბილე

მონიტორზე – ვაიჩესლავ ლოკშინის ვიდეო მილოცვა

მაკა გეგეჭკორთან ერთად

ბიოგრაფიული მონაცემები

არჩილ ხომასურიძე

დაბადების თარიღი:
11 თებერვალი, 1942 წ.

სამეცნიერო ხარისხი და განათლება:

1980 წლიდან – პროფესორი.

1979 წ. სადოქტორო დისერტაცია: „ჰორმონალური კონტრაცეპციის გავლენა ფარისებრ, თირკმელზედა, კუჭუკანა ჯირკვლებზე, თირკმელებისა და ღვიძლის ფუნქციაზე“;

1969 წ. საკანდიდატო დისერტაცია: „ჰიპოთირეოზის გავლენა შთამომავლობის ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციაზე“;

1969-1972წწ. მოსკოვის № 10 სამშობიარო სახლი, ორდინატორი;

1965-1969წწ. საკავშირო და ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიისა და ჰორმონთა ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ასპირანტი (ქ. მოსკოვი);

1959-1965წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამკურნალო ფაკულტეტი.

სახელმწიფო სერტიფიკატები:

2001წ. სახელმწიფო სერტიფიკატი (II ა17 № 007854). სპეციალობა – რეპროდუქტოლოგია;

2001 წ. სახელმწიფო სერტიფიკატი (III ა 07 № 009013). სპეციალობა – ენდოკრინოლოგია;

2001 წ. სახელმწიფო სერტიფიკატი (I ა 44 № 007908). სპეციალობა – მეანობა-გინეკოლოგია და პერინატალური მედიცინა;

2001 წ. სახელმწიფო სერტიფიკატი (IVა17 № 009014). სპეციალობა – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაცია.

პროფესიული საქმიანობა:

2014 წლიდან – „პროფ. ჟორდანიას და პროფ. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის” გენერალური დირექტორი;

1985-2012 წწ. იოსებ ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის გენერალური დირექტორი;

1996-2012 წწ. საერთაშორისო პროგრამების (UNFPA,WHO) კოორდინატორი, დირექტორი და კონსულტანტი რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარგში;

1988-2002 წწ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი;

1979-1983 წწ. საკავშირო მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი (ქ. მოსკოვი);

1972-1979 წწ. საკავშირო მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი (ქ. მოსკოვი).

პედაგოგიური გამოცდილება:

1997 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რეპროდუქტოლოგიისა და მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

1996-2012 წწ. UNFPA/WHO პროექტი “მხარდაჭერა რეპროდუქციული სამსახურების გაუმჯობესებისათვის“ – კონსულტანტი, ტრენერი, ლექტორი;

1998-2006 წწ. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რეპროდუქტოლოგიის კათედრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, პროფესორი;

1982-1999 წწ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) – ლექტორი;

1965-1985 წწ. მოსკოვის I და II სამედიცინო ინსტიტუტები, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი – ლექტორი.

სამეცნიერო ასოციაციების წევრობა:

2002 წლიდან – საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი;

2014 წლიდან – საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიების – „ქალდეას“ და „ფაზისის“ ნამდვილი წევრი;

2008 წლიდან – საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი;

2007 წლიდან – ნაყოფიერებისა და უნაყოფობის საერთაშორისო ფედერაციის (IFFS) წევრი;

1998 წლიდან – საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

1997 წლიდან – რეპროდუქტოლოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრი;

1996 წლიდან – საერთაშორისო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი;

1996 წლიდან – საქართველოს მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო საბჭოს საქმიანობა:

2016 წლიდან – ჟურნალ „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal“, რედაქტორი;

2015 წლიდან – ჟურნალ „ონკოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (ქ. მოსკოვი);

2009 წლიდან – მეან-გინეკოლოგების ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „Status Praesens” სარედაქციო საბჭოს წევრი (ქ. მოსკოვი);

2009 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ჟურნალი-მაცნეს „ბიომედიცინის“ სარედაქციო საბჭოს წევრი;

1998-2003 წწ. – ჟურნალ „რეპროდუქტოლოგიის” დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი.

სამეცნიერო ნაშრომები:

450 სამეცნიერო შრომის, 10 სახელმძღვანელოს, 6 მონოგრაფიის, 3 გამოგონების ავტორი, 54 საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი.

ჯილდოები:

2010 წ. – ღირსების ორდენის კავალერი.

უცხო ენები:

რუსული, ინგლისური.

სარჩევი

რედაქტორისგან ---------- 5
შესავალი ----------10
წინაპრები. ოჯახი ----------12
მშობლები ----------26
ჩემი დაბადება ----------32
იანეული, ბავშვობა ----------40
სკოლის წლები ----------46
სტუდენტობა ----------51
პრაქტიკა ჟორდანიას ინსტიტუტში
და სტაჟირება კლინიკებში ----------58
მიზნობრივი ასპირანტურა მოსკოვში----------62
ცხოვრება მოსკოვში. მტვირთავად მუშაობა----------63
საკანდიდატო დისერტაცია ----------64
დისერტანტის სტუმრები საქართველოდან ----------67
მოსკოვური მოგონებებიდან----------68
კლინიკური საქმიანობა ----------75
საკავშირო-საატესტაციო კომისია – „ВАК“-ი ----------77
საკავშირო მეანობა-გინეკოლოგიის
ინსტიტუტი და რუსი პედაგოგები ----------78
სადოქტორო დისერტაცია ----------80
მოსკოველი მეგობრები ----------86
მოსკოვური ელიტა ----------90
სათაყვანებელი დედა და დამოკიდებულება ქალებისადმი ---94
თბილისში დაბრუნება ----------97
ბრძოლა აბორტების წინააღმდეგ. კონტრაცეპცია---------- 106
პირველი ლაპაროსკოპია ---------- 108
ქალის ჰიგიენა ---------- 109
ჟორდანიას ინსტიტუტი – წამყვანი
დაწესებულება მსოფლიოში ---------- 110
ინვიტროგანაყოფიერება, პირველი სინჯარის ბავშვი-------- 111
კათედრები, ჟურნალი, ასოციაცია ---------- 113
ანდროლოგია, სექსოლოგია ---------- 115
რეპროდუქტოლოგია უპირველეს ყოვლისა!---------- 117
ჟორდანიას საქმის მემკვიდრე ...
იოსებ ჟორდანიას შთამომავლები ---------- 123
ჟორდანიას ინსტიტუტის გაყიდვა ---------- 129
რეპროდუქტოლოგიის ახალი ინსტიტუტი ---------- 132
მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო ---------- 135
მეგობრები ---------- 149
მეგობრობა მედიცინის კორიფეებთან ---------- 167
საზოგადოებისთვის სენსიტიური თემები –
ჰომოსექსუალიზმი, ნარკომანია ---------- 169
მედიცინის მტკივნეული საკითხები ---------- 173
პანდემია ---------- 176
მეგობრები არჩილ ხომასურიძის შესახებ---------- 179
ბიოგრაფიული მონაცემები ---------- 218

მადლობას ვუხდი ჟურნალისტ
ირანდა კალანდაძეს,
რომელმაც, წიგნზე მუშაობისას, ფაქტობრივად,
თანაავტორობა გამიწია.

მადლობას ვუხდი, აგრეთვე, ჩემს თანამშორმლებს:
ლალი ფხალაძეს,
ქეთი ნატროშვილს,
ნანა კვაშილავას,
ნინო დავიდოვას
გაწეული შრომისთვის.

ფინანსური მხარდაჭერა გასწიეს
ფარმაცევტულმა კომპანიებმა:
„ინოთიმი“, „ვორლდ ფარმა“,
„ალპენ ფარმა“, „გედეონ რიხტერი“, „ჯი-ემ ფარმა“.